საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№03 (521)
29 იანვარი - 4 თებერვალი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



ბრიტანელთა ეშმაკური მრავალსვლიანი კომბინაცია: სურთ, ინგლისის დედოფალი ელისაბედ II მუჰამედის შთამომავლად გამოაცხადონ 14

# პოლიტიკოსების მიერ შექმნილი რეალობა

2




ისე გააუბედურეს ერი, რომ ადამიანს მხოლოდ ის ადარდებს, დილით შინიდან რომ გავა, საღამოს დაბრუნებულმა იმ დღის სამყოფი სარჩო მაინც მიუტანოს მშიერ შვილებს

10

ნოდარ კაპანაძე:

## შუაგულ ჯოჯოხეთის ერთ, ცალკე აღებულ სანტიმეტრზე სამოთხის ბაღს ვერ გააშენებ



«ჩვენი განვითარების სტრატეგია უნდა დავწეროთ ჩვენ. განვითარების სტრატეგიას სხვა ვერავინ დაგვიწერს. ან თუ დაგვიწერს, ეს ჩვენი განვითარების სტრატეგია არ იქნება»

## ვის ბანაკში იქნება საქართველო — მარად შეშფოთებული, უღმერთო შტატების თუ ერთმორწმუნე, აღმავლობის გზაზე მდგარი რუსეთის?

3



## მრავალპოლუსიანი მსოფლიო რეალობაა და მას ვერსად გავექცევით ვერც ჩვენ და ვერც ამერიკა

4



## დედამიწის მოსახლეობა დაიღალა კაპიტალიზმისგან

17



## დახეული ჯინსების კვირეული მედიაში და სიცრუის თაობა

9



## აშშ-მა რუსეთს დაუთმო ასპარეზი, ანუ არც ისე შორია გურჯისტანამდე



16

## ადგილობრივი არჩევნების შედეგები და პერსპექტივები მატეო სალვინისთვის

11



ხალხი და ხელისუფლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილმა ნამდვილი დიქტატურა დაამყარა — ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ყველას, ვინც მის მხარეს არ იყო. დღევანდელი ხელისუფლება კი, უბრალოდ, სისხლს არ ღვრის, თორემ ისე დიდად არც განსხვავდება „ნაციონალური მოძრაობისაგან“. სხვათა შორის, ნაცების არაერთი „მამალი“ წევრი, დღემდე თანამდებობაზეა, დღემდე „ხალხისთვის იღვწის“ და ადრინდელი ჩადენილი ხომ ეპატია; რასაც ახლა ჩაიდენს — ისიც ეპატიება. ეს იმიტომ, რომ ასეთებს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვთ, ასეთებმა კარგად იციან, როგორ იმოქმედონ მასებზე, როგორ დაუდონ ხელისუფალთ სასურველი შედეგი, ამიტომაც ხელისუფლებას ისინი ყველაზე მეტად მოსწონს.**

# პოლიტიკოსების მიერ შექმნილი რეალობა

## სასაცილოა, როცა ნაციონალების მხარდამჭერი დემოკრატიაზე ლაპარაკობს

**2020 წელი ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში, წესითა და რიგით, გარდამტეხი უნდა იყოს. სწორედ წელს უნდა გამოჩნდეს, 8-წლიანი მმართველობის შემდეგ შეიცვლება ხელისუფლება თუ ისევ იგივე დარჩება. ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები, პრაქტიკულად, კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ხელისუფლება შეიცვალოს (ვინ ჰკითხავთ, მაგრამ მაინც), ხოლო მმართველი გუნდი წასვლას არ აპირებს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ რუსეთი, რომელიც თურმე ჩვენს საშინაო საქმეებში ერევა და პოლიტიკურ ამინდს ქმნის, ჯერჯერობით საერთოდ არ ჩანს და ეჭვი გვაქვს, არც გამოჩნდება, არც კომენტარს გააკეთებენ რუსი მალალჩინოსნები და ეს წინასაარჩევნო ამბებიც რუსების ჩაურევლად ჩაივლის. რა თქმა უნდა, ეს არ არის იმის გარანტია, რომ, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია, არ გადმოდგებიან და დასავლეთის საამებლად ჩრდილოელი მეზობლის ლანძღვას არ დაიწყებენ: თქვენი მომხრე ვარ, რუსეთს ვლანძღავო.**

ყველაზე მეტად საქართველოში ჩანს ის, რომ პოლიტიკა ბინძური საქმე და ტყუილის ხელოვნებაა. აბა, როგორ შეიძლება, 9 წელი მართო ქვეყანა, ხალხი სისხლში ჩაახშო და მერე გაიძახოდე, — ხელისუფლების სათავეში დაბრუნება მინდაო? ან ის როგორ შეიძლება, 8 წელი იყო ქვეყნის სათავეში და შენი ამომრჩეველი მათხოვრად აქციო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით? მაგრამ არა, ბატონებო, წინასაარჩევნოდ ისევ ეს ადამიანები მოვლენ თქვენთან, ჩვენთან — ყველასთან და უტიფრად დაგვიწყებენ მტკიცებას, რომ მომავალი აწმყოზე უკეთესი იქნება. ახლა კი ოპოზიციასა და ხელისუფლებას ხალხისთვის არ სცალიათ. ისინი იმას არკვევენ, რა სისტემით უნდა ჩატარდეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და როგორ უნდა მოახერხონ რაც შეიძლება მარტივად პარლამენტში მოხვედრა.

ოპოზიციის აზრით, პროპორციული სისტემის შემთხვევაში უფრო მეტი შანსი ექნებათ იმისა, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ ან კოალიციური მთავრობა შექმნან. ხელისუფლება კი დარწმუნებულია, რომ შერეული სისტემა მათ კვლავ უმრავლესობაში დარჩენის შესაძლებლობას დაუტოვებს და ამიტომ არაფრის დათმობას არ აპირებს. ისიც ვთქვათ, რომ **ოპოზიციამ ნაცნობების ძველი წრე აამუშავა და დღეში ერთხელ ამერიკელი კონგრესმენები, რომლებიც, ეჭვი გვაქვს, ნაციონალების ზეობის პერიოდში ქართული ფულით იკვებებოდნენ (პიარის საქმეში), წერილს წერილზე გზავნიან და ხელისუფლებას მეტი დემოკრატიისკენ მოუწოდებენ. ცოტა არ იყოს, სასაცილოა, როცა ნაციონალების მხარდამჭერი ხარ და დემოკრატიაზე ლაპარაკობ.** სასაცილო ხალხის გადმოსახედიდან, თორემ, ნაცებს რომ ჰკითხოთ, ქუჩაში ხალხის დახვრეტა, ერის კრიმინალად გამოცხადება და, საერთოდ, ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებდნენ, დემოკრატიასთან მჭიდრო კავშირში იყო და ასეთი რამ არც მანამდე და არც მას შემდეგ არ ყოფილა.

აი, **ხელისუფლებას კი სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, რას ფიქრობენ კონგრესმენები, რადგან საქმე მათ კეთილდღეობას ეხება, თორემ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმავე კონგრესმენებმა ჩვენს მთავრობას რომ მოუწოდონ, რუსეთს აგინეთო, რიგი დადგება მიკროფონებთან, ვინ უფრო მეტად გააკრიტიკებს ჩრდილოელ მეზობელს და ამ კონგრესმენებსაც მადლობას მადლობაზე ეტყვიან.**

მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა, იმავე კონგრესმენებს რომ დაუჯეროს, ხელისუფლების სავარძელს, შესაძლოა, ერთი ფეხი მოძვრეს, შერყეული სავარძლის შეცვლა კი ადვილი რომ არის, კარგად მოგეხსენებათ, ამიტომ, **ოთხმა და ხუთმა კონგრესმენმა კი არა, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რომ თქვას პირდაპირ ეთერში, — საქართველოში არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდესო, „ქართული ოცნება“ არ მოუსმენს და იმასაც იტყვის: ჩვენს საშინაო საქმეებში რატომ ერევა ამერიკის მილიარდერი პრეზიდენტიო. ანუ, ისე გამოვა, რომ ერთი მილიარდერი მეორე მილიარდერს საკუთრ „ბიზნესში“ არ ჩაახედებს.** ნუ, ახლა ვისაც ჰგონია, რომ იგივე ტრამპი და ივანიშვილი ბიზნესს არ ეწევიან საკუთარ ქვეყანაში და დამატებით მილიონებს არ შოულობენ, ძალიან გულუბრყვილო ყოფილა.

საინტერესო კიდევ ის არის, რომ **არც ამერიკული მხარე, არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია არ ახსენებენ ამომრჩეველს.** ანუ, არც ერთი არ ამბობს: მოდი, ჯერ ხალხს ვკითხოთ, რა და როგორ უნდა და გადაწყვეტილებაც მერე მივიღოთო. არა, ბატონებო, მათ საკუთარ სურვილებზე სურთ კანონის მორგება და შემდეგ უკვე ამომრჩეველი ვალდებული იქნება, სწორედ ისე აირჩიოს ძლიერნი ამა ქვეყნისანი, როგორც მათ დაადგინეს. **ოპოზიცია აუცილებლად იტყვის, რომ ჩვენი მხარდამჭერები პროპორციული არჩევნების მოთხოვნით ქუჩაში კვირების განმავლობაში იდგნენო, მაგრამ ნურას უკაცრავად — 50 კაცი არ არის საქართველოს მოსახლეობა. „ოცნების“ გასაგონად ვიტყვი: არც 70 ათასი დასაქმებული ადამიანია სრულიად საქართველო. საქართველო იმ სოფლებშია, წინა ხელისუფლებას რომ არ ახსოვდა და არც ამჟამინდელს რომ არ ახსოვს; იმ რეგიონებში, რომლებშიც ნორმალური ნაგვის ურნებიც კი არ დგას, დამშეულმა ხალხმა საარსებო სარჩო იქ რომ იპოვოს. საქართველო იმ მშიერი ადამიანების გულებშია, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში თავად იტანენ შიმშილს იმის გამო, რომ შვილებს საჭმელი შეხვდეთ.** ეგ არის საქართველო, მაგრამ თქვენ ეს საქართველო არ გინდათ. წინასაარჩევნოდ არ გინდათ, თორემ მერე, იცოცხლე, შემდეგ არჩევნებამდე სულიც გაძრობიათ.




**ისე გააუბედურეს ერი, რომ ადამიანს მხოლოდ ის ადარდებს, დილით შინიდან რომ გავა, საღამოს დაბრუნებულმა იმ დღის სამყოფი სარჩო მაინც მიუტანოს მშიერ შვილებს**

**დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მგონი, ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ხალხს ჰკითხეს აზრი და რეფერენდუმი ჩაატარეს. მას შემდეგ თავის თარგზე ჭრიდა ხელისუფლება კანონსაც და მოქმედების გეგმასაც. როგორ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ამ გადასახედიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი დემოკრატია, დემოკრატია ხალხისთვის, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში იყო.**

**სააკაშვილმა** ნამდვილი დიქტატურა დაამყარა — ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ყველას, ვინც მის მხარეს არ იყო. დღევანდელი ხელისუფლება კი, უბრალოდ, სისხლს არ ღვრის, თორემ დიდად არ განსხვავდება „ნაციონალური მოძრაობისაგან“. სხვათა შორის, ნაცების არაერთი „მამალი“ წევრი დღემდე თანამდებობაზეა, დღემდე „ხალხისთვის იღვწის“. ადრინდელი ჩადენილი ხომ ეპატია, რასაც ახლა ჩაიდენს — ისიც ეპატიება. ეს იმიტომ, რომ ასეთებს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვთ, კარგად იციან, როგორ იმოქმედონ მასებზე, როგორ დაუდონ ხელისუფალთ სასურველი შედეგი, ამიტომაც ხელისუფლებას ისინი ყველაზე მეტად მოსწონს.

ამომრჩეველს რომ ჰკითხონ ცალკე ხელისუფლებამ და ცალკე ოპოზიციამ, რომელი სისტემა გირჩევნია ან რომელი ხელისუფალიო, ორივეზე უარს უტყვის — არც „ოცნებას“ დაუკრავს კვერს და ნაციონალებს ხომ, საერთოდ, კატეგორიულ უარს შეუთვლის. „ევროპული საქართველო“ ნუ იქნება ამ დასკვნით ბედნიერი, „ჩინური ნაციონალური“ მოძრაობაა ეგ და მასაც არ უნდა ჰქონდეს ხალხის მხარდაჭერის იმედი. ანუ, რეალურად, ამომრჩეველს არც ერთი უნდა, არც მეორე და არც მესამე. ახალი, ხალხსა და ქვეყანაზე მზრუნველი პარტია უნდა, მაგრამ... უამრავ პარტიაში ასეთის ამორჩევა თითქმის შეუძლებელი რომ იქნება, ეს მხოლოდ პოლიტიკოსების ბრალი აღარ არის, ჩვენი ბრალიცაა. მოთხოვნები შეგვიმცირდა ქართველებს და კუჭამდე დავედით, მხოლოდ კუჭამდე. **ისე გააუბედურეს ერი, რომ ადამიანს მხოლოდ ის ადარდებს, დილით შინიდან რომ გავა, საღამოს დაბრუნებულმა იმ დღის სამყოფი სარჩო მაინც მიუტანოს მშიერ შვილებს.** ეს არის მწარე რეალობა და... პოლიტიკოსებს სწორედ ეს რეალობა აძლევთ ხელს. ხალხი მატერიალურად რომ მოძლიერდეს, აქციაზე გასაყვანად ფულის გადახდა კი არ დასჭირდება, თავისით გავა და არამატერიალური მოთხოვნები გაუჩნდება. ეს კი სახიფათოა, თანაც ძალიან სახიფათო, საჭმლის გარდა ხელისუფლებას სხვა რამ რომ მოსთხოვო, უკვე ქართული რეალობის პარადოქსია, პარადოქსები კი ხელისუფალთ არ უყვართ.

სხვა, აბა, რა გითხრათ — მოვა რამდენიმე თვეში არჩევნები, ისე, რომ არავინ არაფერს შეგვეკითხება, მივალთ საარჩევნო ყუთთან და გავაკეთებთ არჩევანს, რომელსაც შემდეგ აუცილებლად ვინანებთ, რადგან კიდევ ვიმეორებ: **დღეს არ არსებობს ძალა, რომელიც სამშობლოსა და ხალხზე იზრუნებს. ჰო, ზოგი თავისით მივა, ზოგს აიძულებენ მისვლას, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, შედეგი მაინც ერთი იქნება. და მომდევნო ოთხ წელს ტყუილში ცხოვრებას გავაგრძელებთ, იმ ტყუილში, რომელსაც არჩევნების დღეს თვითონვე ავირჩევთ.**

**ამომრჩეველს რომ ჰკითხონ ცალკე ხელისუფლებამ და ცალკე ოპოზიციამ, რომელი სისტემა გირჩევნია ან რომელი ხელისუფალიო, ორივეზე უარს უტყვის**

ბესო ბარბაქაძე

**ნატოსკენ მორბენალ ქვეყანას ფეხებზე არ ჰკიდია რუსეთის ეკონომიკის წარმატება-წარუმატებლობა? მაგრამ, ჯერ ერთი, რუსეთი ისე მომძლავრდა სამხედრო კუთხით, რომ პუტინმა ამას წინათ ისრაელიდან (სადაც გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს) გაეროს შემქმნელ, ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოებს 1945 წლის იალტის კონფერენციის მსგავსი შეხვედრა შესთავაზა და, თუ ეს მოხდა, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება დაიწყება გავლენის სფეროს კუთხით. ასეთ შემთხვევაში, საინტერესოა, ვის ბანაკში იქნება საქართველო — მარად შეშფოთებული, ულმერთო შტატების თუ ერთმორწმუნე, აშკარად პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარი რუსეთის, რომელსაც ქართველები ფიზიკურ არსებობას უნდა ვუმადლოდეთ...**



ავი მუსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის ბანაკში იქნება საქართველო — მარად შეშფოთებული, ულმერთო შტატების თუ ერთმორწმუნე, აღმავლობის გზაზე მდგარი რუსეთის?

**გაზეთის წინა ნომერში თქვენი მონა-მორჩილის მიერ ვრცელი სათაურით („ცხვრის ტყავში გახვეული ტურა, ვაზელინის დეფიციტი და ჰეი, ვოვა, როდის გაიყვან საქართველოდან ჯარს?!“) გამოქვეყნებული სტატიის ბოლოს მკითხველს შევპირდი, რომ ჩემი მომდევნო წერილი, სავარაუდოდ, იმის შესახებ იქნებოდა, რაზეც ზემოთ ხსენებულ სტატიაში თითქმის არაფერი თქმულა.**

ხსენებული სტატიის ვრცელი სათაურიდან გამომდინარე მკითხველს არ გაუჭირდება, გაიხსენოს ის, რომ თქვენი მონა-მორჩილის წერილის ღერძი (თუ ასე ითქმის) იყო ფარჩაკი „ქართული ოცნების“ ხელისუფლება. ფარჩაკი, რადგან, აგერ მერვე წელიწადია, ვერ მოახერხა (თუ არ მოახერხა?) **სააკაშვილ-ბოკერიების** კრიმინალური ბანდის დასჯა; ისეთი კრიმინალურ-სადისტურ-ფაშისტური ხელისუფლების, რომ მათ მიმართ გამოძიების ჩატარება კი არა, ე.წ. უდანაშაულობის პრეზუმფციაც არ უნდა არსებობდეს, ისე ცხადია და, რომ იტყვიან, ზედაპირზე დევს მათი „საქმენი საგმირონი“ — **300 ათასი მხოლოდ პრობაციონერი ჰყავდა სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს და, აქედან გამომდინარე, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების მოწმეების პოვნა რა პრობლემაა?!** რომ არაფერი ვთქვათ **გიგა ბოკერიაზე**, რომელიც პირადად აწამებდა **სულხან მოლაშვილს** და, ჩემი წყაროს მტკიცებით (როგორც თვითმხილველი), თვითონ ხვრეტდა ე.წ. ციხის ბუნტის დროს უმწეო პატიმრებს. ეს ის ბოკერიაა, რომელსაც ე.წ. ევროპული საქართველოს ლიდერის მანტია მოუსხამს და ამ ანტიქრისტე სატანის ასეთივე მრწამსის ძმაბიჭები ბრიუსელ-სტრასბურგ-ვაშინგტონიდან სულში გვაფურთხებენ ქართველებს, — მოგიწევთ გიგა ბოკერიას შეყვარებაო...

ან რა შეიძლება ითქვას ე.წ. არასამთავრობო სექტორზე, რომელსაც მესამე ხელისუფლებასაც ეძახიან?

**ე.წ. არასამთავრობო სექტორი — ეს ის ხალხია, რომელიც სამი მაიმუნის ( მიძარუ, კიკაძარუ, ივაძარუ) იაპონურ სკულპტურას ჰგავს სახელწოდებით „ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის და არაფერს ვიტყვი“. აი, ასე მაიმუნობდა ნაციონალების ზეობის ჟამს კაპიტან გიგაურის თამადობით არასამთავრობო სექტორი და ანალოგიურად მაიმუნობს ქოცების ფარჩაკობის ჟამს ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველის ინსტიტუტი.** ეს ის ნინო ლომჯარიაა, რომელსაც გააფთრებით „დაეჯახა“ იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი.** აღსანიშნავია, რომ „ოცნების“ პარლამენტმა ტრადიციულ-მართლმადიდებლური ღირებულებების დამცველ **დიმიტრი ლორთქიფანიძეს** (8 შვილის მამას), ხატოვნად თუ ვიტყვით, თავზე გადაახია მისი სახალხო დამცველად დანიშვნის მომხრეთა 70-ათასიანი სია და ომბუდსმენად ლგბტ-პედერასტების დამცველი ნინო ლომჯარია დანიშნა.

ძირითადად, სწორედ ზემოხსენებული ასო-ების (არასამთავრობო სექტორი), ე.წ. მესამე ხელისუფლების უშუალო „რუდუნებითა“ და ძალისხმევით მოხდა სამეგრელოში კასრებში შენახული საშინელი კადრების განადგურება, თანაც ცინიკური „არგუმენტით“: საზოგადოების ნერვებს გავუფრთხილდეთო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ვიღაც ლაწირაკმა ლიბერასტმა ნახა და გადაწყვიტა, რომ მისი ნანახის საზოგადოებისთვის ჩვენება არ შეიძლება.

ვატყობ, ზემოთქმული, ნებსით თუ უნებლიეთ, ნელ-ნელა წინა, ვრცელსათაურიანი სტატიის გარჩევას ემსგავსება, რასაც კავშირი აქვს წინამდებარე წერილის არანაკლებად ვრცელ სათაურთან — ნაწილობრივ, ალბათ, ასეც არის, მაგრამ რა ვქნა? ჩვენი ბოლო შეხვედრიდან ერთი კვირა გავიდა. მოვლენებით გადატვირთულ ინფორმაციულ ერაში 7 დღე არც ისე ცოტა დროა...

ამიტომ, სანამ წინამდებარე წერილის მთავარ თემაზე გადავალ, ყოველივე ზემოთქმულის რეზიუმედ ერთსაც ვიტყვი: **ქოცების უუნარობა, ღორობა, ფარჩაკობა და სხვა მრავალი შეცდომა-დანაშაული და პირიქით — ნაცების ერთობა, მძლავრი ლობი ევროპა-ამერიკაში, პლუს ნაცების სასარგებლოდ თვალ-ყურ „ახელილი“ ასოები — ამ ყველაფრის ერთობლივი დამსახურებაა ის, რომ ევროპარლამენტსა თუ ევროსაბჭოდან, აშშ-ის კონგრესმენ-სენატორთაგან ყოველგვარი დიპლომატიური ეტიკეტის გარეშე, რბილად რომ ვთქვათ, ისმის ქოცების კრიტიკა ბოკერია-სააკაშვილის სასარგებლოდ და, თუ „მაგრად ვიტყვით“, ეს არის პირდაპირი გზავნილი — ბიძინა ივანიშვილო, წადი!**

ამასობაში რუსეთში ისეთი კარდინალური, პოლიტიკურ-ეკონომიკური, ვიტყოდი, ეპოქალური მნიშვნელობის ძვრები მოხდა, რომ, არათუ ციცქნა საქართველოზე, სრულიად მსოფლიოზე იქონიებს გავლენას — **ვლადიმერ პუტინმა** ყოველწლიურ მიმართვაში ფედერალური კრების მიმართ მრავალი საყურადღებო განცხადება გააკეთა. მაგალითად (ციტირების გარეშე): ჩემი 20-წლიანი მმართველობის პერიოდში ვცდილობდი, რუსეთის თავდაცვის ისეთი დონისთვის მიმეღწია, რომ ვერავის გაებედა ჩვენთვის გარედან ისეთი „რჩევების“ მოცემა, როგორ უნდა ვიცხოვრო შინ, რაც არათუ შევასრულეთ, მეტიც — რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად მსოფლიოში ვერაფერი გადაწყდება. ამ განცხადებამ, მიუხედავად ეკონომიკური გაჭირვებისა, უბრალო რუს ხალხში ისედაც მარადიულად ანთებული პატრიოტიზმის გრძნობა კიდევ უფრო მეტად გააღვივა...

რუსეთში კონსტიტუციურ ნორმად დაკანონდა, რომ **ხელფასი და პენსია ე.წ. საარსებო მინიმუმზე ნაკლები ველარ იქნება;** ორმაგი მოქალაქეობის მქონე (ან ოდესმე მქონე) პირი ველარ გახდება გუბერნატორი — სწორედ ორმაგი მოქალაქეობის მქონე **ბერეზოვსკებმა, ხადარკოვსკებმა, აბრამოვიჩებმა** გაძარცვეს 1990-იანებში და ახლაც ძარცვავენ ნედლეულით მდიდარ რუსეთს. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ **დემოგრაფიას, განათლებას** და ა.შ. ყველას და ყველაფერს რა ჩამოთვლის და ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ, ჩემი აზრით, კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე:

ვლადიმერ პუტინი არ აპირებს კონსტიტუციის დარღვევას და კიდევ ერთი ვადით პრეზიდენტობას. ის, უბრალოდ, უშიშროების საბჭოდან, რომლის თავმჯდომარეც არის, გააგრძელებს უზარმაზარი იმპერიის ერთპიროვნულად მართვას.

ეს ყველაფერი, რომ იტყვიან, სპრინტერული რეჟიმით განხორციელდა — თუ არ ვცდები, რუსეთის ისტორიაში პირველად, მთელი შემადგენლობით გადადგა მინისტრთა კაბინეტი და ახალ პრემიერად მყისვე დაინიშნა ფართო საზოგადოებისთვის უცნობი (ისევე, როგორც თავის დროზე პუტინი) **მიხეილ მიშუსტინი**, რომელმაც 2 დღეში ჩამოაყალიბა მინისტრთა კაბინეტი ახალგაზრდა (!) კადრებით. მინისტრთა პორტფელები შეინარჩუნეს ე.წ. ძალოვანებმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომლებიც პირდაპირ ემორჩილებიან პრეზიდენტს.

რუსეთის მთავარი პრობლემა ხომ ამ უზარმაზარი იმპერიის მმართველი ბიუროკრატია იყო და აქ რუსეთის ბოლო იმპერატორის, ნიკოლოზ მეორის, მიერ ჯერ შს მინისტრად და შემდგომ პრემიერმინისტრად არზევებულ **პეტრე სტოლიპინს** გავიხსენებ:

პეტრე სტოლიპინი რუსეთის პრემიერმინისტრად 1906 წელს დაინიშნა. 1911 წლამდე, მის მკვლელობამდე, ბევრი წარმატებული ეკონომიკური რეფორმა გაატარა, ძირითადად, აგრარულ სექტორში. მან დაუკანონა გლეხობას კერძო საკუთრებად მიწა. სწრაფად ვითარდებოდა მძიმე თუ მსუბუქი მრწველობა. რუსეთი იყო ხორბლის ექსპორტიორი (სხვათა შორის, დღესაც ასეა) პირველი ქვეყანა. იმ პერიოდის რუსეთის ეკონომიკა ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ ეკონომიკის სიძლიერით მსოფლიოში მე-3 თუ მე-4 ქვეყანა რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება პირველიც კი გამხდარიყო. ალექსანდრე III-ის ცნობილ გამონათქვამს თუ გავიხსენებთ, რუსეთს მხოლოდ 2 მოკავშირე ჰყავს — საკუთარი არმია და ფლოტი, ამ „დუეტს“ მესამეს — ეკონომიკასაც თუ დავუმატებთ, რუსეთის იმპერია მართლაც უძლეველი იქნებოდა.

ეს პერსპექტივა, რა თქმა უნდა, აშფოთებდა რუსეთის შინაურ თუ გარეშე მტრებს და წარმატებების ავტორი პეტრე სტოლიპინი კიევის თეატრში ანტრაქტისას სამეფო ოჯახის თვალწინ პისტოლეტიდან 2 გასროლით მოკლეს. რუსეთს არც ახლა აკლია შინაური თუ გარეშე მტერი და იმედია, ქვეყნის ახლანდელი პრემიერი სტოლიპინის ბედს მხოლოდ ეკონომიკის წარმატების კუთხით გაიზიარებს!

ახლა ვითომ, რაო? — **ნატოსკენ მორბენალ ქვეყანას ფეხებზე არ ჰკიდია რუსეთის ეკონომიკის წარმატება-წარუმატებლობა? მაგრამ, ჯერ ერთი, რუსეთი ისე მომძლავრდა სამხედრო კუთხით, რომ პუტინმა ამას წინათ ისრაელიდან (სადაც გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს) გაეროს შემქმნელ, ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოებს 1945 წლის იალტის კონფერენციის მსგავსი შეხვედრა შესთავაზა და, თუ ეს მოხდა, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება დაიწყება გავლენის სფეროს კუთხით. ასეთ შემთხვევაში, საინტერესოა, ვის ბანაკში იქნება საქართველო — მარად შეშფოთებული, ულმერთო შტატების თუ ერთმორწმუნე, აშკარად პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარი რუსეთის, რომელსაც ქართველები ფიზიკურ არსებობას, ქართულ ენაზე ლაპარაკს უნდა ვუმადლოდეთ...**

არ იქნება რუსეთი — არ იქნება მათლმადიდებლობა! არ იქნება მართლმადიდებლობა — არ იქნება საქართველო!

**დავით მხეიძე**



**ქოცების უუნარობა, ღორობა, ფარჩაკობა და სხვა მრავალი შეცდომა-დანაშაული და პირიქით — ნაცების ერთობა, მძლავრი ლობი ევროპა-ამერიკაში, პლუს ნაცების სასარგებლოდ თვალ-ყურ «ახელილი» ასოები — ამ ყველაფრის ერთობლივი დამსახურებაა ის, რომ ევროპარლამენტსა თუ ევროსაბჭოდან, აშშ-ის კონგრესმენ-სენატორთაგან ყოველგვარი დიპლომატიური ეტიკეტის გარეშე, რბილად რომ ვთქვათ, ისმის ქოცების კრიტიკა ბოკერია-სააკაშვილის სასარგებლოდ და, თუ «მაგრად ვიტყვით», ეს არის პირდაპირი გზავნილი — ბიძინა ივანიშვილო, წადი!**



თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „პუტინმა მიაღწია იმას, რომ არა მხოლოდ ისრაელში, არამედ მსოფლიოში ფაშიზმზე გამარჯვება აღიქმება საბჭოთა კავშირისა და რუსეთის დამსახურებად“



# გულბაათ რცხილაძე: მრავალპოლუსიანი მსოფლიო რეალობაა და მას ვერსად გავექცევით ვერც ჩვენ და ვერც ამერიკა

**21 იანვარს იერუსალიმში გაიხსნა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-5 მსოფლიო ფორუმი, რომელშიც მსოფლიოს 50 ქვეყნის ლიდერები მონაწილეობდნენ. ეს ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში დახოცილი 6 მილიონი ებრაელის ხსოვნის დღეა. ამ ღონისძიების ფარგლებში ისრაელის ინიციატივით აღინიშნა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის 76-ე წლისთავიც.**
**მსოფლიოს ქვეყნების სხვა ლიდერებთან ერთად იერუსალიმს რუსეთის პრეზიდენტიც ეწვია, ის ფორუმს 23 იანვარს დაესწრო და მთავარი სტუმარიც გახლდათ. ვლადიმერ პუტინს იერუსალიმში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმზე განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა, ამიტომ რუსეთის პრეზიდენტმა გახსნა ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი და უცხოელ სტუმართაგან ფორუმზე პირველი გამოვიდა სიტყვით, რომელიც განსაკუთრებით მისი ემოციით დაამახსოვრდება საერთაშორისო საზოგადოებას – ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მასპინძლების მიერ მიგებული პატივის აღნიშვნისას ზესახელმწიფოს ლიდერს თვალზე ცრემლი მოადგა...**
**რუსეთის პრეზიდენტის ტრიუმფი იერუსალიმში და საქართველოს პრეზიდენტის ხელიდან გაშვებული შანსი — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება.**

— იერუსალიმში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი განსაკუთრებული იყო, რადგან შეხვედრა არ იყო ორ ნაწილად გაყოფილი — ჰოლოკოსტის ტრაგედია და ებრაელი ხალხის პრობლემა. საუბარი იყო, საზოგადოდ, ფაშიზმისგან დაზარალებული ხალხების ტრაგედიაზე; საუბარი იყო, პირველ რიგში, რუს ხალხზე, ნაციზმთან თავდაუზოგავად მებრძოლ ერებზე, მათ შორის, ქართველებზეც.

იერუსალიმში ნაციზმზე გამარჯვება იზეიმეს, გახსნეს მონუმენტი ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთა პატივსაცემადაც. აი, ასეთი მნიშვნელოვანი იყო ეს შეხვედრა იერუსალიმში და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იყო მთავარი ფიგურა ყველა იმ ღონისძიებაზე, რომელიც იქ ჩატარდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ უცხოელთაგან მხოლოდ პუტინს ხვდა წილად პატივი, მთავარი სიტყვით გამოსულიყო, რაც გახდა იმის მიზეზი, რომ იერუსალიმში არ ჩასულიყვნენ პოლონეთისა და ლიტვის პრეზიდენტები, რადგან მათ პროტოკოლით არ ერგოთ სიტყვით გამოსვლა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, ზოგიერთმა, შესაძლოა, წვრილმანად ჩათვალოს, მაგრამ მართლაც მნიშვნელოვანია, რადგან **პუტინმა მიაღწია იმას, რომ ისრაელში და არა მხოლოდ ისრაელში, არამედ მსოფლიოში ფაშიზმზე გამარჯვება აღიქმება საბჭოთა კავშირისა და რუსეთის დამსახურებად. ის, რომ ფაშიზმზე გამარჯვება საბჭოთა კავშირის დამსახურებაა, ყველაზე ახლოს არის ისტორიულ სინამდვილესთან, ვიდრე ის, რასაც პოლონელი, ლიტველი და ე.წ. მეგობარი ქვეყნები ამბობენ.**

27 იანვარს შესრულდა 75 წლისთავი პოლონეთში ფაშისტების მიერ შექმნილი ოსვენციმის (აუშვიცის) სიკვდილის ბანაკის ფუნქციონირების დასრულებიდან, ეს წითელმა არმიამ გააკეთა. სამწუხაროდ, პოლონეთში ამ ფაქტის მიჩქმალვას ცდილობს პოლონეთის ხელისუფლება, რომელიც რუსეთს ადანაშაულებს და აკავშირებს ოსვენციმთან. აბსურდამდეა დაყვანილი მეორე მსოფლიო ომისა და დიდი სამამულო ომის ისტორია, რაც დაუშვებელია. ისტორიის დამახინჯება ვერაფერს დააკლებს რუსეთს, ტყუილად ფიქრობენ ასე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნის ყველა თაობამ უნდა იცოდეს, რომ ნაციზმი იყო ბოროტება და ამ ბოროტებას წინ აღუდგა ცივილიზებული კაცობრიობა, რომლის სათავეშიც იდგა საბჭოთა კავშირი სტალინის მეთაურობით, სწორედ საბჭოთა ხალხები იბრძოდნენ ამ ბოროტების წინააღმდეგ და იდგნენ ავანგარდში. ძალიან სასიხარულოა, რომ ეს ფაქტი იერუსალიმში აღიარეს.

**«პოსტსაბჭოთა ქვეყნის ყველა თაობამ უნდა იცოდეს, რომ ნაციზმი იყო ბოროტება და ამ ბოროტებას წინ აღუდგა ცივილიზებული კაცობრიობა, რომლის სათავეშიც იდგა საბჭოთა კავშირი სტალინის მეთაურობით»**

**— რუსეთის პრეზიდენტი ახალი ინიციატივებითაც გამოირჩეოდა. მან გამოთქვა სურვილი და მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოებს, შეკრებილიყვნენ. მისი ეს ინიციატივა ყველას 1945 წლის იალტის კონფერენციას ახსენებს, სადაც მსოფლიოს გადანაწილებაზე იყო საუბარი...**

— კი, იქ ითქვა, რომ გაეროს მუდმივმოქმედი საბჭოს წევრები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, რათა განიხილონ არსებული პრობლემები. თუკი ამ შეხვედრას ვინმე იალტის კონფერენციას ადარებს, ამაში ცუდი არაფერია. ვიღაც თუ თვლის, რომ იალტაში მსოფლიოს გადანაწილებაზე იყო საუბარი, იქ უსამართლო გადანაწილება არ მომხდარა და **კარგია, თუკი ახლაც მოხდება რეგიონების გადანაწილება, რადგან, გვინდა თუ არა ჩვენ, მცირე ერებს, ეს გადანაწილება მაინც ხდება. მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს მაინც ექნებათ გავლენა მცირე სახელმწიფოებზე, თუმცა მცირე სახელმწიფოებსაც შეუძლიათ, ასე თუ ისე, იქონიონ დიდ სახელმწიფოებზე გავლენა.**

პოლიტიკაში არსებობს გავლენის სფეროები, ამ სფეროების გათვალისწინებით შეგვიძლია გავშალოთ ჩვენი ინტერესები და სასურველი მაქსიმალურად მივიღოთ. თუკი აღმოჩნდა, რომ ჩვენს რეგიონში რუსეთის გავლენა ექნება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო სუვერენიტეტს დაკარგავს, პირიქით — ჩვენ ამ გავლენის სფეროს ფარგლებში შეგვიძლია, უფრო მეტი ზემოქმედება მოვახდინოთ რუსეთის პოლიტიკაზე, მაგრამ ამას სჭირდება დიპლომატია, გამჭრიახი ხელისუფლება. აქვე ვიტყვი: **კლოუნებმა, რომლებსაც საქართველოში პოლიტიკოსები ჰქვიათ, ნაკლებად სავარაუდოა, რამე მოახერხონ.**

ღმერთმა ქნას, გამჭრიახი, მოაზროვნე ხალხი მოვიდეს ჩვენი ქვეყნის სათავეში და რუსეთთან ბალანსის დაჭერა შესაძლებელი იქნება, შესაძლებელი იქნება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება.

**— რეალურია მრავალპოლუსიანი მსოფლიოს არსებობა? ამ შეკითხვას იმიტომ ვსვამ, რომ ამერიკა წინააღმდეგია რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივის, რაც ახლახან შევიტყვეთ...**

— ამერიკა არ არის მზად ასეთი შეხვედრისთვის და შეთანხმებისთვის, რადგან ამერიკის პრეზიდენტს პრობლემები აქვს. მას, შესაძლოა, იმპიჩმენტიც კი მოუწყონ. ის დასუსტებულია, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს ამერიკის შიგნით, პუტინის ინიციატივა დღის წესრიგში დგას. თუკი დღეს არ არის ამერიკა მზად, ხვალ ან ზეგ აუცილებლად დათანხმდება. **მრავალპოლუსიანი მსოფლიო რეალობაა და მას ვერსად გავექცევით ვერც ჩვენ და ვერც ამერიკა. ასე რომ, ჩვენი ქვეყანა ამისთვის მზად უნდა იყოს, მოძველებულია რიტორიკა ნატოსა და ევროკავშირზე, როგორც კომუნისტები იტყოდნენ, დრომოჭმულია.**

**— კულუარებში ამბობენ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ამ მნიშვნელოვან შეკრებას 9 მაისს, დიდი სამამულო ომის დასრულების 75 წლისთავზე გეგმავს...**

— არ ვფიქრობ, რომ ეს 9 მაისს მოხდება, მაგრამ არც გამოვრიცხავ. შესაძლოა, სიმბოლურ თარიღსაც დაემთხვეს. ამას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, საქმე გაკეთდეს, გაიმართოს დიალოგი ზესახელმწიფოებს შორის და როდის მოხდება ეს ან სად, მნიშვნელობა არ აქვს.

**— იერუსალიმში იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც, რომელსაც ქრისტეს საფლავის მცველის ჯილდო გადასცეს...**

— **სალომე ზურაბიშვილის** ვიზიტი დადებითი მოვლენაა, რადგან საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მას გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, ეს ვიზიტი შეიძლება ყოფილიყო არა ორ მხრივ ჩარჩოში მოქცეული, არამედ, ვიზიტი, რომელსაც მოჰყვებოდა რუსეთთან ურთიერთობის დათბობა. სალომე ზურაბიშვილს ეს ჰქონდა კიდეც ჩაფიქრებული, მაგრამ ახლა დასუსტებულია, თავისი არასწორი, მცდარი საქციელითა და გადაწყვეტილებებით საშინაო პოლიტიკაში, ამიტომ მას არ ჰქონდა არაფრის თავი. პროტოკოლით რა იყო გათვალისწინებული, არ ვიცი, მაგრამ ზურაბიშვილს შეეძლო, დერეფანში მაინც შეხვედროდა ვლადიმერ პუტინს. ასეთივე შანსი გაუშვა ხელიდან თავის დროზე **ირაკლი ღარიბაშვილმაც** ბაქოში. სიმართლე რომ ვთქვათ, ღარიბაშვილისთვის უფრო ადვილი იყო პუტინთან შეხვედრა, მაგრამ სალომე ზურაბიშვილსაც შეეძლო ხელის ჩამოთმევა, გაღიმება, რაც გამოიწვევდა სერიოზულ დათბობას ორ ქვეყანას შორის მთელი რიგი მიმართულებებით, მაგალითად, ისეთის, როგორიც არის ახლგორი და ა.შ. მაგრამ ეს არ მოხდა, რაც სამწუხაროა.

**— ეს არ მოხდა იმიტომ, რომ ზურაბიშვილს წასვლამდე ჟურნალისტები გამუდმებით ეკითხებოდნენ, — რას იზამდა ის, თუკი პუტინს შეხვდებოდა...**

— თავიდანვე იყო ჩადებული, რომ პუტინს არ შეხვედროდა და, შესაძლოა, არც იყო ამის საშუალება, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს პრეზიდენტს განწყობაც არ ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტისთვის ხელის ჩამორთმევისა და გაღიმების, უფრო მეტიც: პუტინი რომც შეხვედროდა, არ შეეცდებოდა მისალმებას, რაც არასწორია და ქვეყნისთვის წამგებიანი.

**— რუსეთში მთავრობის გადადგომას მოჰყვა ვლადისლავ სურკოვის გადაყენებაც, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებს კურატორობდა. სურკოვის წასვლით რა შეიძლება შეიცვალოს საქართველოსთან დაკავშირებით?**

— 2013 წელს მოსკოვში დიპლომატებს შევხვდი. იქ რუსმა პოლიტოლოგებმა მითხრეს, რომ სურკოვს შესთავაზეს საქართველოსთან დიპლომატიის გარეშე თანამშრომლობა. სურკოვს კი უთქვამს: „საქართველო? საქართველო ათი წლით მოიცდის!“ **სურკოვს მიაჩნდა, რომ საქართველოში არ არსებობს პერსპექტივა არადიპლომატიური ურთიერთობების თვალსაზრისით. სურკოვი საქართველოს საკითხებს პრიორიტეტულად არ თვლიდა. მისი საკურატორო ზონა იყო აფხაზეთი, ოსეთი და უკრაინის სეპარატისტული რეგიონები, მაგრამ სწორედ ამ მიმართულებებით განიცადა მან კრახი.**

ვლადისლავ სურკოვი, შესაძლოა, **დიმიტრი კოზაკმა** ჩაანაცვლოს. მინდა, კოზაკის შესახებ ერთი ფაქტი გავახსენო მკითხველს. 2001 წელს იყო ასეთი გეგმა — „კოზაკის გეგმა მოლდავეთისთვის“, რომელშიც ეწერა, რომ მოლდავეთს ენიჭებოდა ნეიტრალური სტატუსი, იქნებოდა ფედერაცია მოლდავეთისა, რომლიდანაც დნესტრისპირეთს გასვლის უფლება არ ექნებოდა, თუკი მოლდავეთი თვითონ არ იტყოდა უარს სახელმწიფოებრიობაზე, ანუ არ გამოაცხადებდა, რომ უნდა შეუერთდეს რუმინეთს. ეს იყო მისაღები მოდელი, ფაქტობრივად, მოლდავეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ხდებოდა, მაგრამ ისინი ნატოში არ უნდა შესულიყვნენ და რუმინეთისკენ არ უნდა წასულიყვნენ. ევროკავშირმა და ამერიკამ ეს გეგმა ჩაშალეს. ასეთი უნიკალური გეგმის ავტორია დიმიტრი კოზაკი, რომელიც ახლა ძლიერდება პუტინის გარემოცვაში. ასეთი ადეკვატური ფიგურის კურატორობა აფხაზეთისა და ოსეთის მიმართულებით, მიმაჩნია, რომ საქართველოს ინტერესებშიც უნდა იყოს.

**«თუკი აღმოჩნდა, რომ ჩვენს რეგიონში რუსეთს გავლენა ექნება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო სუვერენიტეტს დაკარგავს, პირიქით — ჩვენ ამ გავლენის სფეროს ფარგლებში შეგვიძლია უფრო მეტი ზემოქმედება მოვახდინოთ რუსეთის პოლიტიკაზე, მაგრამ ამას სჭირდება დიპლომატია, გამჭრიახი ხელისუფლება. აქვე ვიტყვი: კლოუნებმა, რომლებსაც საქართველოში პოლიტიკოსები ჰქვიათ, ნაკლებად სავარაუდოა, რამე მოახერხონ»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ხელისუფლება „შუაზე გაიხა და გაიფხრიწა“ იმისთვის, რომ ამერიკაში ჩვენი ღვინო შეეტანა, გატანის პროცესი ლამის ნახევრით გაზარდა და ვერ გასცდა 678 148 ბოთლს. პარალელურად, ანტიპიარისა და „მტრის“ ძახილის ფონზე, შარშან რუსეთში გატანილი ღვინის რაოდენობამაც მოიმატა, მართალია, სულ რაღაც, 8%-ით, მაგრამ მაინც მოიმატა და წლიურად 58 384 540 ბოთლი შეადგინა. მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთში ყოველთვიურად ოთხჯერ მეტი ღვინო იყიდება, ვიდრე ამერიკაში მთელი წლის განმავლობაში. არადა, ამერიკულ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის მილიონები იხარჯება, რუსეთის შემთხვევაში კი პირიქით — ბაზრის დისკრედიტაციასა და ანტიპიარს ვეწევით.

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის პარლამენტის რომელიმე დეპუტატს საქართველოს პრემიერისთვის ისეთივე შინაარსის წერილი რომ გამოეგზავნა, როგორიც ამერიკელმა კონგრესმენებმა, წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა?

## რატომ ვცდილობთ იმ ბაზრის დაკარგვას, რომელზეც საექსპორტოდ გატანილი ღვინოების 60 პროცენტზე მეტი იყიდება?!

**2019 წელს საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში დაახლოებით 94 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდა. როგორც ღვინის ეროვნული სააგენტო წერს, ეს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 9%-ით მეტია და კარგია, რომ მატება შეინიშნება. ახლა არ დავიწყებთ იმაზე საუბარს, როგორ გავიდა ექსპორტზე მილიონ ბოთლზე მეტი „ხვანჭკარა“, როცა მილიონი ბოთლი ნამდვილი „ხვანჭკარის“ სამყოფი ყურძენი საქართველოში არ მოდის, მაგრამ არა უშავს, მაინც გავიდა, ე.ი. იყიდება. თანაც, 2019 წელს ქართული ღვინის ბაზარი თურმე ამერიკულ მხარეს „მიაწვა“ სამთავრობო დონეზე, ეგებ გასაღებაში დაგვეხმაროთო და ამერიკელებმაც პატიოსნად შეიძინეს 678 148 ბოთლი ღვინო. ჩვენც იქვე სიამაყით აღვნიშნეთ, რომ ეს მაჩვენებელი 2018 წლის მაჩვენებელზე 48%-ით მეტია, ანუ 2018 წელს ამერიკელებმა დაახლოებით 340 ათასი ბოთლი ღვინო იყიდეს.**







ჯერალდ კონოლი



ელიოტ ენგელი



მაიკლ მაკოლი



ადამ კინზინგერი

ამ ციფრებით მოხიბლულმა ცალკე ხელისუფლებამ და ცალკე ოპოზიციამ, ერთხმად შეუძახეს მეღვინეებს: არიქა, ახალი ბაზარი გამოჩნდა, რუსეთს ნუღარ მიეძალებით, ხომ ხედავთ, მაინც არ გაფასებენო. მარტივად რომ ვთქვათ, **ხელისუფლება „შუაზე გაიხა და გაიფხრიწა“ იმისთვის, რომ ამერიკაში ჩვენი ღვინო შეეტანა, გატანის პროცესი ლამის ნახევრით გაზარდა და ვერ გასცდა 678 148 ბოთლს. პარალელურად, ანტიპიარისა და „მტრის“ ძახილის ფონზე, შარშან რუსეთში გატანილი ღვინის რაოდენობამაც მოიმატა, მართალია, სულ რაღაც, 8%-ით, მაგრამ მაინც მოიმატა და წლიურად 58 384 540 ბოთლი შეადგინა. მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთში ყოველთვიურად ოთხჯერ მეტი ღვინო იყიდება, ვიდრე ამერიკაში მთელი წლის განმავლობაში.** არადა, ამერიკულ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის მილიონები იხარჯება, რუსეთის შემთხვევაში კი პირიქით — ბაზრის დისკრედიტაციასა და ანტიპიარს ვეწევით. ჰო, ეს ოფიციალური მონაცემებია, თორემ რაც ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ვერ აღრიცხა, ის კიდევ სხვა თემაა. ისიც ხომ მარტივი მისახვედრია, რომ სააგენტოს მიერ აღურიცხავი ღვინო რუსეთში თუ გავიდოდა, თორემ ამერიკაში ქართველი გლეხი დამოუკიდებლად ღვინოს რომ ვერ გაიტანდა, კარგად მოგეხსენებათ.

ხელისუფლების ზეწოლაა თუ ოპოზიციის, ვერ გეტყვით, მაგრამ მათი ყიჟინის ფონზე არაერთმა კომპანიამ უკვე განაცხადა, რომ რუსეთში ღვინის გატანის წესს გაამკაცრებს. რას გულისხმობს გამკაცრება? თურმე, მიმდინარე წლიდან ნებისმიერი რუსული კომპანია, რომელიც ღვინის წაღებას გადაწყვეტს საქართველოდან, ვალდებული იქნება, წინასწარ ასი პროცენტით გადაიხადოს თანხა, ანუ ღვინო აქ იყიდოს და მერე თავში ქვა უხლია. შესადარებლად გეტყვით, რომ აქამდე კონსიგნაცია ხდებოდა, ანუ ყოველი ახალი პარტიის წაღების შემდეგ, წინა პარტიის ფული იფარებოდა და ეს არის ბაზარზე ცივილიზებული ურთიერთობა. ასეთი ურთიერთობა შენარჩუნებულია ევროპის ბაზრებთან, აი **რუსულ ბაზარს კი არ ვწყალობთ. არ ვწყალობთ იმ ბაზარს, რომელზეც საექსპორტოდ გატანილი ღვინოების 60%-ზე მეტი იყიდება, ესე იგი, ამ მხრივ ერთი რუსეთი 52 ქვეყანას ჯაბნის, მაგრამ ამის აღიარება არ გვინდა და რუსული ბაზრის დაკარგვას ვცდილობთ.**

ჩვენი თავხედობის (სხვა სახელს ვერ ვარქმევ) გათვალისწინებით, რუსეთმა რომ თქვას, საერთოდ, არ მინდა ქართული ღვინო, აგერ, მოლდოვურს, რუმინულს, უნგრულსა და პორტუგალიურს მივანიჭებ უპირატესობას, ფასში დიდი სხვაობა არააო, მაშინ რას ვშვრებით? მე გეტყვით — **დაიჩაგრება გლეხი და დასავლეთი ხმაურს ატეხს: აგერ, ხომ გეუბნებოდით, რუსეთი მტერია, ბაზარი ჩაგიკეტათ და პროდუქციას ვერ ასაღებთო. მოხდება ზუსტად ისე, როგორც ტურიზმის შემთხვევაში იყო — პირდაპირ ეთერში ვაგინეთ პუტინს და, როგორც კი საჰაერო მიმოსვლა და ტურისტული ნაკადი შეწყდა, მაშინვე „გვერდით დაგვიდგა“ დასავლეთი და კიდევ ერთხელ გვათქმევინა, რომ მტერმა გაგვწირა და მილიარდიანი ზარალი გვაგემა.** ამ მილიარდის კომპენსაცია, რა თქმა უნდა, არც ევროპას უფიქრია და არც ამერიკას, მომავალში იფიქრებენ. **მათთვის მთავარი და ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ქართული მხარე შემთხვევით არ დაჯდეს რუსულ მხარესთან სალაპარაკოდ.** აი, მანდ შეიძლება ყველაფერი დასრულდეს და ამერიკის 30-წლიანი მცდელობა, რუსეთისგან მთავარი მტრის ხატის შექმნისა, დაიმსხვრეს.

არსებობდა დიდი მოლოდინი, რომ დავოსის ფორუმზე საქართველოს პრემიერმინისტრი **გიორგი გახარია** ვლადიმერ პუტინს პირისპირ შეხვდებოდა. ამ შეხვედრის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა შვეიცარიაც, ქვეყანა, რომლის მეცადინეობითაც ცოტა ხნის წინათ სასაუბროდ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები დასხდნენ. მოლოდინი ისე დიდი იყო, რომ შეხვედრის შესაძლებლობა რუსულმა მხარემაც არ გამორიცხა, მაგრამ რად გინდა! **ჯერ იყო და ჩრდილოელ მეზობელს ახალი პრემიერი ვუგინეთ (ყველამ მიულოცა, ამერიკამაც კი), მერე კი დავოსში ჩასულმა გიორგი გახარიამ რუსეთს სულ ოკუპანტი უძახა და მაღალი ტრიბუნიდან გააკრიტიკა.** იმავე ფორუმზე იყო **დონალდ ტრამპი**, იმავე ფორუმზე იყვნენ ევროპული ქვეყნების სხვა ლიდერებიც, მაგრამ არც ერთს თავში აზრად არ მოსვლია, რუსეთი გაეკტირიკებინა, პირიქით — დაუყვავეს, მოეფერნენ, შეხვედრა სთხოვეს და მომავალ პარტნიორობაზე იმსჯელეს. **აი, საქართველო კი ისევ გამოირჩა და ეჭვი გვაქვს, გახარიას ამის გაკეთება სწორედ დასავლელმა პარტნიორებმა აიძულეს. სანაცვლოდ კი რამდენიმე გრანტს დაჰპირდნენ, რომლებსაც, ალბათ, მოგვცემენ და რომლითაც ერთეულები იხეირებენ, ქვეყანა კი...**

ამბობენ, ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სულელები — საკუთარზეო, მაგრამ ჩვენ ებრაულ წყევლასავით გვჭირს: თქვენით არ იცოდეთ და სხვისი არ გესმოდეთო. **როდემდე უნდა ავფეთქდეთ ერთსა და იმავე ნაღმზე და როდემდე უნდა ვიაროთ ჩაკეტილ წრეზე?** სხვათა შორის, გახარიას დანიშვნას მოსახლეობა პოზიტიურად შეხვდა და იმედი გაუჩნდა, რომ ახალი პრემიერი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ურთიერთობებს მოაგვარებდა. მისი განცხადებები თავდაპირველად აშკარად მოზომილი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს დასავლეთში არ მოეწონათ და ამიტომ ორიოდე კვირის წინათ მის გაშვებაზე აქტიურად ალაპარაკდნენ. ჰოდა, ბატონმა გიორგიმაც, როგორც ჩანს, „დაშვებული შეცდომა“ გამოასწორა და საჯაროდ დაიწყო რუსეთის კრიტიკა. პარალელურად, ხმები მისი გადადგომის შესახებ მყისვე შეწყდა და პრემიერის შეცვლას არავინ ახსენებს. ამით მაინც უნდა მივხვდეთ, რომ საქმე სხვა რამესთან გვაქვს და არა უბრალოდ განცხადებებთან. ხელისუფლება კი მიხვდა, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს თავს ზემოთ ძალა არ არის. **იმას ხომ მაინც უნდა მიხვდეს პრემიერი, რომ მის გარდა არც ერთი ქვეყნის პირველმა პირმა ხმამაღლა არ თქვა, რუსეთი ოკუპანტიაო;** რომ არც ერთმა არ გამოაცხადა ქვეყნის პირველ მტრად ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი და არ აღიქვა კაცობრიობის უმთავრეს საფრთხედ?! ჩვენ ვთქვით. ახლა კი **ისევ პირისპირ შეგვატოვებენ რუსეთს, ქვეყანას, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით, ჩვენი გადარჩენის წყაროა. რუსეთში მუშაობს მილიონამდე ქართველი, რუსეთში გადის ასობით მილიონი ქართული პროდუქცია; რუსეთიდან შემოდის ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, ხორბალი და, ამის მიუხედავად, მაინც არ ვცდილობთ, ერთხელ, ერთადერთხელ დავსხდეთ სასაუბროდ პირისპირ. იქნებ ჩვენს პირობებს უპირობოდ იღებს, იქნებ მტრობის ნაცვლად მეგობრობის ხელს გვიწვდის... მაგრამ ეს „იქნებ“ მანამდე იქნება ჰაერში გამოკიდებული, სანამ ამერიკისა და ევროპის დაკრულზე ვიცეკვებთ.**

ისევ პირისპირ შეგვატოვებენ რუსეთს, ქვეყანას, რომელიც, პირდაპირი მნიშვნელობით, ჩვენი გადარჩენის წყაროა. რუსეთში მუშაობს მილიონამდე ქართველი, რუსეთში გადის ასობით მილიონი ქართული პროდუქცია; რუსეთიდან შემოდის ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, ხორბალი და, ამის მიუხედავად, მაინც არ ვცდილობთ, ერთხელ, ერთადერთხელ დავსხდეთ სასაუბროდ პირისპირ. იქნებ ჩვენს პირობებს უპირობოდ იღებს, იქნებ მტრობის ნაცვლად მეგობრობის ხელს გვიწვდის... მაგრამ ეს „იქნებ“ მანამდე იქნება ჰაერში გამოკიდებული, სანამ ამერიკისა და ევროპის დაკრულზე ვიცეკვებთ

რუსეთის პარლამენტის რომელიმე დეპუტატს საქართველოს პრემიერისთვის ისეთივე შინაარსის წერილი რომ გამოეგზავნა, როგორიც ამერიკელმა კონგრესმენებმა, წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა? — ქართულ პოლიტიკაში მეორედ მოსვლა დაიწყებოდა და ნებისმიერი, ვისაც ჩვენთან პოლიტიკოსობაზე პრეტენზია აქვს (არადა, ყველას აქვს), რუსეთს მიწაში ჩადებდა, სანქციების დაკისრებას მოითხოვდა. აი, ამერიკელების წერილი კი განხილვის თემაა, კაბინეტიდან კაბინეტში დააფრიალებენ, სხვადასხვაგვარად თარგმნიან და ერთსაც კი არ წამოსცდა წამლად: ეგებ შევუთვალოთ კონგრესმენებს, ჩვენს საშინაო საქმეებში ნუ ერევიან და პრემიერს ნუ გვიბულინგებენო. მაგრამ, საკმარისია, ვინმემ ამის თქმა გაბედოს და მაშინვე რუსეთის მოკავშირე და, შესაბამისად, მტერი ხდება.

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ასე, მაგრამ ციფრები მაინც ხომ არასდროს ტყუიან? ქართული ეკონომიკის 50%-ზე მეტი სწორედ რუსეთზეა ჩამოკიდებული, ქვეყანაზე, რომელსაც მუდმივად ვაკრიტიკებთ და საერთაშორისო ტრიბუნიდან თითს ვუქნევთ.

**ბესო ბარბაქაძე**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჩაქუჩი

**„ანაკლიის პორტი სააკაშვილის იდეაა და ყველაფერი თავიდანვე ცხადი იყო: სინამდვილეში იქ ანაკლიის პორტი კი არა, აშშ-ის სამხედრო ბაზა შენდებოდა. ეს იყო ჩანაფიქრი. ეს იყო ის, რასაც სააკაშვილი ქალაქ ლაზიკას უწოდებდა — აშშ-ის სამხედრო ბაზა. ღრმაწყლოვანი პორტი კი ამ ბაზის შემადგენელი ნაწილი იქნებოდა მხოლოდ“.**

**ოთხი ამერიკელი კონგრესმენის მიერ პრემიერისთვის რამდენიმე დღის წინათ გამოგზავნილ ვრცელ კრიტიკულ წერილს პოლიტიკურად გაკოტრებულმა „ოპოზიციამ“ ივანიშვილის აპოკალიფსი უწოდა და მომავალი საპარლამენტო არჩევნებში „მეოცნებე ხელისუფლების“ გარდაუვალ აღსასრულად შერაცხა. შეფასებების კორიანტელში ზოგმა „რუხ ოლიგარქს“ საქართველოდან „სამარცხვინოდ გაქცევა“ და საზღვარგარეთ „სამუდამოდ გადახვეწაც“ უწინასწარმეტყველა, ზოგმაც პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას საბრალდებო სკამზე დაჯდომის და შემდეგ მრავალი წლით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გამწესების პირობა მისცა... მიუხედავად მწვავე კრიტიკული განცხადებებისა, რომლებსაც, ძირითადად, „ნაცმოძრაობის“ ლიდერები და მათი განაყოფი პარტიების ხელმძღვანელები აკეთებდნენ, ხელისუფლებამ მკვეთრი შეფასებებისგან თავი შეიკავა. ითქვა მხოლოდ ის, რომ კონგრესმენებს, როგორც მნიშვნელოვან პარტნიორებსა და მოკავშირეებს, მეტი ობიექტური ინფორმაცია სჭირდებათ საქართველოზე. რაც შეეხება ოპოზიციას, პრემიერმა განაცხადა, რომ ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის ქვეყნის დისკრედიტაციას ყველამ თავი უნდა დაანებოს... რას ნიშნავს რეალურად დღევანდელი ხელისუფლებისთვის და ქვეყნისთვის კონგრესმენების გახშირებული კრიტიკა, რა არის კონკრეტულად ვაშინგტონისთვის „ოცნების“ პოლიტიკაში მიუღებელი და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მისთვის ამ მითითებების გაუთვალისწინებლობას, „საქართველო და მსოფლიოს“ ესუბრება ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერი კვარაცხელია.**

### ვალერი კვარაცხელია:

# არანაირი მეგობარი და პარტნიორი ამერიკა არ არის, ამერიკა დირექტორია, რომელიც თითის ქნევით იძლევა ბრძანებებს

**— ბატონო ვალერი, ბოლო ორი კვირის განმავლობაში პრემიერმა გიორგი გახარიამ ამერიკელი კონგრესმენებისგან ორი კრიტიკული წერილი მიიღო. ორივეში აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ ხელისუფლებამ დემოკრატიის გზას გადაუხვია... წერილებში ასევე ხაზგასმითაა საუბარი ანაკლიის პორტის მშენებლობის შეჩერების საკითხზე... თქვენი აზრით, რაზე მიანიშნებს ეს გახშირებული კრიტიკა?**

— ვფიქრობ, ეს წერილები და მანამდე სხვა კონგრესმენის მიერ გამოგზავნილი არანაკლებ კრიტიკული ნოტაც მიანიშნებს ერთ რამეზე, რომ ოკეანის გაღმა ნელ-ნელა აქტიურდება პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც „ოცნების“ მიმართ არათუ კრიტიკულად, მტრულადაა განწყობილი. განსაკუთრებით ეს მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ქვეყანაში ე.წ. დიდი ოპოზიციური გაერთიანება შედგა და 2020 წლისთვის პოლიტიკური წარღვნა დააანონსა... ისე, ამერიკელების მთავარი და უცვლელი სტრატეგია პარტნიორებად წოდებული სატელიტი ქვეყნების მიმართ მდგომარეობს ერთ რამეში: როდესაც რაღაც არ მოეწონებათ ამ ქვეყნის მმართველ გუნდში, ვთქვათ, მისი რომელიმე უწყების პოლიტიკა ან ცალკე აღებული ლიდერის (პრემიერი იქნება თუ პრეზიდენტი) რიტორიკა, მაშინვე იწყებენ საბაბთა ძებნას გასაკრიტიკებლად და ხშირად ხელისუფლებიდან მათ ჩამოსაცილებლად.

კრიტიკისთვის მათ აქვთ შემდეგი შაბლონები: „დემოკრატიული პრინციპებიდან გადახვევა“, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა“, „ხელისუფლების უზურპაცია“ და ა.შ. ეს ყველაფერი არის საბაბი. სადაც უნდათ, იქ ამ საბაბით დაუპირისპირდებიან ხელისუფლებას; სადაც დაპირისპირება არ უნდათ, იქ ყველაფერზე თვალს დახუჭავენ. მაგალითად, **შეუძლიათ, განგაში ატეხონ იმის გამო, რომ დღევანდელ საქართველოში დემოკრატიიდან გადახვევაც აღმოაჩინეს, ხელისუფლების უზურპაციის ნიშნებიც და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებიც, მაგრამ შეუძლიათ, მსგავსი ვერაფერი იპოვონ ნამდვილად დიქტატორულ სახელმწიფო საუდის არაბეთში. მოკლედ, ორმაგი სტანდარტები და ტენდენციური მიდგომა მათი მოგონილია.** მთავარია, მათი ინტერესების გამტარებელი იყოს ესა თუ ის ხელისუფლება. სხვა დარდი მათ არ აქვთ. **ერთადერთი, რაც ამერიკელებს ივანიშვილის ხელისუფლებაში რეალურად არ მოსწონთ, ეს არის საქართველოს დამოკიდებულება რუსეთთან. მათი სურვილია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში იყოს ისეთი ძალა, რომელსაც რუსეთთან საომარი მოქმედებები თუ არა, საომარი რიტორიკა მაინც ექნება. მათ საქართველოში მეორე უკრაინა სჭირდებათ. არანაირი მეგობარი და პარტნიორი ამერიკა არ არის, ამერიკა არის დირექტორი, რომელიც თითის ქნევით იძლევა ბრძანებებს.** ივანიშვილის ხელისუფლება, მართალია, რუსეთთან პოლიტიკურ დიალოგს ვერ ახერხებს, მაგრამ მასთან არც საომარ ვითარებაში არ შედის და არც მტრული რიტორიკით არ გამოირჩევა...

**— პრინციპში, დიალოგი აქვს, აბაშიძე-კარასინის ფორმატი ხომ არსებობს?**

— აბაშიძე-კარასინის ფორმატი არ არის პოლიტიკურ თემებზე დიალოგის ფორმატი. ისინი სავაჭრო-კულტურულ-ჰუმანიტარული საკითხებით იზღუდებიან. ასე რომ, პოლიტიკურ-დიპლომატიური დიალოგი საქართველოსა და რუსეთს შორის რეალურად არ მიმდინარეობს, მაგრამ საქართველოს მხრიდან ნეგატიური ურთიერთობის ესკალაციაც არ ხდება, რაც ამერიკაში გარკვეულ ძალებს აღიზიანებთ.



**„არ მეგონა, ბატონი გახარია ასე წინდაუხედავი და არათანმიმდევრული აზროვნების კაცი თუ იყო. ნატოს მიმართ «ენ-დი-აი»-სა და «აი-არ-აი»-ს დაწერილ პროცენტებს თუ აღიარებ, მაშინ ისიც უნდა აღიარო, რომ ივანიშვილზე მაღალი რეიტინგი სააკაშვილს აქვს, ხოლო ხელისუფლებაზე მაღალი რეიტინგი — «ნაციონალურ მოძრაობას»**

ამ ძალებს ურჩევნიათ, საქართველოს ხელისუფლებაში იყვნენ ანტირუსული ისტერიკით შეპყრობილი და რუსოფობიით გაჟღენთილი სააკაშვილი და მისი ხროვა, რომელთა უმთავრესი დანიშნულება ანტირუსული პროვოკაციების მოწყობა იქნება. ისინი ხელისუფლებაში არ არიან, მაგრამ ანტირუსული პროვოკაციების მოწყობას მაინც ახერხებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, ისინი ხელისუფლებაში რომ ყოფილიყვნენ — 2008 წლის აგვისტოს მოვლენები მონაგონი იქნებოდა. გარდა ამისა, არის პირადი მოტივებიც. ძალიან ბევრ ამერიკელ მაღალჩინოსანს საქართველოდან უზარმაზარი კაპიტალი მიჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებისა და პიარის საფასურად. **სააკაშვილი საქართველოს ბიუჯეტს ისე განაგებდა, როგორც თავის ცაპიტალს, ამიტომ რა გასაკვირია, რომ ამერიკის კონგრესში კორუფციაში ჩაფლულ უამრავ მამაძაღლს საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილის მობრუნების სურვილი ამოძრავებდეს?!** ასეთია მოტივები, რაც ამ კონგრესმენებს ივანიშვილისა და მისი გუნდის წინააღმდეგ ამოძრავებთ. „ქართული ოცნებაც“, პრინციპში, ამერიკული მოვლენაა, მაგრამ უფრო ზომიერია, ვიდრე სააკაშვილი, ბოკერია და მათი გუნდი. **ივანიშვილმა იცის, რომ დღეს რუსეთთან კონფრონტაციის გაღრმავება საქართველოს დაღუპვას ნიშნავს, ამიტომ ივანიშვილი, რომელიც სააკაშვილისნაირი უსამშობლო კოსმოპოლიტი არ არის, ამაზე არ მიდის და ცდილობს, ორ მონსტრს შორის რაღაც ბალანსის მსგავსი შექმნას.** რუსები ამას გაგებით ეკიდებიან, მაგრამ ამერიკაში ის ძალები, რომლებიც რუსეთსა და საქართველოს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობის უფრო დაძაბვას ცდილობენ, ამის გამო ცოფებს ყრიან. ამ ცოფითა და გესლითაა გაჟღენთილი ის წერილები, რომლებიც ამერიკიდან მოდის და რომელთა შესახებაც ამდენს ვლაპარაკობთ საქართველოში.

**— კონგრესმენების წერილს მყისვე მოჰყვა შეფასებები ქართულ პოლიტიკურ სპექტრში; რომ ეს, ფაქტობრივად, სასიკვდილო დარტყმაა „ოცნებისთვის“, რომელიც 2020-ში მისი გასტუმრებით დასრულდება... თუმცა, ისიც ითქვა, რომ კონკრეტული კონგრესმენის თუ კონგრესმენების პოზიცია ამერიკის ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას არ გამოხატავს...**

— ძნელია ერთმნიშვნელოვნად რამის მტკიცება, იმიტომ, რომ თვითონ ამერიკის პოლიტიკურ სპექტრშიც საკმაოდ არეულია ვითარება. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები ამერიკაში, შეძლებს თუ არა ტრამპი მდგომარეობის განმტკიცებას ან რას მოიმოქმედებენ მისი მოწინააღმდეგეები — ამერიკის ყველაზე ბნელი ძალები. ახლა მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: **იმ კონგრესმენების აზრი, რომლებიც საქართველოსთან ეპისტოლური ჟანრის ურთიერთობით არიან დაკავებულნი, არ გამოხატავს პრეზიდენტ ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის პოზიციას.** ეს არ უნდა გამიგოთ ისე, რომ ივანიშვილისა და მისი „ქართული ოცნების“ დამცველი ვხდები. ამ გუნდმა ქართველ ხალხს არც ერთი დაპირება არ შეუსრულა: ბოლო წლების განმავლობაში უამრავი რამ კეთდებოდა მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ და ამერიკელთა დირექტივების შესაბამისად. ახლა, ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: **ივანიშვილის გუნდმა რას გადაუხვია, რა არ შეასრულა და არ გააკეთა ისე, როგორც ამერიკელებს უნდოდათ?**

**— სხვათა შორის, ანაკლიის პორტის მშენებლობის შეჩერება ერთ-ერთია იმ საკითხებს შორის, რომლებიც ამერიკელებს სერიოზულად აშფოთებთ. რატომ არის მათთვის ეს საკითხი ასე მნიშვნელოვანი?**

— **ანაკლიის პორტი სააკაშვილის იდეაა და ყველაფერი თავიდანვე ცხადი იყო: სინამდვილეში იქ ანაკლიის პორტი კი არა, აშშ-ის სამხედრო ბაზა შენდებოდა. ეს იყო ჩანაფიქრი. ეს იყო ის, რასაც სააკაშვილი ქალაქ ლაზიკას უწოდებდა — აშშ-ის სამხედრო ბაზა.** ღრმაწყლოვანი პორტი კი ამ ▶

**იმ კონგრესმენების აზრი, რომლებიც საქართველოსთან ეპისტოლური ჟანრის ურთიერთობით არიან დაკავებულნი, არ ემთხვევა პრეზიდენტ ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის პოზიციას**

**ჯერ კიდევ 25 წლის წინათ, როცა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ქვეყნების წინაშე პირველად გაჩნდა მოსახლეობის შემცირების პერსპექტივა დაბალი შობადობის გამო და დაისვა კითხვა — „ვინ იმუშავებს ჩვენს ქარხნებში და მოუვლის ჩვენს მოხუცებს?“, სწრაფად მოიძებნა დამამშვიდებელი პასუხი: „ქარხნებში იმუშავებენ იმიგრანტები ღარიბი ქვეყნებიდან, თვით ქარხნები კი უფრო ავტომატიზებულ რეჟიმში იმუშავებენ“. რაც შეეხება მომვლელებს, ისინიც ღარიბი ქვეყნებიდან იქნებიან. იქ კვლავინდებურად ბოცვრებივით მრავლდებიან.**

მდიდრები და ღარიბები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ბაზის შემადგენელი ნაწილი იქნებოდა მხოლოდ. წელან ვთქვი, — ივანიშვილი რუსეთსა და აშშ-ს შორის ერთგვარი ლავირების პოლიტიკას დაადგა-მეთქი. სწორედ ამ ლავირების შედეგი მგონია ის, რა პრობლემებიც დღეს ანაკლიის პორტის მშენებლობის საქმეში არსებობს. **ივანიშვილი ანაკლიის პორტს ამერიკული ინვესტიციით თუ ააშენებს, მაშინ რუსეთთან ლავირება არ გამოვა, ამიტომ რაღაც მიზეზით, ნამდვილით თუ გამოგონილით, მშენებლობა უნდა შეჩერებულიყო და შეჩერდა კიდეც.** ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნით დაშვებულ იქნა მიუტევებელი შეცდომა, როდესაც მშენებლობა ხაზარაძის ზურგს უკან მდგომმა ამერიკელებმა ჩაიგდეს ხელში. თავდაპირველად ანაკლიის პორტის მშენებლობის საქმეს ქართველი ბიზნესმენი **თემურ ქარჩავა** ხელმძღვანელობდა, რომელმაც ჩინური ინვესტიცია მოიზიდა და ყველაფერი მზად იყო პორტის ასაშენებლად, მაგრამ ამერიკელებმა ეს გარიგება ჩაშალეს და პორტის მშენებლობა მათ ხელში აღმოჩნდა, რაც რუსეთთან ურთიერთობის საქმეს საბოლოოდ დაღუპავდა. კიდევ კარგი, რომ ხელისუფლებამ უკან დაიხია და ეს პროცესი შეჩერდა.

ეს არის **დაძაბულობა, რომელიც განპირობებულია დიდი სახელმწიფოების ინტერესების შეჯახებით. რომელ სახელმწიფოს რა ინტერესი აქვს, გასაგებია — აშშ თავის გეოპოლიტიკურ პოზიციებს იუმჯობესებს და რკალს კრავს რუსეთის გარშემო, რუსეთი იცავს თავის სტრატეგიულ ინტერესებს და სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას...**

**— დავუბრუნდეთ კონგრესმენების კრიტიკულ წერილს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კონგრესმენებს არ აქვთ ობიექტური ინფორმაცია საქართველოზე და კრიტიკაც ამითაა განპირობებული. მართებული და ადეკვატურია ეს შეფასება?**

— ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებამ არ იცის, რა თქვას შექმნილ ვითარებაში. მას არ ჰყოფნის ძალა და ნებისყოფა ამერიკელებისათვის იმის სათქმელად, — ნუ ყოფთ დინგს საქართველოს საშინაო საქმეებშიო. არადა, ამას სხვა სახელი არ ჰქვია — ეს არის საშინაო საქმეებში უცერემონიო ჩარევა. პრემიერმინისტრი **გიორგი გახარია** დავოსში ამერიკელებსა და ევროპელებს უმტკიცებდა, რომ, სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის სამოცდაათ პროცენტზე მეტი ნატოს წევრობის მომხრეაო. **ამერიკელი სოციოლოგები ქართველებს აქეთ რომ გვატყუებენ, იმ ციფრებითა და იმ სოციოლოგიით გახარიამ ამერიკელების მოტყუება განიზრახა. არადა, ყველამ ვიცით, რომ მოსახლეობის სამოცდაათს კი არა, ოთხმოცდაათ პროცენტს ალერგია აქვს ამ წყეულ ნატოზე. იმდენი ფურთხი, იმდენი დამცირება, მოტყუება და ცინიზმი მივიღეთ წლების განმავლობაში ამ ორგანიზაციისგან, რომ სხვანაირად წარმოუდგენელია.**

**არ მეგონა, ბატონი გახარია ასე წინდაუხედავი და არათანმიმდევრული აზროვნების კაცი თუ იყო.** ნატოს მიმართ „ენ-დი-აი“-სა და „აი-არ-აი“-ს დაწერილ პროცენტებს თუ აღიარებ, მაშინ ისიც უნდა აღიარო, რომ ივანიშვილზე მაღალი რეიტინგი სააკაშვილს აქვს, ხოლო ხელისუფლებაზე მაღალი რეიტინგი — „ნაციონალურ მოძრაობას“.

**— როგორ უნდა მოიქცეს ამ ვითარებაში ქართველი ხალხი?**

— ქართველმა ხალხმა უნდა გააცნობიეროს შემდეგი მომენტები:

**1.** საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველომ თავისუფლება კი არ მოიპოვა, დასავლეთის გავლენის ქვეშ მოექცა და ამერიკელთა კოლონიად იქცა;

**2.** ქართული ტერიტორიების დაკარგვა, ეკონომიკის მოშლა, ზნეობრივი დეგრადაცია და დემოგრაფიული კატასტროფა საქართველოში ამერიკული გეგმის შემადგენელი ნაწილია;

**3.** საქართველოში მოქმედი არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლებიც ამას ასე პირდაპირ არ აღიარებენ, არ არის მოწოდებული საქართველოს ინტერესების დასაცავად.

მხოლოდ ამ შეგონებით და მხოლოდ ამ შემართებით უნდა მიუდგეს თითოეული ქართველი პოლიტიკურ რეალობას, სამშობლოს ბედს და ნებისმიერი დონის არჩევნებს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ამერიკელი სოციოლოგები ქართველებს აქეთ რომ გვატყუებენ, იმ ციფრებითა და იმ სოციოლოგიით გახარიამ ამერიკელების მოტყუება განიზრახა. არადა, ყველამ ვიცით, რომ მოსახლეობის სამოცდაათს კი არა, ოთხმოცდაათ პროცენტს ალერგია აქვს ამ წყეულ ნატოზე»**

# ამაზე, რა თქმა უნდა, არ ილაპარაკებდნენ დავოსში: ვინ წაგვართვა მთავარი სიმდიდრე



**დავოსში მორიგი ეკონომიკური ფორუმის წინ, რომელზეც მილიარდერები სხვადასხვა ქვეყნიდან ერთმანეთს უსმენენ ხოლმე, ორგანიზაცია Oxfam-მა (საერთაშორისო გაერთიანება 17 ორგანიზაციისა, რომლებიც 90-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ, გაერთიანების მიზანია სიღარიბის და მისგან გამოწვეული პრობლემის აღმოფხვრა) ტრადიციულად გამოაქვეყნა მოხსენება სიღარიბისა და უთანასწორობის შესახებ მსოფლიოში.**

**Oxfam**-ის მოხსენებიდან პლანეტის მასმედიამ შოკისმომგვრელი ციფრები ამოიღო — ვისაც რა აინტერესებდა. **The Guardian-ი, მაგალითად, იუწყებოდა, რომ პლანეტის 22 უმდიდრესი მამაკაცის ქონება მეტია 325 მილიონი აფრიკელი ქალის ქონებაზე (აქ ყველაფერი გარკვეული არ არის — რატომ დაადგინეს ქალების ეს (მეოთხედი) რაოდენობა აფრიკაში, სადაც 1,326 მლრდ ადამიანი ცხოვრობს. ალბათ, მხოლოდ მოზრდილები ჩათვალეს).**

თავის მხრივ, **The Economic Times**-მა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მდიდარი ინდოელების 1 პროცენტი (დაახლოებით 1,3 მლნ) 4-ჯერ მდიდარია უღარიბესი თანამემამულეების 70%-ზე (953 მლნ).

სხვა შოკისმომგვრელი ფაქტები (Oxfam-ი მათ ზუსტად ასე უწოდებს — „შოკისმომგვრელი ფაქტები“):

*** დედამიწაზე მცხოვრები 2153 მილიარდერი პლანეტის მოსახლეობის 60%-ზე, ე.ი., 4,6 მლრდ ადამიანზე მდიდარია.**

*** კაცობრიობის თითქმის ნახევარი დღეში დაახლოებით 2,5 დოლარით არსებობს (15,95 ლარი);**

*** 735 მლნ დედამიწელი ექსტრემალურ სიღარიბეში (დღეში 2,16 დოლარით, ე.ი., 6,4 ლარით) ცხოვრობს, ბევრი კი მათგან არც ისე შორსაა და ა.შ.**

ამ ციფრებს გაგებით უნდა მოვეკიდოთ. დღეში 15,95 ლარზე ცხოვრება ისლანდიაში — ეს იგივე არ არის, რაც ცხოვრება, მაგალითად, უგანდაში. 2 ათეული უმდიდრესი ადამიანი ნებისმიერ შემთხვევაში უფრო ნაკლებს ჭამს, ვიდრე 325 მლნ აფრიკელი; ყიდულობს ნაკლებ სამოსს, ნაკლებს ხარჯავს სიამოვნებებზე, ავტომობილებზე, მოგზაურობასა და საცხოვრებელ ფართობზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა ვლაპარაკობთ ქონების სიმდიდრის არათანაზომადობაზე, ეს არათანაზომადობა ავტომატურად არ უნდა გადავიტანოთ მოხმარების მოცულობაზე. სიაში მოხსენიებული 22 მილიარდერიდან ერთ-ერთი — **უორენ ბაფეტი** — ცნობილია, როგორც „მაკდონალდსის“ ოქროს ბარათის მფლობელი, მაგრამ ის ყოველდღე რომ იკვებებოდეს ფარშირებული ცელეკანტებით (იშვიათი ჯიშის თევზი), მისი შესაძლებლობა (მოხმარების) მაინც შეზღუდული იქნებოდა, თუმცა ეს ნიუანსია. საინტერესო სხვა რამეა.

ერთ-ერთი ფაქტორს, რომელიც მზარდ უთანასწორობას საგანგაშოდ აქცევს, ეწოდება **მოსახლეობის დაბერება** და ამით გამოწვეული მატება ადამიანებისა, რომლებმაც ხანდაზმულობის გამო შრომისუნარიანობა დაკარგეს და მოვლა სჭირდებათ. აქ ციფრები მართლაც შოკისმომგვრელია: **თუ 2015 წელს ასეთი ადამიანების რაოდენობა 2,1 მლრდ იყო, 2030 წელს უკვე 2,3 მლრდ იქნება.**

ამის შესახებ დაწვრილებით ვისაუბროთ. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ 25 წლის წინათ, როცა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ქვეყნების წინაშე პირველად გაჩნდა მოსახლეობის შემცირების პერსპექტივა დაბალი შობადობის გამო და დაისვა კითხვა — **„ვინ იმუშავებს ჩვენს ქარხნებში და მოუვლის ჩვენს მოხუცებს?“,** სწრაფად მოიძებნა დამამშვიდებელი პასუხი: **„ქარხნებში იმუშავებენ იმიგრანტები ღარიბი ქვეყნებიდან, თვით ქარხნები კი უფრო ავტომატიზებულ რეჟიმში იმუშავებს“. რაც შეეხება მომვლელებს, ისინიც ღარიბი ქვეყნებიდან იქნებიან. იქ კვლავინდებურად ბოცვრებივით მრავლდებიან. ასე რომ, ახალგაზრდა შრომისუნარიანი ხელები მსოფლიოს ეყოფა.** სხვა სიტყვებით, **ღარიბები თანხას გამოიმუშავებენ სხვა ღარიბების დაქირავებით და ჩვენ, ევროპელები და ჩრდილო ამერიკელები, ვიქნებით ერთგვარი ერები-რანტიე, რომლებიც საჭიროების მიხედვით აწარმოებენ სამუშაო ძალის იმპორტს.**

მეოთხედი საუკუნის შემდეგ ეს სქემა ყველა პარამეტრით შეფერხდება.

ერთი რამ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს: ღარიბების სამყარო სწრაფად შეწყვეტს ჭარბი „სამუშაო ხელების“ გაჩენას. გაირკვა, რომ **„ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის ბოცვრებივითი გამრავლება“ მხოლოდ სტერეოტიპია. უკრაინა, მოლდოვა, ალბანეთი და საქართველოც საკმაოდ ღარიბი ქვეყნები არიან, მაგრამ იქ მოსახლეობა ბოცვრებივით არ მრავლდება. შობადობა იკლებს აფრიკაშიც კი — იმიტომ, რომ მატულობს ურბანიზაციის დონე, განათლების დონე ქალთა შორის, კონტრაცეპტივების გამოყენება. აფრიკელებს (ისევე, როგორც ევროპელებს) არ სურთ „სიღარიბე შობონ“, მათი სურვილი ხარისხიანი ცხოვრებაა არამრავალრიცხოვან ოჯახში.**

ასე ფიქრობენ აღმოსავლეთ აზიელებიც.

არაბებიც.

ლათინური ამერიკის მცხოვრებნიც.

ეს ნიშნავს, რომ მდიდარი პენსიონერი ერებისა და ღარიბი მომვლელი ერების სქემა მსოფლიოში, უბრალოდ, ვერ იმუშავებს, იმიტომ, რომ ღარიბი ერების მცირერიცხოვან შრომისუნარიან თაობას საუკუნის შუაში ეყოლება ხანდაზმული მშობლები და მათაც დასჭირდებათ მომვლელი.

მარტივად რომ ვთქვათ, **მდიდარი ქვეყნის საშუალო მცხოვრებს, რომელმაც გადაწყვიტა, არ „შობოს სიღარიბე“, ამჟამად ჯერ კიდევ შეუძლია პირობითი ესმერალდა-მომვლელის დაქირავება (პირდაპირ ან სოციალური სამსახურის მეშვეობით), მაგრამ 30 წლის შემდეგ მომვლელის დაქირავება ღარიბი ქვეყნიდან შეიძლება ძალიან ძვირი მომსახურება აღმოჩნდეს მდიდარი ქვეყნების მოხუცების უმრავლესობისთვის. თავიანთი შვილები და შვილიშვილები კი მათ საჭირო რაოდენობით არ ეყოლებათ. და რა არის სიმდიდრე და რა — სიღარიბე ახალ სიბრტყეში, რომელზეც, ცხადია, არავინ ილაპარაკებდა დავოსში, იქ მათ თავიანთი ატმოსფერო აქვთ.**

იმიტომ, რომ სიმდიდრე, რა თქმა უნდა, შეიძლება გაიზომოს პრესტიჟულ მოხმარებაში, მაგალითად, პირობით აიფონებში, მაგრამ, **თუ 2009 წელს, ვთქვათ, აიფონი ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის 1%-ს, 2019 წლისთვის აიფონსა და სმარტფონს მოიხმარდა თითქმის ყოველი მეორე და ასეთები 18-დან 24 წლამდე ადამიანები იყვნენ. ის, რაც პრესტიჟული მოხმარების საგნად ითვლებოდა, 10 წელიწადში მასობრივი მოხმარების საგნად იქცა, თანაც — ახალგაზრდების.**

იმ ადამიანების რაოდენობას კი, რომლებიც იზრუნებენ თქვენზე და დაგიცავენ, როცა ამას თვითონ ველარ შეძლებთ, ინფლაცია არ ემუქრება. უბრალოდ, იმიტომ, რომ პერსპექტივაში ასეთი ადამიანების რაოდენობა აშკარად ვერ მოიმატებს, უფრო — პირიქით. საერთოდ კი, **საქართველოს ბედი, მისი ისტორიული პერსპექტივა დამოკიდებულია იმაზე, რამდენი ვიქნებით, რამდენი ბავშვი დაიბადება ქართულ ოჯახებში ერთი წლის შემდეგ, 5, 10 წლის შემდეგ, როგორები გაიზრდებიან ისინი, ვინ გახდებიან. იმაზე, რამდენი ვიქნებით, დამოკიდებულია საქართველოს, მისი ნებისმიერი მოქალაქის ბედი.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს ცვლილებები ასე დაჟინებით და სულმოუთქმელად იმისთვის ხორციელდება, რომ ახლო პერსპექტივაში მივიღოთ თავხედი მშობლების მოჯანყე თაობა, რომელსაც არანაირი მორალური პრინციპები თუ საზომი, გარდა „მისი უფლებებისა“, არ ექნება. კიდევ ვიმეორებ: ხელისუფლებას სჭირდება საკანონმდებლო ტერორით დაშინებული და მორჩილი საზოგადოება, იმიტომ, რომ ყველაზე ადვილი სამართავია მშობლების ურჩი თაობა და ზნედაცემული ადამიანების — მექავების, მამათმავლების, ლოთებისა და ნარკომანების საზოგადოება“.**



# ლევან ჩაჩუა: ეს კანონი რომ ამოქმედდება, თითოეული მშობელი იქნება ტოტალური კონტროლის ქვეშ და საკმარისია, უმნიშვნელო სიმკაცრე გამოიჩინოს შვილის მიმართ, უმკაცრესად დაისჯება...

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძემ ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 10 პროგრამა წარუდგინა. კილაძემ ადგილობრივებს განუმარტა, რომ აღნიშნული კოდექსი ქვეყანაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბავშვების სოციალურ მდგომარეობას. მეტიც, მისივე განცხადებით, ეს კოდექსი, როგორც ბავშვებისთვის, ისე მათი ოჯახებისთვის, უკეთეს პირობებს შექმნის განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით. რაც მთავარია, კანონმდებლობა უფრო ეფექტიანი იქნება ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. თუმცა შეხვედრაზე, სადაც ზემოაღნიშნული კოდექსის შინაარსში გაურკვეველ და გაუთვითცნობიერებელ მოსახლეობას კიდევ ერთხელ არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს (ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში სპეციალური კითხვარის მეშვეობით სამი ძირითადი პროგრამა შეარჩევინეს: „ოჯახის მხარდაჭერა“, „ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა“ და „განათლების ხელმისაწვდომობა“), კილაძეს საკანონმდებლო ცვლილების უარყოფით მხარეებზე არაფერი უთქვამს.**

შეგახსენებთ, რომ „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მეცხრე მოწვევის პარლამენტმა 2019 წლის 20 სექტემბერს მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ მიიღო. მას წინ უძღოდა გაეროს ბავშვთა ფონდ UNICEF-ის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი კვლევა და მკაცრი დირექტივა საქართველოს ხელისუფლებისადმი ქვეყანაში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ძირეული ცვლილებების განხორციელებაზე. კვლევაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მშობელი გაგებით უნდა მოეკიდოს ბავშვის ნებისმიერ ქცევას თუ გატაცებას მოზარდობის ასაკში; მათ შორის გარეგნობის უჩვეულოდ შეცლას, სასიყვარულო ურთიერთობებს, თამბაქოს, ალკოჰოლის, ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას და ა.შ.

რა ინფორმაციას აწვდის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტი რეგიონების მოსახლეობას საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელ კანონზე და რა პროგრამებს არჩევინებს ხალხს სპეციალური კითხვარების მეშვეობით?

**ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძე რეგიონებში შეხვედრებს მართავს და მოსახლეობას „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ შესახებ ინფორმაციით თუ პროპაგანდით კვებავს. კერძოდ, შეხვედრებზე ადამიანებს ეუბნებიან, რომ ეს კანონი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თითოეული ბავშვის, თითოეული ოჯახის და, საერთოდ, საზოგადოების სოციალურ მდგომარეობას. როგორ ფიქრობთ, არის კი დღეს ჩვენი საზოგადოება, მით უმეტეს, რეგიონებში, ამ ცვლილებაზე სრულად ინფორმირებული და, თუ არ არის, რა უნდა გაკეთდეს ამისთვის? ფაქტია, რომ ეს თემა უკვე მიავიწყეს საზოგადოებას, არადა, .პარლამენტი თავის საქმეს „წარმატებით“ განაგრძობს...**

— ის, რომ პარლამენტი და მთლიანად ხელისუფლება გაუნუხრელად განაგრძობს გარედან ნაკარნახევ, ქვეყნის დამღუპველ და დამანგრეველ პოლიტიკას, სიახლე არავისთვისაა. **ამჟამინდელი ხელისუფლების მრწამსი და იდეოლოგია, ისევე, როგორც წინა რეჟიმისა, თავიდან ბოლომდე აგებულია ანტისახელმწიფოებრივ „ფორმულაზე“ — მთავარია, რას იტყვის დასავლეთი.** ახლა, ვიღაც პირწავარდნილი „ლიბერალი“ გამოხტება და ქილიკს დაიწყებს, — ვინ რას გვაძალებსო?! დაძალება ცეცხლითა და მახვილით არ ხდება, მაგრამ, თუ არ მივიღებთ მათ მიერ ნაკარნახევ საკანონმდებლო ცვლილებებს — მამათმავლების აღლუმებს, მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას, მიგრანტთა მიღებას და ა.შ., გვეუბნებიან ჩვენგან მხარდაჭერას ნუღარ ელითო. ეს, რა, ზემოქმედება და დაძალება არ არის? **ან იმაზე მეტი ტერორი და დაშინება რაღა უნდა იყოს, როცა რუსეთით „დაბულინგებულ“ საზოგადოებას ღია ტექსტით ეუბნებიან, რომ „ურჩობის“ შემთხვევაში ერთი-ერთზე დაგტოვებთ რუსული აგრესიის პირისპირო...**

ქალბატონ კილაძის რეგიონებში სირბილისა და მოსახლეობასთან შეხვედრების მთავარი მიზანი ადამიანებისთვის სიმართლის დამალვაა. ეს არის მორიგი პროპაგანდისტული აქტი, რომლითაც მოსახლეობა ვერ უნდა მიხვდეს, რა მწარე რეალობას შეეჯახებიან მშობლები, თუკი ეს ე.წ. კოდექსი ამოქმედდება.

**— კი მაგრამ, ადრე თუ გვიან, ხომ მაინც ამოქმედდება ეს კანონი და საზოგადოება დაინახავს ყველაფერს?**

— კანონი, თუ არ ვცდები, ხუთ თვეში — ივნისში შევა ძალაში, მაგრამ მთელი სიმძლავრით მის ამოქმედებას არ იჩქარებენ, რათა უკუშედეგი არ გამოიწვიოს. ჯერ საზოგადოების შემზადებას ცდილობენ, ხელისუფლებამ ორგანიზებული პროტესტი რომ არ მიიღოს. წარმოიდგინეთ, ერთი რომელიმე ცალკე აღებული ოჯახი ან მშობელი, რომელსაც პრობლემა შეექმნება

**«რეგიონებში ქალბატონ კილაძის სირბილისა და მოსახლეობასთან შეხვედრების მთავარი მიზანი ადამიანებისთვის სიმართლის დამალვაა. ეს არის მორიგი პროპაგანდისტული აქტი, რომლითაც მოსახლეობა ვერ უნდა მიხვდეს, რა მწარე რეალობას შეეჯახებიან მშობლები, თუკი ეს ე.წ. კოდექსი ამოქმედდება»**

„კანონთან“ და, როგორც „ურჩ მშობელს“, შეიძლება უმკაცრესი სასჯელი გამოუტანონ, მარტო რამეს გახდება? რაც უნდა იყვიროს და აპროტესტოს, მიაღწევს რამეს?

რაც შეეხება შეკითხვას: არის თუ არა საზოგადოება კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებაზე ინფორმირებული? — პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ **რეგიონებში, განსაკუთრებით სოფლებში, სრული ინფორმაციული ვაკუუმია.** მართული დეზინფორმაციული „ლიბერალური“ მედიასაშუალებების ამარაა ხალხი დარჩენილი. ამას ემატება ხელისუფლების აქტიურობაც და მთელი თავისი საკომიტეტო ამალით კარდაკარ მოარული ქალბატონი **კილაძე...** სხვათა შორის, როგორც შევიტყვე, ამ შეხვედრებზე მოსახლეობას სპეციალურ კითხვარებს ავსებინებენ და შემდეგ ამ კითხვარებით ხდება პროგრამების შერჩევა. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება აქტიურად სწავლობს მოსახლეობის განწყობას, სპეციფიკას რეგიონების მიხედვით და მერე უკვე სწორედ ამ სპეციფიკით განსაზღვრავენ, სად, რომელ ადმინისტრაციულ ერთეულში, ქალაქსა თუ რაიონში რა სიმკაცრის სადამსჯელო „მექანიზმები“ აამოქმედონ. ზუსტად ამაში მდგომარეობს მათი მზაკვრობა, რაც უხმაუროდ კეთდება. **მინდა, კიდევ ერთხელ ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას, თითოეულ ოჯახსა და მშობელს, რომელსაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ აქვს კარგად გაცნობიერებული, რა გველის. კანონი, სახელწოდებით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, ისევე, როგორც თავის დროზე მიღებული „ანტიდისკრიმინაციული კანონი“, არის ადამიანების ტერორზე, დაშინებასა და დადუმებაზე გათვლილი რეპრესიული მექანიზმი. ეს „კანონი“ რომ ამოქმედდება (სულ მალე ამოქმედდება), ჩვენ, მშობლები, ვიქნებით წნეხის ქვეშ და საკმარისია, უმნიშვნელო სიმკაცრე გამოვიჩინოთ შვილის მიმართ, მაგალითად, სადმე წასვლა დავუშალოთ ან ჩაცმულობის გამო შენიშვნა მივცეთ, ან ავუკრძალოთ ალკოჰოლის თუ ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის მიღება, კანონით მკაცრად დავისჯებით.**

თუ ვინმეს აინტერესებს, კონკრეტულად რა სახის აღმკვეთ ღონისძიებებს ითვალისწინებს ეს ცვლილება, შეუძლია, თვითონ ჩაიხედოს კანონში და ისეთ რამეს ნახავს, შეიძლება თვალებს არც დაუჯეროს. აღნიშნული კოდექსი არ არის ერთადერთი ცვლილება, რომლითაც ხელისუფლება, პრაქტიკულად, ასამარებს ქართულ ეროვნულ სახელმწიფოებრივ განვითარებას. უამრავი რამაა კიდევ, რაც არანაკლებ საფრთხეს შეიცავს, მაგრამ ხელისუფლება ამ საკითხებზეც წარმატებით ახერხებს მოღალატეობრივი პოლიტიკის მალულად განხორციელებას...

**— რას გულისხმობთ?**

— **როდესაც ხდება რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც შეიძლება, საზოგადოების გაღიზიანება ფართომასშტაბიანი პროტესტი გამოიწვიოს, მაშინვე ცდილობენ მის გადაფარვას. შემოაგდებენ სხვა თემებს და იმ მნიშვნელოვან ამბავს ავიწყებენ მოსახლეობას.** ასე მიაძინეს და მიაჩუმათეს დავითგარეჯის თემა, რომელიც არავინ ჩათვალოს ამოწურულად! ასე მიაჩუმათეს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის თუ ე.წ. მიგრანტთა პაქტზე მიერთების თემები და ასე უნდათ მიჩქმალონ 2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული საქართველოს ორგანული კანონის შესწორება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ, რომელიც, მთავრობის გადაწყვეტილებით, დასაშვებს ხდის უცხოურ ან საქართველოში უცხოელის მიერ დაფუძნებული კომპანიისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვას.

მიაქციეთ ყურადღება მთავრობის გადაწყვეტილების ასპექტის გაჩენას კანონში. მგონი, **ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს დასავლეთის მარიონეტი ჩვენი მთავრობა იმ მოცემულობაში, როცა ნახევარი საქართველო ბანკშია ჩადებული, კრედიტის უზრუნველყოფის საგანს შეადგენს ასობით და ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, ხოლო თითოეული ამ ბანკის, მიკროსაფინანსოს თუ კერძო მევახშის უკან უცხოელი მეწილე-კომპანიონი დგას. მოგეხსენებათ, 2020 საარჩევნო წელია და ბუნებრივია, მართული მედიასაშუალებები ამ თემაზე ყურადღებას არ გაამახვილებენ.** არ გამოვრიცხავ, ხელისუფლებამ საარჩევნოდ ასეთი ვირეშმაკობას მიმართოს: გამოაქვეყნოს სტატისტიკა, რომელშიც ნაჩვენები იქნება, თითქოს ოც ინდურ ან ოცდაათ ჩინურ ინვესტორ კომპანიას უარი უთხრეს მიწის რეგისტრაციაზე და ამით ქულები დაიწერონ აღნიშნული საკითხზე გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებაში, მაგრამ დამთავრდება არჩევნები და ათმაგად აზღვევინებენ ქვეყანას წინასაარჩევნოდ დახარჯულ თანხებს.

რაც შეეხება ბავშვის უფლებათა კოდექსს, ვფიქრობ ყველაფერი ძალიან მარტივია, — ეს ცვლილებები ასე დაჟინებით და სულმოუთქმელად ხორციელდება იმისთვის, რომ ახლო პერსპექტივაში ჩვენ მივიღოთ თავხედი მშობლების მოჯანყე თაობა, რომელსაც არანაირი მორალური პრინციპები თუ საზომი, გარდა „მისი უფლებებისა“, არ ექნება. კიდევ ვიმეორებ: ხელისუფლებას სჭირდება საკანონმდებლო ტერორით დაშინებული და მორჩილი საზოგადოება, იმიტომ, რომ ყველაზე ადვილი სამართავი არის მშობლების ურჩი თაობა და ზნედაცემული ადამიანების — მექავების, მამათმავლების, ლოთებისა და ნარკომანების საზოგადოება...

**— რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს პროცესი შეჩერდეს? რა ბერკეტები აქვს ამისთვის საზოგადოებას?**

— **გამოსავალი არის ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციაში. არა მესამე ძალის, არამედ ახალი, ეროვნულ-ქრისტიანული პოლიტიკური ბირთვის შექმნაში, რომელიც მთლიანად დაკომპლექტდება სუფთა წარსულის მქონე, პატიოსანი და საქმის მცოდნე კომპეტენტური მამულიშვილებით.**

**— ხედავთ ამისთვის საკმარის რესურსს დღევანდელ ვითარებაში?**

— ისეთი ძალა უნდა შევიდეს პარლამენტში, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს ლიბერალურ ტერორს და ამით დააბალანსებს მათ მონოპოლიას.

რესურსს რაც შეეხება, ყველანაირად ვცდილობ და დიდი ხანია, კონსულტაციებს გავდივარ პოლიტიკურად თუ საზოგადოებრივად აქტიურ ადამიანებთან. ყველამ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეში.

ახლა აღარც ხმალია საჭირო, არც დამბაჩა, ქვემეხი თუ თვითმფრინავი — დღეს მედროვე „ქართველს“ ფულით ყიდულობს უცხოელი და ისე ატარებს თავის პოლიტიკას საქართველოში. იყიდება ყველაფერი: მიწა, წიაღისეული, ტყე, მთა, მდინარე, თანამდებობა, დეპუტატის მანდატი, ექიმობა, ჟურნალისტობა, ნარკოტიკი, სხეული, სარწმუნოება, მომავალი თაობა...

თქვენი გაზეთის მეშვეობით, მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო ღირსეულ ქართველებს და ვთხოვო, რომ ახლა ყოყმანის დრო არ არის. ის, მოსაზრება, თითქოს პოლიტიკა ბინძური საქმეა, რომელშიც არ უნდა ჩავერიოთ, დამღუპველია. ასეთ შემთხვევაში ჩვენს სამშობლოს კვლავაც ბინძური პოლიტიკანების საჯიჯგნად დავტოვებთ, რაც საბოლოო კატასტროფამდე მიიყვანს საქართველოს...

ესაუბრა **ჯაბა ჭუანია**

როდესაც ამ ჟურნალისტების „თავისუფლებაზე“ ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ის ქართული „თავმოყვარე“ მედიაა, რომელსაც ხმა არ ამოუღია, როდესაც კახა ბენდუქიძემ პირდაპირ ეთერში განუცხადა: „მაგარ ყ...ებს მეკითხებით!“ და არც რუსული „იდიტე ნა...უი“ დაუკლია მათთვის, ხოლო გრიგოლ ვაშაძემ ჯერ რუსულად დაუცაცხანა — „ზაი...ლიო!“, ხოლო შემდეგ, ბავშვობის ძმაკაცებივით, სულ „თქვე ჩემისებო“ უძახა ქართულ ჟურნალისტურ სპექტრს...



ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დახეული ჯინსების კვირეული მედიაში და სიცრუის თაობა

**ბოლო პერიოდში რატომღაც ხშირად მახსენდება ასეთი ფაქტი: ერთ-ერთი ბრიფინგისას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, თუ სწორად მახსოვს, ჯორჯ ბუშ-უმცროსმა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს მიკროფონი ხელით გააწევინა და საკმაოდ მკაცრად უსაყვედურა: „მიკროფონს პირში ნუ მჩრით!“**

**რა თქმა უნდა, მაშინ აღშფოთებული გამოხდომები არ მოგვისმენია ქართველი ჟურნალისტების მხრიდან. არავის არანაირი „პერფორმანსი“ არ გაუმართავს და არავის მიუმართავს პირდაპირი ეთერიდან ჯორჯ ბუშისთვის, — თავისუფლებას გვიზღუდავთო, რადგან „თავისუფლების შემზღუდველი“ ამერიკის პრეზიდენტი იყო და არა საქართველოს იუსტიციის მინისტრი, რომელსაც ამ დღეებში „ჯინსის ჯოჯოხეთი“ მოუწყვეს ქართულმა ტელევიზიებმა.**

საამისო მიზეზი კი მართლაც გამაოგნებელი იყო — **თეა წულუკიანმა** საქართველოს სახალხო დამცველ **ნინო ლომჯარიას** მოუწოდა, მის თანამშრომლებს სახელმწიფო ორგანიზაციებში შესვლისას ერთგვარი „დრეს-კოდი“ დაეცვათ და პენიტენციურ დაწესებულებებში ნუ გამოცხადდებოდნენ „ხულიგნურად“, დახეულ ჯინსებში გამოწყობილები. მინისტრის ეს განცხადება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იგი „თავისუფლების მტრად“ გამოეცხადებინათ. **ინგა გრიგოლიამ, ეკა კვესიტაძემ, ელისო კილაძემ** და სხვებმა სულ შემოიფლითეს ჯინსები ტელესტუდიებში და ამით მხარი დაუჭირეს „თავისუფლებას“.

გავკადნიერდები და ერთ კითხვას დავსვამ: უცხოეთში ბრიფინგებზე ან ვინმესთან ინტერვიუზე მისვლისას ჩვენს პატივცემულ ჟურნალისტებს რატომ აცვიათ მუდამ სოლიდურად? დახეული კი არა, დაუხეველი ჯინსებითაც კი რატომ არ მიდიან ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და თუნდაც რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში ან კიდევ, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების შენობებში, თუნდაც იმ შენობებში, რომლებშიც ძალოვანი თუ პენიტენციური უწყებებია განლაგებული? რა, იქ, უცხოეთშიც თეა წულუკიანმა დააწესა „დრეს-კოდი“ და „ყარაული“ — ემანდ ჯინსით არავინ შემოვიდესო?

რა თქმა უნდა, ამდენი ანალიზი და გააზრებაც არ სჭირდება იმას, რომ დღევანდელი ქართული მედია, გრიგოლია-კვესიტაძე-კილაძის „ტროიკის“ თამადობით, ძალიან დიდ შარზეა და, როგორც ჩანს, იმხელა ფული აქვს აღებული, თავის უკიდურეს გაბანძებასა და გაფარჩაკებასაც არ ერიდება.

იმას, რასაც ეს ჟურნალისტებად წოდებულნი აკეთებენ, უკვე „თითიდან გამოწოვილი“ მიზეზიც კი აღარ ჰქვია... ეს არის, უბრალოდ, რუსული სამხედრო სლენგი რომ გამოვიყენოთ, ჩვეულებრივი „სალდატსკაია პრიჩინა“ — მიზეზი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება მასზე გადაკიდებულმა ოფიცერმა ჯარისკაცს მოუნახოს, მოუგონოს, შეუქმნას თუ როგორც გნებავთ. „ღილი რატომ არის 1 მილიმეტრით მარჯვნივ დაკერებული?“ მიზეზით დაწყებული, „მწყობრში დგომისას მუხლი 1 მილიმეტრით რატომ მოხარე?“-თი დამთავრებული.

ყოველდღე ქართული მედია, თითიდან კი არა, რაღაც უფრო უხამსიდან (ცენზურას დავიცავ) წოვს აშკარად რაღაც მიზეზებს, ატარებს ისეთ უაზრო „პერფორმანსებს“, ქმნის ისეთ გულისამრევ „პანიკას“ და ისე უნიჭოდ ცდილობს, ბუზი სპილოდ გადააქციოს, რომ ისიც არ მაკმარეს, ლამის მთავრობის დამცველი რომ გავხდი და უკვე პირადად თეა წულუკიანის დამცველადაც მაქციეს!

კატასტროფაა ისიც, რომ დახეული ჯინსების თემამ მედიას კვლავ გაახსენა „ჯინსების თაობა“ და ბოლო დღეებია, აქტიურად მიმდინარეობს ამ დანაშაულებრივი ნაწარმოების რეკლამირება. **თურმე, ნუ იტყვით და, ბიჭებს, რომელთა მამებიც საბჭოთა პერიოდში განცხრომითა და ფუფუნებით მცხოვრები მაღალჩინოსნები იყვნენ, მონდომებიათ „სულის შემხუთველი საბჭოეთიდან გაღწევა“! ამ „კეთილშობილური“ მიზნით, მათ სასიკვდილო საფრთხე შეუქმნეს ათეულობით მშვიდობიან, უიარაღო მგზავრს და საბოლოოდ თავიანთი „მე გადავცურავ ზღვას“ უაზრო სისხლითა და მსხვერპლით დაასრულეს. გაითვალისწინეთ, ისინი იყვნენ ახალგაზრდები, რომელთა მამებიც საბჭოთა პერიოდში ისეთი გავლენით სარგებლობდნენ, რომ მათი შვილები თვითმფრინავში შესვლისას სტანდარტულადაც კი არ შეუმოწმებია არავის.**

ყოველივე ამის რომანტიკად გასაღების შედეგებს, ვფიქრობ, უკვე ვხედავთ და მართლა არაფერი გვეშველება, სანამ ბავშვებს, თაობებს არ ავუხსნით, რომ სამოქალაქო მგზავრებით სავსე თვითმფრინავის, ავტობუსისა თუ გემის გატაცება ნებისმიერი მიზეზით, ნებისმიერი მოთხოვნითა თუ მიზნით, ნებისმიერ სიტუაციაში არის ტერორიზმი და სხვა არაფერი.

საზოგადოდ, **არავითარი აზრი არ აქვს, ამა თუ იმ ქმედებას დახეულჯინსიანი ადამიანი ჩაიდენს, დაუხეველჯინსიანი თუ სულაც ფრაკსა და ჰალსტუხში გამოწყობილი. დადებითი საქციელი ყველა შემთხვევაში დადებითია, მიუხედავად იმისა,**



**ქართველი «ელიტური» ჟურნალისტები ისე არიან თეა წულუკიანზე გადაკიდებულნი, მგონი, ჩვენს იუსტიციის მინისტრს მადლობაც უნდა ვუთხრათ, რომ მხოლოდ ჯინსით შემოიფარგლა და, დავუშვათ, «ტანგა-ტრუსიკზე» არაფერი თქვა, თორემ, დარწმუნებული ვარ, გრიგოლია, კვესიტაძე, კილაძე ისე არიან ბოლომდე დაბრმავებულები, რომ აუცილებლად «ტანგა-ტრუსიკებითაც» გამოტანტალდებოდნენ ტელესტუდიებში თეა წულუკიანის ჯიბრით**

**დახეული გაცვია თუ დაუხეველი. ზუსტად ასევეა ბოროტება და ტერორიზმიც — ჯინსების სახელით ჩაიდენ მას თუ მაქმანებიანი საცვლებით, ტერორიზმი მაინც ტერორიზმია!**

ყველაზე საშინელი დანაშაული კი ხსენებული ნაწარმოების სათაურში სიტყვა „თაობის“ ჩაკვეხებაა. აქ რომ იყოს „ჯინსების მეგობრები“ „ჯინსების საძმო“ ან რამე სხვა კონკრეტული დაჯგუფება ნახსენები, კიდევ არაფერი, **მაგრამ ამ ყოვლად მახინჯი ნაწარმოების ავტორი ამ სათაურით, ფაქტობირვად, მთელ თაობას ასაღებს ისეთებად, როგორებიც ამ წიგნის პერსონაჟები არიან, რომელთა მიერ ჩადენილ სულელურ დანაშაულს მთელი თაობის „რომანტიკად“ გვაწვდის. არადა, ის თაობა მართლაც არ იყო ასეთი და ბევრი ღირსეული და გონიერი შვილი აღუზარდა საქართველოს. მთელი თაობა ტერორისტი, თვითმფრინავის გამტაცებელი და უპასუხისმგებლო ნამდვილად არ ყოფილა.**

ისევე, როგორც არც ყველა დღევანდელი ქართველი ჟურნალისტი არ არის ცილისმწამებელი, თავხედი და უწიგნური. საქმე ის არის, რომ მართლა ნიჭიერი, სამართლიანი და გონიერი ჟურნალისტები ყველა ტელევიზიაში დაბლოკილები არიან და მათ არავინ აძლევს საშუალებას, მსმენელისა თუ მაყურებლის წინაშე წარდგნენ. ისევ ბეჭდურ მედიაში თუ გადააწყდებით რეალურად თავისუფალ სიტყვას, ხოლო ბეჭდური მედია, დღევანდელი „ელექტრონული საუკუნის“ პირობებში, ფაქტობრივად, სულს ღაფავს.

ამიტომაც **ძალიან იოლია, როდესაც მინისტრი აცხადებს, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებში შესვლისას, კარგი იქნება, თუ გარკვეული დრეს-კოდი იქნება დაცული, ადგე და მას დააბრალო, თეა წულუკიანი ქუჩებში ჯინსებით გადაადგილებას გვიკრძალავსო.**

ეს ხომ იგივეა, სტატიის შესავალში ჯორჯ ბუშის მიერ მიკროფონზე ხელით შეხების და მისი გვერდზე გაწევის გამო ვინმეს რომ ეთქვა, ჯორჯ ბუში ჟურნალისტებს მიკროფონების გამოყენებას უკრძალავსო.

ფაქტია, რომ იმ თაობისგან განსხვავებით, რომელსაც „მწერალმა“ **ტურაშვილმა** ასე ხელაღებით „ჯინსების თაობა“ შეარქვა, დღევანდელი თაობა, „ჯინსების“ არა, მაგრამ სიცრუის თაობა ნამდვილად არის.

თავიდან ბოლომდე სიცრუეზე, ცილისწამებაზე, შეთითხნილ ბრალდებებზე აგებული სატელევიზო ეთერების მაცქერალი თაობა ნამდვილად ვერაფერს აითვისებს კარგსა და დადებითს. მით უმეტეს, თუ ამას დავუმატებთ თვალშისაცემ უწიგნურობას, რომელიც წინაპირობაა იმისა, რომ მათ ყოველგვარი უაზრო, უშინაარსო და არაადეკვატური ინფორმაცია დააჯერო.

რაც შეეხება თეა წულუკიანს, ფაქტია, რომ ინგა გრიგოლიაც და სხვებიც მასზე პირადი მიზეზების გამო არიან გადაკიდებულნი. **უფრო ზუსტად — იუსტიციის მინისტრს ერჩის „ლიბერასტული“ ელიტა, რომელიც, თავის მხრივ, გრიგოლიასნაირების დამფინანსებელია და, ვინაიდან გრიგოლიასნაირებისთვის ფული ცხოვრების უმთავრესი და ერთადერთი ღირებულებაა, ისიც იოლია, რომ „ლიბერასტებმა“ მათ დაუკვეთონ და იოლად შეასრულებინონ „სასურველი მუსიკა“.**

ცნობილია, რომ თეა წულუკიანმა საჯაროდ გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება იმ კანონპროექტის მიმართ, რომელიც, შესაძლოა, შეეტანათ საქართველოს პარლამენტში განსახილველად და რომელიც ერთი და იმავე სქესისა და ჰომოსექსუალი წყვილებისთვის ბავშვის შვილად აყვანის ნებართვის მიცემას ითვალისწინებდა.

ასევე ცნობილია, რომ **თეა წულუკიანი წინააღმდეგი იყო „იუვენალური იუსტიციის“ სრული ფორმით შემოღებისა. ეს ტერმინი, გეცოდინებათ, ითვალისწინებს გარკვეულ პირობებში ბიოლოგიური მშობლებისთვის ძალის გამოყენებით შვილის წართმევას და მის მიბარებას „მშვილებელზე“, რომელსაც უკეთესი საცხოვრებელი პირობები აქვს. ეს — ძალიან მოკლედ. უფრო ვრცლად კი ამ კანონის შესახებ მასალებს ინტერნეტითაც მოიძიებთ, თუკი ინტერესი გაგიჩნდებათ.**

სწორედ ამ მიზეზებით ქართველი „ელიტური“ ჟურნალისტები ისე არიან თეა წულუკიანზე გადაკიდებულნი, მგონი, ჩვენს იუსტიციის მინისტრს მადლობაც უნდა ვუთხრათ, რომ მხოლოდ ჯინსით შემოიფარგლა და, დავუშვათ, „ტანგა-ტრუსიკზე“ არაფერი თქვა, თორემ, დარწმუნებული ვარ, გრიგოლია, კვესიტაძე, კილაძე ისე არიან ბოლომდე დაბრმავებულები, რომ „ტანგა-ტრუსიკებითაც“ აუცილებლად გამოტანტალდებოდნენ ტელესტუდიებში თეა წულუკიანის ჯიბრით.

არადა, როდესაც ამ ჟურნალისტების „თავისუფლებაზე“ ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ის ქართული „თავმოყვარე“ მედიაა, რომელსაც ხმა არ ამოუღია, როდესაც **კახა ბენდუქიძემ** პირდაპირ ეთერში განუცხადა: „მაგარ ყ...ებს მეკითხებით!“ და არც რუსული **„იდიტე ნა...უი“** დაუკლია მათთვის, ხოლო გრიგოლ ვაშაძემ ჯერ რუსულად დაუცაცხანა — „ზაი...ლიო!“, ხოლო შემდეგ, ბავშვობის ძმაკაცებივით, სულ „თქვე ჩემისებო“ უძახა ქართულ ჟურნალისტურ სპექტრს.

**იუსტიციის მინისტრს ერჩის «ლიბერასტული» ელიტა, რომელიც, თავის მხრივ, გრიგოლიასნაირების დამფინანსებელია**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს საქართველოში არაერთგვაროვანი მდგომარეობაა. ცალსახა არ არის, მაგრამ არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც ჩვენს „განსაცდელისტებსა“ და „ვაივიშისტ“ მეგობრებს უნდათ. ამ სახელით მოვიხსენიებ მათ, ვისთვისაც აკრძალულია იმის დანახვა, რაც ქვეყანაში კარგი ხდება“.

**ნოდარ კაპანაძე:**

# შუაგულ ჯოჯოხეთის ერთ, ცალკე აღებულ სანტიმეტრზე სამოთხის ბაღს ვერ გააშენებ



**ერთი ფრიად სერიოზული პროგრამის წამყვანმა ტელემაყურებლებს ბატონი ნოდარ კაპანაძე პოლიტოლოგად (თუ არ ვცდები) რომ წარუდგინა, ადრესატმა მორიდებით შეუსწორა:**
**— მე სტატისტიკოსი ვარ.**
**ინტერვიუს ჩამორთმევის წინ ბატონ ნოდარს ეს შემთხვევა გავახსენე და მისი ტიტულატურის სრულად ჩამოთვლა ვთხოვე.**
**— სტატისტიკის ანალიტიკოსი, — მიპასუხა რესპონდენტმა.**
**მორიდება ადამიანს ხასიათად რომ აქვს ქცეული, მისგან სხვა პასუხს არც უნდა ელოდო, ამიტომ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ავიღებ და გეტყვით, რომ ნოდარ კაპანაძე უმაღლესი დონის პროფესიონალია, რომლის ანალიტიკას უნდა ვენდოთ და მივიღოთ. არ შევცდებით.**

**— რას ღაღადებს სტატისტიკა, ბატონო ნოდარ, რას გვეუბნებიან ციფრები საქართველოში დღეს არსებულ მდგომარეობაზე? გაგვიშიფრეთ, გეთაყვა, ეს მეტაფორები, მადლობელი დაგრჩებათ მკითხველი საზოგადოება.**

— უწინარეს ყოვლისა, დღეს საქართველოში არაერთგვაროვანი მდგომარეობაა. ცალსახა არ არის, მაგრამ არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც ჩვენს „განსაცდელისტებსა“ და „ვაივიშისტ“ მეგობრებს უნდათ. ამ სახელით მოვიხსენიებ მათ, ვისთვისაც აკრძალულია იმის დანახვა, რაც ქვეყანაში კარგი ხდება. მაგრამ არც ისე კარგად არის საქმე, როგორც ვარდისფერი სათვალეებით შეიარაღებულ ადამიანებს სურთ. არის მიმართულებები პოზიტიური დინამიკით. შემოსავლების ზრდის, სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით წინსვლა, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ეს ყველაფერი ცალმხრივია.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები არც ისე ცუდია, როგორც ერთ მხარეს სურს, რომ იყოს, მაგრამ არც ისე გადასარევია, როგორც მეორე მხარეს უნდა.

მოკლედ, ჭეშმარიტება, როგორც ყოველთვის, შუაშია.

**— ბატონო ნოდარ, ეს ზოგადი სურათი ერთ ადამიანამდე რომ დავაკონკრეტოთ, რას გვეუბნება სტატისტიკა? რა გვჭირს და რა გვჭირდება?**

— ამ საკითხზე საშუალო ადამიანიდან გამომდინარე უნდა ვილაპარაკოთ. სწორედ იგი მოიცავს საზოგადოების შიგნით არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობებს.

ჩვენ გვჭირს ერთი დიდი პრობლემა, რომელზეც რატომღაც არავინ ლაპარაკობს. ბოლო 30 წელიწადია, ჩვენი პრობლემები სისტემური ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ სისტემის შემადგენელი პრაქტიკულად არც ერთი სტრუქტურული ერთეული გამართულად არ მუშაობს. სისტემური კრიზისის ერთ-ერთი უტყუარი მაჩვენებელი არის ის, როცა ყველა მართალია, მაგრამ საქმე მაინც არ არის კარგად.

ეს არის მთავარი პრობლემა.

საქართველოში არსებული საექსპერტო საზოგადოების პოლიტიკური შეხედულებების მიზანი არის არსებული მდგომარეობის, ანუ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა პასაჟების ნეგატიურად წარმოჩენა, ქუჩურად რომ ვთქვათ, იმის აღწერა, თუ როგორ დაგვერხა. მაგრამ ხვალ და ზეგ რა უნდა იყოს — შემდგომ ეტაპზე რა უნდა გაკეთდეს, ამაზე საუბარი არ მომისმენია არსად და არავისგან.

**— ციფრების ენით რომ ვისაუბროთ?**

— მაგალითად, გადავხედოთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2019 წლის ბოლოსთვის იყო 4700 ამერიკული დოლარი გაცვლითი კურსით, მსყიდველუნარიანობის პარიტეტით — თითქმის 12 ათასი დოლარი ერთ სულზე, რაც არ არის მაინცდამაინც ცუდი მაჩვენებელი. პრობლემა ისაა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი თანაბრად არ არის განაწილებული ჩვენს საზოგადოებაზე.

უმუშევრობის დონე, 2018 წლის მონაცემებით, იყო 12,7 პროცენტი, ხოლო საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი — 1068 ლარი ერთ დასაქმებულზე, მაგრამ, როცა დასაქმებაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი თითქმის ნახევარი მოდის სოფელში თვითდასაქმებულებზე, რაც უკიდურესად არაეფექტიანი და უკიდურესად დაბალმწარმოებლური დასაქმებაა. და, საერთოდ, სოფლის მეურნეობა საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა — უცხოური ინვესტიციების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (ერთ პროცენტზე ნაკლები) მოდის სოფლის მეურნეობის წილად.

სამაგიეროდ, ერთ სამუშაო ადგილზე დამატებითი ღირებულების მაჩვენებელი ძალიან მაღალია ისეთ არამწარმოებლურ სექტორებში, როგორებიცაა საბანკო სექტორი, საფინანსო შუამავლობა, უძრავი ქონება და ისეთი დარგები, რომლებშიც რეალური პროდუქტი არ იწარმოება. ჩვენი ეკონომიკის რეალური სახე (სოფლის მეურნეობის გარეშე) არის მხოლოდ 10 პროცენტი, რაც მიგვანიშნებს, რომ მომსახურებაზე ვართ ორიენტირებულნი.

**— ეს რას გულისხმობს?**

— გულისხმობს იმას, რომ **საქართველოში გენერირებული შემოსავლები მუშაობს სხვა ქვეყნების ეკონომიკების მხარდაჭერაზე, ანუ საქართველოს ეკონომიკა გამტარის ფუნქციას ასრულებს.** საქართველოში შემოდის საქონელი, რომელიც ჩვენთან იყიდება, მაშასადამე, ამ პროდუქტების მწარმოებელ ეკონომიკას აფინანსებს ჩვენი მომხმარებელი. არსებითად ვართ იმპორტდამოკიდებული, თუმცა 2019 წლის ბოლოსთვის იმპორტის მოცულობა ცოტა შემცირებულია, ექსპორტის მოცულობა —არსებითად გაზრდილი. ამის ძირითადი მიზეზი კი ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი გაუარესებაა (უბრალო სიტყვებით – ლარის გაუფასურება. რედ.). ექსპორტი გაიაფდა, იმპორტი — გაძვირდა. ერთი შეხედვით, საკმაოდ პოზიტიური ტენდენციაა, მაგრამ რამდენად შესაძლებელია მისი შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში, ძნელი სათქმელია.

«ბოლო 30 წელიწადია, ჩვენი პრობლემები სისტემური ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ სისტემის შემადგენელი პრაქტიკულად არც ერთი სტრუქტურული ერთეული გამართულად არ მუშაობს. სისტემური კრიზისის ერთ-ერთი უტყუარი მაჩვენებელი არის ის, როცა ყველა მართალია, მაგრამ საქმე მაინც არ არის კარგად»

ის, რაც ახლა გითხარით, ზღვაში წვეთია, ზედაპირზე დევს. არსებითი პრობლემებს ფესვები ძალიან ღრმად აქვს გადგმული.

**— ის, რაც ახლა თქვით, შეგიძლიათ, რომელიმე მაგალითით უფრო თვალსაჩინოდ წარმოუდგინოთ ჩვენს მკითხველს?**

— მაგალითად, ჩვენმა რომელიმე ბანკმა მიიღო საკრედიტო ხაზი უცხოური ბანკისგან. თქვენ აიღეთ ამ ბანკისგან სამომხმარებლო სესხი...

**— ღმერთმა დამიფაროს!**

— აიღეთ სესხი და იყიდეთ, მაგალითად, სამხრეთ კორეაში წარმოებული მობილური ტელეფონი. ამ საყიდლისთვის დახარჯულ ფულს ერთხელაც არ ჩაუყვინთავს საქართველოს ეკონომიკაში (უფრო ზუსტად, ერთხელ ჩაყვინთა, როცა მალაზიაში იყიდეთ ტელეფონი) და სასწრაფოდ წავიდა იმ ქვეყნის ეკონომიკის მხარდასაჭერად, რომელშიც აწარმოეს. მარტივად ასეა. უფრო ზუსტად კი, საქართველოში რეალური ეკონომიკის ხვედრითი წონა ძალიან დაბალია. ჩვენთან ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოების სახით არ არის შექმნილი „კაშხალები“, რომლებიც შექმნილ შემოსავლებს ქვეყანაში დააგუბებდა. ამიტომ დაგუბების ნაცვლად ფული საზღვარგარეთ გაედინება. აქ არაფერი არ გვრჩება.

როცა წყალი შემოედინება და გაედინება, ძალიან კარგია, ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ დინების უყურადღებოდ დატოვებამ ნიადაგის ეროზია შეიძლება გამოიწვიოს.

**— რაც ჩვენი რეალობაა?**

— ჩვენს ქვეყანაში არ ხდება შემომავალი და გამავალი ნაკადების რეგულირება. არ არსებობს ამის არანაირი მექანიზმი. ქართულად ამას „ნინიას ბაღს“, ხოლო რუსულად ამას „პროხოდნოი დვორს“ ეძახიან.

**— აკი ბაზარი ყველაფერს არეგულირებსო?**

— რწმენის დონეზე არის ეს. ჩვენი მთავრობა იმავე ლიბერალური მოდელის მომხრეა, რომელსაც წინა და იმის წინა მთავრობები ერთგულებდნენ, ანუ ბაზრის „უჩინარი ხელი“ მათთვის რელიგიური რწმენის დონეზეა. არანაირი გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაზე ლაპარაკი არ არის. ჩვენი ეკონომიკური და სოციალური პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ასეთი სტრატეგიის არარსებობაა: არ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ ხვალ, ზეგ, რას უნდა მივაღწიოთ და ა.შ.

**— ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ თითოეულ საწარმოს, სოფელს თუ ქალაქს, მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს განვითარების გეგმა და ვინმე უნდა ზრუნავდეს ამ გეგმის განხორციელებაზე. გეგმიური ეკონომიკისკენ ხომ არ სურთ შებრუნება?**

— გეგმურ ეკონომიკაზე საუბარი ჩვენთან შეურაცხყოფად ითვლება. არადა, არც ერთი თავმოყვარე ქვეყანა გეგმის გარეშე არ ცხოვრობს. ყველა მოქმედებს საშუალო თუ გრძელვადიანი გეგმის მიხედვით. რაც უფრო მაღალი დეტალიზაციისაა ეს გეგმები გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა ასპექტებით, მით უფრო პატივსაცემია ქვეყანა. მაღალი დეტალიზაციის ეს გეგმები არსად არ ქვეყნდება, არ არის საჯარო მოხმარების, მაგრამ ეს არ უნდა იყოს პრობლემა, ჩვენთან ასეთი გეგმები საერთოდ არ არსებობს, მცდელობაც არ არის, რომ შეიქმნას, ერთ ენაზე, ერთიან სისტემაში მოქცეული, სხვადასხვა დარგობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგია რომ იყოს შემუშავებული. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ასეთი სტრატეგია არსებობს, მაგრამ იგი საჯარო მოხმარების არ არის, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები სტრატეგიულად გააზრების ნიშანს არ ატარებს.

«გეგმურ ეკონომიკაზე საუბარი ჩვენთან შეურაცხყოფად ითვლება. არადა, არც ერთი თავმოყვარე ქვეყანა გეგმის გარეშე არ ცხოვრობს. ყველა მოქმედებს საშუალო თუ გრძელვადიანი გეგმის მიხედვით»

**— საარსებო მინიმუმი და სახელფასო მინიმუმი. იქნებ ამ თემაზეც თქვათ ორიოდ სიტყვა? როგორია მათი თანაფარდობა ჩვენს რეალობაში?**

— 2019 წლის დეკემბრის მონაცემებით, ერთ ეკვივალენტურ სულზე, ანუ შრომისუნარიანი მამაკაცისთვის გათვლილი საარსებო მინიმუმი თვეში 195 ლარი იყო.

**— ერთ ადამიანზე ერთ თვეში?** ▶

**მემარჯვენე-ცენტრისტულ ბლოკს, სალვინის „ლიგის“ ხელმძღვანელობით, მონათესავე პარტიების — „იტალიის ძმებისა“ და „წინ იტალიის“ მხარდაჭერის შემთხვევაში, რომლებსაც, თავის მხრივ, იტალიელი ამომრჩევლის შესაბამისად 11 და 7 პროცენტი უჭერს მხარს, აქვს შესანიშნავი შანსი, მიიღოს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.**

ლიბერალების კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ — დიახ. რა არის ეს მაჩვენებელი, რომელზეც შემდეგ იგება მთელი მითოლოგია? განაწყენება, ასე ცოტას რატომ გვითვლიანო. ვთქვათ, ბევრი დაგვითვალეს, მერე რა?! დავუშვათ, გავამრავლეთ ათზე და ვთქვათ, რომ 195 ლარი კი არა, 1950 ლარია. რეალურად რა შეიცვლება?

— **რეალურად არაფერი.**

— მოდით, ჯერ ჩამოვყალიბდეთ იმაზე, თუ რა არის საარსებო მინიმუმი.

თუ საარსებო მინიმუმი არის სოციალური ორიენტირი, მაშინ მას დათვლის ერთი მეთოდი აქვს. თუ საარსებო მინიმუმი არის სიღარიბის ზღვარი, მაშინ მას სხვა მეთოდით ითვლიან. თუ ერთდროულად უნდა იყოს სოციალური ორიენტირიც და სიღარიბის ზღვარიც, მაშინ სულ სხვა მეთოდია გამოსაყენებელი.

საარსებო მინიმუმი ჩვენთან ერთდროულად ემყარება ქვეყანაში სურსათის მოხმარების ფაქტობრივ სტრუქტურას (რაც მოსახლეობის საშუალო დიეტაა), რომელსაც ემატება მინიმალური სოციალური სტანდარტის სახით არასასურსათო ხარჯები. 195 ლარი თვეში ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

ამაზე სახელფასო მინიმუმის მიბმა, უბრალოდ, არ ივარგებს, ვინაიდან სახელფასო მინიმუმი უნდა ითვალისწინებდეს იდეალურ დიეტას, არასასურსათო ხარჯებსაც უნდა ერქვას კონკრეტული სახელი და მინიმალური სოციალური სტანდარტის კოეფიციენტის მეშვეობით არ უნდა ისაზღვრებოდეს.

195 ლარი თვეში რაღაც მაჩვენებელი მაინც არის. აქ ყველაზე საინტერესოა არა ის, თუ რამდენი ლარია იგი ნომინალურ განზომილებაში, არამედ ის, რომ წლების განმავლობაში ერთი და იმავე მეთოდით იანგარიშებოდა.

მკითხველი რომ არ დავაბნიო, მარტივად ვიტყვი: 2004 წელს ზუსტად იგივე საარსებო მინიმუმი შეფასებული იყო 84 ლარად(!). დღეისთვის 195 ლარია. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად გაძვირდა საქართველოში უღარიბესი ცხოვრება.

ამას მე ვუწოდებ უკიდურესი სიღარიბის ზღვარს. ამ დონეზე ცხოვრება ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ შეიძლება ფიზიკურად გადარჩე.

სიღარიბის განმარტება მარტივია: სიღარიბე არის კეთილდღეობის ნაკლებობა. კეთილდღეობა კი მრავალგანზომილებიანი და ურთულესი ცნებაა, ყველა ინდივიდისთვის განსხვავებული — მონეტარული, არამონეტარული, მატერიალური, არამატერიალური, მენტალური, ტრადიციული და ა.შ. მდგენელობით. კეთილდღეობის მინიმალური სტანდარტის განსაზღვრა ძალიან რთული საქმეა.

ჩემი აზრით, ყველა საზოგადოებაში დროის ყველა მონაკვეთში სიღარიბის ხუთსაფეხურიანი ევოლუციაა წარმოდგენილი: ფიზიოლოგიური სიღარიბე, ანუ შიმშილი, რომელიც უპირველესია; საშემოსავლო სიღარიბე, არამონეტარული სიღარიბე, სტრუქტურული სიღარიბე; დაბოლოს, მენტალური სიღარიბე, რომელიც არის თავში, რასაც ადამიანი თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე განსაზღვრავს.

ამ ყველაფრის ცალ-ცალკე განმარტება ძალიან შორს წაგვიყვანს. ერთი ინტერვიუს ფარგლებში ამ საკითხის ამოწურვა შეუძლებელია.

დასკვნისთვის ვიტყვი: **სიღარიბის დონის შემცირება მოსახლეობაში ავტომატურად უკმაყოფილების შემცირებას არ ნიშნავს.**

**— ეროვნული ვალუტის გაუფასურების შესახებაც მინდა გკითხოთ. გახსოვთ, რა დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ლარის კურსის გაიაფებას?**

— შევისწავლე და გავაანალიზე ეს მოვლენა და აღმოჩნდა ერთი საინტერესო რამ. ქართული ლარის დევალვაციის ხარისხი მეზობელ ქვეყნებს შორის (სომხეთის ჩაუთვლელად) ყველაზე დაბალი იყო. ყველაზე მეტად თურქული ლირა გაუფასურდა და უკრაინული გრივნა, რუსული რუბლი, აზერბაიჯანული მანათი და ა.შ. სომხური დრამი ყველაზე ნაკლებად გაუფასურდა და ყველაზე უფრო მყარი ვალუტა გამოდგა.

**— რა მიზეზით?**

— მთავარი მიზეზი სომხეთის მოსახლეობის დამოკიდებულებაა უცხოეთიდან შემოსულ გზავნილებზე. ჩვენც ვართ დამოკიდებული, მაგრამ უფრო მეტად ევროკავშირის ქვეყნებსა და თურქეთზე. სომხეთის დამოკიდებულება რუსეთზეა დივერსიფიცირებული. ამიტომ იყო, რომ სომხური დრამი შედარებით ნაკლებად გაუფასურდა.

**— რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ ამ რთული მდგომარეობიდან გამოსასვლელად? თუ სახელმწიფოს როლი ნულის ტოლია?**

— განვითარების მიღწევა სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე შეუძლებელია. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია განვითარების დეტალური სტრატეგიის შემუშავება, უნდა გაკეთდეს განვითარების დეტალური მოდელი, რომლის გარეშეც ქვეყანა ჰგავს მართვადაკარგულ ხომალდს, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მეჩეჩზე „დაჯდეს“; უარეს შემთხვევაში — კლდეს დაეჯახოს და დაიმსხვრეს.

სტრატეგიის გარეშე განვითარებაზე საუბარი არასერიოზულია. თუ რაიმე წინსვლა მაინც შეგვეტყობა, შემთხვევითობის წყალობით მოხდება, სპონტანური და ეპიზოდური იქნება. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ჩვენი განვითარების სტრატეგია უნდა დავწეროთ ჩვენ. განვითარების სტრატეგიას სხვა ვერავინ დაგვიწერს.

ან თუ დაგვიწერს, ეს ჩვენი განვითარების სტრატეგია არ იქნება.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ინტერვიუს ბოლოს ბატონმა ნოდარ კაპანაძემ ჩვენი საუბარი ერთი ფრთიანი ფრაზით გაახალისა: მომავლის მოდელის გარეშე სისტემური კრიზისის დაძლევა შემთხვევითი ღონისძიებებით ისევე შეუძლებელია, როგორც ერთ, ცალკე აღებულ სანტიმეტრზე შუაგულ ჯოჯოხეთში სამოთხის ბაღის გაშენება. ხოლო სააკაშვილის ნაქები სინგაპურის კეთილდღეობის სისტემის საქართველოში გადმონერგვის შესახებ თქვა: ეს იმდენად არასერიოზულია, რომ ამაზე სიტყვის დახარჯვაც კი მენანებაო.**

**ა.ს.**

# ადგილობრივი არჩევნების შედეგები და პერსპექტივები მატეო სალვინისთვის

## ლიბერალების ძალისხმევით ხელისუფლებიდან გაძევებული სალვინი ტრიუმფით ბრუნდება

**26 იანვარს იტალიის ორ დიდ რეგიონში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა. მემარჯვენე ცენტრისტებმა მატეო სალვინის ხელმძღვანელობით „მემარცხენეთა მამულში“, ემილია-რომანიაში, კარგი შედეგი აჩვენეს, კალაბრიაში კი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. ემილია-რომანიაში გამართული არჩევნების შემდეგ იტალიაში არჩევნების ვადამდე ჩატარების პერსპექტივა რეალურია. სალვინის ყოფილმა მოკავშირე ლუიჯი დი მაიომ ემილია-რომანიაში რეგიონულ კენჭისყრამდე რამდენიმე დღით ადრე მოძრაობა „5 ვარსკვლავის“ თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა. მისი ალიანსი დემოკრატებთან, ჯუზეპე კონტეს მეორე მთავრობის შესაქმნელად რომ იქნა შეკოწიწებული, თავიდანვე განწირული იყო.**



დი მაიოს წასვლა მარცხის მიზეზი კი არ იყო, მარცხით იყო გამოწვეული. ეს მარცხი გამოჩნდა ჯერ კიდევ სამი თვის წინათ, როცა უმბრიაში ჩატარებულ რეგიონულ არჩევნებში სალვინის „ლიგამ“ ხმების 57% მოიპოვა, ხოლო ბლოკმა, რომელიც „5 ვარსკვლავისა“ და დემოკრატიული პარტიისგან შეიქმნა, — 38%, აქედან მხოლოდ 7,4% მოდიოდა „5 ვარსკვლავის“ წილად.

უმბრია თითქმის 50 წლის განმავლობაში იყო, ასე ვთქვათ, მემარცხენეების საკუთრება, ხოლო **გამანადგურებელმა გამარჯვებამ სალვინისა და მისი მოკავშირეებისა, რომლებსაც დასავლური პრესა ულტრამემარჯვენეებს უწოდებს (ეროვნული ინტერესების დაცვის, ტრადიციული ოჯახის ერთგულების და არალეგალურ მიგრანტებზე უარის თქმის გამო), აჩვენა, რომ სალვინის ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს.**

**იტალიელ საზოგადოებას ღრმა უნდობლობა აქვს ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ელიტის მიმართ, არაფრად აგდებს ე.წ. დემოკრატიულ ლიდერებს და თვლის, რომ ქვეყანას სჭირდება «მკაცრი ხელი». ყველა მიზეზი არსებობს საიმისოდ, რომ ამომრჩეველი ასევე ფიქრობდეს სრულიად ევროპაში**

იტალიურმა მედიასაშუალებებმა და მათ კვალდაკვალ ევროპულმაც სახელდახელოდ დაასკვნეს, რომ „უმბრია წვრილმანია“ (900 ათასი მცხოვრები), მაგრამ აღიარეს, რომ, თუ იანვრის ბოლოს „ლიბერალებისა და მემარცხენეების მარცხი განმეორდება ემილია-რომანიაში (4,5 მილიონი მოსახლე), ეს იქნება უბედურება“. პოლიტოლოგები ჯიუტად არ „იხსენებდნენ“ კალაბრიას (2 მილიონი ადამიანი), სადაც, ჩატარებული გამოკითხვებით, სალვინის მომხრეები 15-20 პროცენტით უსწრებდნენ სხვებს. ემილია-რომანია იტალიაში ლომბარდიის შემდეგ მეორე რეგიონია ეკონომიკით, იქ ყველაზე დაბალია უმუშევრობის მაჩვენებელი. მემარცხენეები იქ უცვლელად დომინირებდნენ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და შემდგომში მისი გენერალური მდივნის — **პალმირო ტოლიატის** თქმით, აქ „ემილიანოს ლაბორატორიაა“, სადაც იტალიის კომუნისტური პარტია დიდი ხნის განმავლობაში და, რაც მთავარია, საკმაოდ წარმატებით, ახერხებდა ეკონომიკის ზრდას და ატარებდა მოწინავე სოციალურ პოლიტიკას. აქ შეიქმნა ქვეყანაში პირველი სასოფლო-სამეურნეო პროფკავშირები და პირველად აირჩიეს სოციალისტი ეროვნულ პარლამენტში. და აი, სოციალისტებმა პირველად თითქმის 75 წლის განმავლობაში მარცხი იწვნიეს.

### „რკინის ხელი!“

დეკემბრის დასაწყისში პრესტიჟულმა იტალიურმა კვლევითმა ცენტრმა და სოციალური ინვესტიციების ჯგუფმა Censis- მა ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელმაც აჩვენა, რომ საზოგადოებას აქვს ღრმა უნდობლობა ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ელიტის მიმართ, არაფრად არ აგდებს ე.წ. დემოკრატიულ ლიდერებს და თვლის, რომ „ქვეყანას მკაცრი ხელი“ სჭირდება.

გამოკითხულთა 76% ამბობს, რომ არ ენდობა პოლიტიკურ პარტიებს, 65% ელოდება ხელისუფლებაში ძლიერი ლიდერის მოსვლას, ხოლო 48% ამბობს, რომ მას (ლიდერს) უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, მართოს ქვეყანა პარლამენტისა და დემოკრატიული არჩევნების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში „ქვეყანა ფეხზე ვერ წამოდგება“. ლიბერალი პოლიტოლოგები გაოცებულნი არიან საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ამგვარი ორიენტაციის გამო, თუმცა ხალხის ასეთი განწყობა გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო.

2019 წლის აგვისტოში მატეო სალვინიმ, როდესაც ხელისუფლებიდან წასვლის შესახებ განაცხადა, იტალიელებს უთხრა:

**„იტალიელებს ვთხოვ, მომცენ უფლებები იმ მოცულობით, რომელიც საშუალებას მომცემს, შევასრულო ჩემი დაპირებები შეფერხებების გარეშე და იმგვარად, რომ არ მივაქციო ყურადღება მავანთა მცდელობებს, შემიშალონ ხელი“.** ამ მიმართვამ კრიტიკის ნიაღვარი გამოიწვია ლიბერალურ პრესაში — გაზეთებმა სალვინი **დუჩე მუსოლინის** შეადარეს და პარალელების პოვნას ცდილობდნენ მათ გამოსვლებში.

**სკანდალი არ გამოვიდა. Censis-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელმაც კითხვარში სალვინის განცხადებების ფორმულირებები გამოიყენა, ჩანს, რომ იტალიელები მზად არიან, „ლიგის“ ხელმძღვანელს ანდონ ქვეყნის მართვა.** ემილია-რომანიაში ჩატარებულ არჩევნებში დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა, ამჟამინდელმა გუბერნატორმა **სტეფანო ბონაჩინიმ** ხმების 51% მიიღო; სალვინის კოალიციის კანდიდატმა, მემარჯვენე-ცენტრისტმა **ლუჩია ბორგონძონიმ** — 41%-ზე მეტი. არჩევნების შემდეგ მატეო სალვინიმ განაცხადა: **„70 წლის განმავლობაში პირველად ამ „წითელ რეგიონში“ გაიმართა თანაბარი ბრძოლა. მე ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ჩვენმა კანდიდატმა ღირსეული კონკურენცია გაუწია ამჟამინდელ გუბერნატორს. არჩევნებმა აჩვენა, რომ მთავრობა უნდა შეიცვალოს და ხალხი მზად არის ამისთვის“.**

კოლეგას მხარი დაუჭირა იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **სილვიო ბერლუსკონიმ,** რომელმაც თქვა: „არჩევნების შედეგები ხალხის მოთხოვნაა, ადამიანებს სურთ, შეცვალონ მთავრობა“.

რა დასკვნამდე მიდიან იტალიელი პოლიტოლოგები 26 იანვრის არჩევნების შეჯამებისას?

მემარჯვენე-ცენტრისტულ ბლოკს, სალვინის „ლიგის“ ხელმძღვანელობით, მონათესავე პარტიების — „იტალიის ძმებისა“ და „წინ იტალიის“ მხარდაჭერის შემთხვევაში, რომლებსაც, თავის მხრივ, იტალიელი ამომრჩევლის შესაბამისად 11 და 7 პროცენტი უჭერს მხარს, აქვს შესანიშნავი შანსი, მიიღოს აბსოლუტური უმრავლესობა.

ქვეყნის მასშტაბით მორიგი არჩევნები 2022 წელს უნდა გაიმართოს, მაგრამ საეჭვოა, ჯუზეპე კონტეს ამჟამინდელმა კაბინეტმა არჩევნებამდე მიაღწიოს.

**მომზადებულია eadaily.com-ზე გამოქვეყნებული წერილის მიხედვით**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დავით აღმაშენებელმა ხელში აიღო კოალიციური ჯარების დამარცხების ვალდებულება და მსოფლიო ომების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერა დიდგორს გადახდილი უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვების ამბავი და ეწოდა მას „ძლევაი საკვირველი“. დავითი ახლოს იყო თავისი უსაყვარლესი ქალაქის მისადგომებთან, რომელიც 400 წლის განმავლობაში მტრის უღლის ქვეშ გმინავდა და თითქმის მთლიანად გამუსლიმანებული იყო.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №01-3, 2020 წელი

# ორი დიდი ქართველი

**„სტალინის სტატიები უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ტროცკის ყველაზე ბრწყინვალე გულის გადაშლები. არნახული ძალითა და მეთოდურობით ჭედავს იგი მასის ჩლუნგ ტვინში თავისი იდეების მარტივ სქემებს. ძალაუფლება რუსეთში მხოლოდ მის ხელშია, იგი არავის უზიარებს მას, უახლოეს თანამებრძოლებსაც კი. მხოლოდ მან იცის ყველაფერი, რაც რუსეთში ხდება, თავის თანამშრომლებს მხოლოდ იმას ამცნობს, რასაც აუცილებლად მიიჩნევს — დანარჩენს თავისთვის იტოვებს. ეს მას შეუცვლელს ხდის, კომუნისტებმა მშვენივრად იციან, რომ სტალინის დამხობა მთელი სისტემის დამხობას გამოიწვევს — მხოლოდ იმის გამო, რომ რუსეთში არ არის ადამიანი, რომელიც ისე უნივერსალურად ერკვევა საბჭოეთის ცხოვრების ყველა საკითხში, როგორც ის“ — ეს ფრაზა ეკუთვნის მუჰამედ ასად ბეკს, აზერბაიჯანელი ხალხის „კლასიკოს“ მწერალს, როგორც მას უწოდებს ქართველი მწერალი რევაზ მიშველაძე. ეს მეტ-ნაკლებად სასიამოვნო სიტყვები სტალინზე იმიტომ მოვიშველიე, რომ სწორედ ამ „კლასიკოსად“ წოდებულმა მწერალმა მუჰამედ ასად ბეკმა დაწერა რომანი „ალი და ნინო“, რომლის მთავრი პერსონაჟი ქართველი ქალი ნინო ყიფიანი გახლავთ. ეშხში შესულმა მწერალმა „დოკუმენტურ“ მასალებზე დაყრდნობით 1932 წელს გერმანიაში გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა წიგნი სტალინზე — „სტალინი — ფანატიკოსის კარიერა“.**

მუჰამედ ასად ბეკი 1905 წელს დაიბადა ქალაქ ბაქოში. აზერბაიჯანის გასაბჭოებისთანავე მშობლებთან ერთად გაემგზავრა ემიგრაციაში, ცხოვრობდა გერმანიასა და იტალიაში, გარდაიცვალა 1942 წელს 37 წლისა იტალიაში. გამოდის, რომ „სტალინი — ფანატიკოსის კარიერა“ ახალგაზრდა მწერალმა 31 წლისამ დაწერა. ბევრი ქება და ძაგება წამიკითხავს სტალინზე, მაგრამ უფრო შეუფერებელი ტიტული სტალინისთვის არც ერთ მუცლითმეზღაპრეს არ მიუნიჭებია. მუჰამედ ასად ბეკი ახლოსაც არ არის სტალინის ფენომენისა და მისი პირადი ცხოვრების ამსახველ დოკუმენტებთან და აშკარა სისულელეს აფრქვევს ამ სქელტანიან წიგნში. მაგალითისთვის რამდენიმე ფაქტს მოვუხმობ ხსენებული წიგნიდან:

* „მისი სისტემის მიერ გაჩენილ გაჭირვებას, სიღარიბეს, მათხოვრობას დიქტატორი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. ის, ალბათ, ერთადერთი კომუნისტია, რომელიც, ყველა წარუმატებლობის, იმედგაცრუებისა და მარცხის მიუხედავად, ინარჩუნებს მსოფლიო რევოლუციის გარდაუვალობის მისტიკურ რწმენას. სწორედ იდეის ფანატიკური ერთგულება, რომელიც განპირობებულია გონებრივი შეზღუდულობითა და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებში სრული უმეცრებით, აძლევს სტალინს არნახულ, უსაზღვრო თავდაჯერებულობას. კომუნიზმის ყველა საშინელება, მისი რეჟიმის წარმოუდგენელი სისასტიკე, მსოფლიო რევოლუციის დღე როდესაც დადგება, მისთვის ისტორიულად გამართლებული იქნება. მაგრამ მსოფლიო რევოლუცია არ ჩანს, ის ჯერ არ მომხდარა, მიუხედავად ელჩებისა და აგენტების მოხსენებისა, რომლებიც ყოველდღიურად ამცნობენ სტალინს მისი მოახლოების შესახებ, სულ უფრო პირქუში და დაღვრემილი ხდება დიქტატორი. ერთ რამეში არ ეპარება მას ეჭვი: რევოლუცია მხოლოდ მისი, სტალინის, ბრძანებით, მხოლოდ მისი ხელმძღვანელობით შეიძლება მოხდეს“.

ვის შეეძლო დაეწერა ეს სისულელე მაშინ, როდესაც მსოფლიო რევოლუციის იდეის წინააღმდეგ მებრძოლი სტალინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა მსოფლიო რევოლუციის მომხრე **ტროცკის** და ზურგი შეაქცია არა მხოლოდ ლენინს, არამედ სრულიად პარტიულ ელიტას?

მუჰამედ ასად ბეკი იქვე გვმოძღვრავს:

**„სტალინს მხოლოს ერთი ჟინი აქვს — კომუნიზმის ერთგულება. კომუნიზმის იდეას მან ყველაფერი შესწირა, თავისი მასწავლებლის — ლენინისადმი ერთგულებაც კი. როდესაც მან შენიშნა, რომ ლენინი, ადამიანი, რომელსაც იგი ათობით წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა, ჩამოშორდა ძველი მოძღვრების ზოგიერთ პრინციპს, ის დაუპირისპირდა მას და მიაღწია „თავისი“ კომუნიზმის გადარჩენას. დრო და დრო სტალინს ცოდნის გაუგებარი წყურვილი ეწყება. ის გრძნობს, რომ ტიფლისის სემინარიაში მიღებული თეოლოგიური მომზადება არ არის საკმარისი ზესახელმწიფოს სამართავად. რამდენიმე წლის წინათ მან ინგლისური ენის შესწავლა გადაწყვიტა, რაღაც ხნის განმავლობაში იმეცადინა და, როცა დარწმუნდა ამ მცდელობის უიმედობაში, მომავალი მსოფლიო რევოლუციის იმედით გერმანული ენის შესწავლას შეუდგა. მაგრამ სტალინისთვის ენების დაუფლება სრულიად მიუღწეველი ამოცანაა — რუსეთში მრავალწლიანი ბატონობისას მან რუსულად სწორად ლაპარაკის შესწავლაც კი ვერ შეძლო“** (ეს მაშინ, როდესაც, რუსების აღიარებით, სტალინი პუშკინის ენით წერდა და საუბრობდა. — გრ. ონიანი).

მუჰამედ ასად ბეკი ცრუობს და ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ:

**„ყოველ ზაფხულს, როდესაც სამუშაო ნაკლებია, იგი ერთთვიან შვებულებას იღებს და პატარა საბჭოთა რესპუბლიკაში, საქართველოში, მიემგზავრება — ქვეყანაში, საიდანაც იგი ოდესღაც გააძევეს, ახლა კი მისი თვალუწვდენელი სამფლობელოს პატარა ნაწილია. ზოგჯერ იგი აფხაზეთში ჩადის, შავი ზღვის სანაპიროზე — მსოფლიოში ულამაზეს სანაპიროზე, რომელიც პრინცმა პეტრე ოლდენბურგელმა აღმოაჩინა და გააშენა. ზღვის პირას პრინც ოლდენბურგელისა და მეფის მიერ აშენებული სასახლეები ახლა კომუნისტური თავად-აზნაურების საზაფხულო დასვენების ადგილია. მაგრამ სტალინს აფხაზეთის სასახლეები არ იზიდავს. ყველაზე ხშირად იგი შვებულებას თავის მშობლიურ გორში ატარებს, სადაც ის ოდესღაც წარუმატებლად ცდილობდა მეწაღის ხელობის შესწავლას** (1911 წლის შემდეგ სტალინი გორში არ ყოფილა. — გრ. ონიანი).

**იქ იგი სახელგანთქმული თავადის, ამილახვრის, ძველ ციხე-კოშკში ცხოვრობს, ისვენებს, ქალაქისა და უფლისციხის ძველი ციხესიმაგრის ხედებით ტკბება და მსოფლიო რევოლუციის ბედზე ფიქრობს** (კიდევ მსოფლიო რევოლუცია. — გრ. ონიანი). **შვებულების დროსაც კი ქართულ ვენახებში ის არ ივიწყებს მიმდინარე სახელმწიფოებრივ საქმეებს. მსოფლიო რევოლუციის ცენტრთან მის მუდმივ კავშირს ტელეფონის სადენები, რადიოსადგურები, შიკრიკები უზრუნველყოფენ. საქართველოდან ყოველდღიურად იგზავნება გრძელი ბრძანებები და განკარგულებები, რომლებიც მოწმობს, რომ დიქტატორს თავის შორეულ სიმარტოვეშიც მყარად უპყრია ხელთ მართვის სადავეები. კავკასიაში მოგზაურობისას სტალინი რამდენიმე დღით ყოველთვის ჩერდება ტიფლისში** (სულ ორჯერ იყო 1927-35 წ. — გრ. ონიანი), **თავისი უდიდესი „საგმირო საქმეების“ ქალაქში. იქ იგი, ძველი ჩვეულებით, უპირველეს ყოვლისა, სარკინიგზო დეპოში მიდის, სადაც პირველად ეზიარა სოციალიზმის იდეებს. ტიფლისის სარკინიგზო დეპოში ჯერ კიდევ არის რამდენიმე ქართველი, მოხუცი მუშა, რომლებსაც ახსოვთ ის ხანა, როდესაც ნორჩი სემინარისტი სტალინი მოკრძალებით მიდიოდა მათ შეკრებებზე. სტალინი გადაეხვევა და გადაკოცნის ხოლმე ვეტერან მუშებს, რომლებიც, ძველი ჩვევით, მას სოსოს ან კობას ეძახიან, კუთხეში ჯდება და**



**მუჰამედ ასად ბეკი 1905 წელს დაიბადა ქალაქ ბაქოში. აზერბაიჯანის გასაბჭოებისთანავე მშობლებთან ერთად გაემგზავრა ემიგრაციაში, ცხოვრობდა გერმანიასა და იტალიაში, გარდაიცვალა 1942 წელს 37 წლისა იტალიაში. გამოდის რომ «სტალინი — ფანატიკოსის კარიერა» ახალგაზრდა მწერალმა 31 წლისამ დაწერა. ბევრი ქება და ძაგება წამიკითხავს სტალინზე, მაგრამ უფრო შეუფერებელი ტიტული სტალინისთვის არც ერთ მუცლითმეზღაპრეს არ მიუნიჭებია. მუჰამედ ასად ბეკი ახლოსაც არ არის სტალინის ფენომენისა და მისი პირადი ცხოვრების ამსახველ დოკუმენტებთან და აშკარა სისულელეს აფრქვევს ამ სქელტანიან წიგნში**



სტალინი სიტყვით გამოდის მუშებისა და გლეხების წინაშე

**მეგობრებთან ერთად, ძველი კავკასიური წესით, ქართულ ღვინოს მიირთმევს“.**

ასე იწერებოდა სიცრუე ადამიანზე, რომელსაც ხალხთა ბედნიერებისთვის გადადებული ჰქონდა არა მხოლოდ თავისი სისხლი წვეთ-წვეთად, არამედ თავისი სიცოცხლე...

**დავით აღმაშენებელმა** ხელში აიღო კოალიციური ჯარების დამარცხების ვალდებულება და მსოფლიო ომების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერა დიდგორს გადახდილ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვების ამბავი და ეწოდა მას „ძლევაი საკვირველი“. დავითი ახლოს იყო თავისი უსაყვარლესი ქალაქის მისადგომებთან, რომელიც 400 წლის განმავლობაში მტრის უღლის ქვეშ გმინავდა და თითქმის მთლიანად გამუსლიმანებული იყო. ჯარის ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ქართველმა „დინოზავრმა“ თბილისს შეუტია:

„დიდგორის ბრძოლის ძლევამოსილად გადახდის შემდეგ დავით აღმაშენებელმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, თბილისს მიაშურა და **„მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“** (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342). **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თბილისის შემოერთების თარიღად დებს 1122 წელს** („ქრონიკონი ▶

**თუ თბილისისთვის ბრძოლას პირობითად ორ პერიოდად დავყოფთ, მაშინ პირველი პერიოდია 1120-1122 წლები — თბილისის მოქალაქეთ მიერ დაცვით აღმაშენებლის უფლების აღიარება, ქალაქში შიჰნის გაგზავნა და ხარკის დაწესება, დიდგორის ბრძოლა, თბილისის აღება (თვითმმართველობის დატოვებით); მეორე პერიოდია 1123 წლიდან, როცა თბილისში თვითმმართველობა გაუქმდა და „სრულიად შემოყენებული იყო უღელსა ქუეშე მორჩილებასასა“. ამ დროიდან საქართველოს სატახტო ქალაქად ისევ თბილისი იქცა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



...იყო სამას ორმოცდაორი“). **დიდგორის ბრძოლის შემდგომ ამბებს ალ-ფარიკიც** გადმოგვცემს:

*„მას შემდეგ რაც დამარცხებულ იქნა მუსლიმთა ლაშქარი, დაბრუნდა აფხაზთა მეფეც და თბილისთან დაბანაკებულმა ალყა შემოარტყა მას, ხოლო შემდეგ მახვილით დაეუფლა (თბილისს) და შევიდა ქალაქში ხუთას თხუთმეტ (1122) წელს. მან გაძარცვა იგი და ცეცხლს მისცა მისი დიდი ნაწილი. შემდეგ კი შეიწყალა მცხოვრებნი და კარგად ეპყრობოდა მათ. დაუდგინა მათ (მოქალაქეებს) ის პირობები, რომლებიც თვით აირჩიეს“.

დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებას უყურადღებოდ არ ტოვებს **მათევოს ურჰაეცი:** „ამავე წელს აიღო ქართველთა მეფე დავითმა ქ. თბილისი და სასტიკი ხოცვაჟლეტა მოახდინა ქალაქში, ხოლო 500 კაცი წვეტიან სარზე წამოაცვა და წამებით დახოცა“.

**იბნ-ალ-ჯაუზიც** ხაზს უსვამს, რომ **დავით აღმაშენებელმა თბილისი მახვილით დაიპყრო, გადაწვა და გაძარცვა. დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების შესახებ ვრცელი ცნობები აქვს იბნ-ალ-ასირს, რომლის მიხედვითაც დიდგორის ბრძოლის შემდეგ უკან მობრუნებულმა გამარჯვებულმა ქართულმა ლაშქარმა „ალყა შემოარტყა თბილისს. ისინი ებრძოდნენ მათ, ვინც იყო ქალაქში; ძლიერ შეავიწროვეს ისინი და მისი (თბილისის) მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში ჩააგდეს. ალყა გაგრძელდა 1122 წლამდე, როცა მათ ძალით აიღეს იგი (თბილისი). ქალაქის მოსახლეობამ, როცა დაინახა დაღუპვის საშიშროება, გაგზავნა ქართველებთან ყადი და ხატიბი და მშვიდობა ითხოვა. მაგრამ ქართველებმა არ შეისმინეს მათი თხოვნა, შეურაცხყვეს ისინი (ყადი და ხატიბი) და ძალით შევიდნენ ქალაქში, დაანგრიეს და გაძარვეს იგი“.**

როგორც ზემოთ მოყვანილი წყაროებიდან ჩანს, დიდგორის ბრძოლის დამთავრებისა და თბილისის აღების შემდეგ, ფაქტობრივად, დასრულდა საქართველოს სამეფოს მიერ წარმოებული ქვეყნის შემომტკიცების პროცესი. ამიერიდან თბილისი სამეფო ქალაქი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისმა დამოუკიდებლობა დაკარგა, ერთხანს თვითმმართველობა მაინც შეინარჩუნა. ფრიად საგულისხმო ცნობა მოეპოვება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ახალშემოერთებული თბილისის შესახებ: **„ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აქ“** (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 349).

ამ ცნობას ყურადღება მიაქციეს **ივ. ჯავახიშვილმა** (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIIსს, თხზ, ტ. VIII გვ. 212), **შ. მესხიამ** (საქალაქო კომუნა. გვ 98), **ვ. გაბაშვილმა** (ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ჟამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან I, თბ, 1966, გვ 157.) და სხვ., იმ თვალსაზრისით, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი განსხვავებულად წარმოადგენს თბილისის მდგომარეობას მის სრულ დამორჩილებამდე და დამორჩილების შემდეგ. ვ. გაბაშვილი საგანგებოდ შეჩერდა თბილისის მოქალაქეთა ამბოხებაზე 1122-23 წლებში (იხ. სტატია თბილისის სოციალური ისტორიიდან, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ, 1976, გვ. 166-177). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს ფრაზა: **„რამეთუ ოდესმე ყვიან ღავღავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი“. „ღავღა“** აღმოსავლურ წყაროებში მღელვარებას, ამბოხებას აღნიშნავს. 1122 წელს სწორედ თბილისის მოქალაქეთა ამბოხება მოხდა, როდესაც ხან ცხრებოდა, ხან ახალი ძალით ძლიერდებოდა ის (ვ. გაბაშვილი). იწყებოდა მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა, ქვეყანა სავსე იყო „სისხლითა ქრისტიანეთათა“ და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ“. დავით აღმაშენებელმა ეს ამბოხებაც ძლევამოსილად ჩააქრო და თბილისი სრულად დაიმორჩილა.

**თუ თბილისისთვის ბრძოლას პირობითად ორ პერიოდად დავყოფთ, მაშინ პირველი პერიოდია 1120-1122 წლები — თბილისის მოქალაქეთ მიერ დაცვით აღმაშენებლის უფლების აღიარება, ქალაქში შიჰნის გაგზავნა და ხარკის დაწესება, დიდგორის ბრძოლა, თბილისის აღება (თვითმმართველობის დატოვებით); მეორე პერიოდია 1123 წლიდან, როცა თბილისში თვითმმართველობა გაუქმდა და „სრულიად შემოყენებული იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა“. ამ დროიდან საქართველოს სატახტო ქალაქად ისევ თბილისი იქცა (აკადემიკოსი როინ მეტრეველი. „დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი“. გვ 237-238-239).**

მაგრამ რა დალევს ქვეყნად მუჰამედ ასად ბეკებს? და დავით აღმაშენებლის „ძლევაი საკვირველი“-სა და დამპყ...




**რა დალევს ქვეყნად მუჰამედ ასად ბეკებს და დავით აღმაშენებლის «ძლევაი საკვირველი»-სა და დამპყრობთაგან თბილისის გათავისუფლებიდან ცხრა საუკუნის მიწურულს «ქართველმა» მუჰამედ ასად ბეკმაც (კახა ბენდუქიძემ) შეარჩია საქილიკო თემა და ცინიზმითა და სარკაზმით გაჟღენთილ უზარმაზარ მუცელში ატეხილი ხმაურისა და აურზაურის ფონზე შექმნა ოპუსი დავით აღმაშენებელზე, თბილისზე, ქუთაისსა და დიდგორზე**

...რობთაგან თბილისის გათავისუფლებიდან ცხრა საუკუნის მიწურულს, „ქართველმა“ **მუჰამედ ასად ბეკმაც (კახა ბენდუქიძემ)** შეარჩია საქილიკო თემა და ცინიზმითა და სარკაზმით გაჟღენთილ უზარმაზარ მუცელში ატეხილი ხმაურისა და აურზაურის ფონზე შექმნა ოპუსი დავით აღმაშენებელზე, თბილისზე, ქუთაისსა და დიდგორზე.

იხილეთ ტექსტი:

**„ერთი ბიჭის ისტორია მინდა, ერთ ბიჭზე მოგიყვეთ.**

**ქუთაისელი იყო. თბილისი ბავშვობიდან არ უყვარდა. ცხენები უყვარდა. ოცნებებში ხედავდა, ცხენზე ამხედრებული თავის რაზმელებთან ერთად თბილისელებს მუსრს როგორ ავლებდა. ჯანიანი ბიჭი იყო, მოჩხუბარი, დიდი დანა ჰქონდა და კარგადაც ატრიალებდა, თუმცა წესრიგი უყვარდა.**

**16 წლის იყო, როცა მამამ საგვარეულო ბიზნესი გადასცა სამართავად. მართვის ნიჭი აღმოაჩნდა, საქმე კარგად გამოსდიოდა.**

**ბევრ რამეზე ფიქრობდა, ბევრი იდეა აწუხებდა.**

**მამამ უთხრა, ჩვენ ებრაული წარმოშობისანი ვართო, და სახელიც ებრაული დაარქვა, თუმცა მართლმადიდებლური სარწმუნოებით მონათლა. დიდი ბებია სომეხი, ბებია კი ოსი ჰყავდა. ცოლი ჯერ სომეხი ჰყავდა (მერე სახლიდან გააგდო და მონაზვნად აღაკვეცინა), და — მერე გადამთიელი (სადღაც დონსა და ვოლგას შორის დაბადებული). უნდოდა, საქართველოში თავისი ურჯულო ძმაკაცები ჩამოეყვანა — დარწმუნებული იყო, რომ ეგენი არ უღალატებდნენ — ქუთაისელების იმედი არ ჰქონდა, თბილისელების — მით უფრო. თან ერთი-ორი კაცი კი არა, ბევრი უნდოდა ჩამოესახლებინა.**

**მორწმუნე კი იყო, მაგრამ ეკლესიასთან ვერ დაალაგა საქმეები. ეკლესია მის კონკურენტებს უჭერდა მხარს. მას კი არ მოსწონდა, ნებისმიერ ავაზაკს და ძველ ბიჭს რომ შეეძლო ჯერ ემამაძაღლა, ექურდა, მერე ფული ეკლესიისთვის შეეწირა და კარგი ტიპი გამხდარიყო, შეიძლება ეპისკოპოსიც კი. ქრთამები არ ევასებოდა ეკლესიაში, უცბად რომ სამღვდელო კარიერას აკეთებდნენ ბლატით და ა.შ. ამეებზე ძაან იბოღმებოდა. ნატრობდა — ეკლესიაში განხეთქილება მოხდეს და ვინმე ჩემიანი დაწინაურდესო. თავის ბიზნესს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ეკლესიას.**

**გადასახადებზეც უცნაური მოსაზრებები ჰქონდა — ვითომ უნდა სდომებოდა ქართველებისთვის შეღავათები, ის კი პირიქით ფიქრობდა: ქართველები სად წავლენ, მაინც აქ იქნებიან, უცხოელებს კი ნაკლები გადასახადები უნდა ჰქონდეთ გადასახდელიო.**

**ბევრს არ მოსწონდა, ბევრი ებრძოდა, დაუნდობელი იყო, საქმეში ხელს თუ შეუშლიდი, გაგანადგურებდა.**

**რას იტყვით მასზე თქვენ?**

**რა უნდა თქვას თბილისელმა, ქართული ჯიშისა და ჯილაგის მაქებარმა კაცმა, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ხაზინიდან მოპარული ფულით კაცურად რომ ქეიფობს და საქართველოს სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით სვამს, ახლა კი სოროსისტებმა და ლიბერასტებმა სამშობლო გაუყიდეს, სამსახური დაუკარგეს და ქართველობას ართმევენ?**

**რას იტყვის არაერთი ჟინიანი პოლიტიკოსი, უცხო წარმოშობა ხინჯად რომ მიაჩნია?**

**რას იტყვის ქართველი დედა, შვილს რომ ეუბნება: სომეხი, რუსი, მაჰმადიანი ცოლად არ მოიყვანოო? რას იტყვიან მართმადიდებელ მშობელთკავშირელა სახალხო მართლმადიდებლები?**

**რას იტყვის ზოგი ქართველი, წარმოება რომ გადაარჩენს საქართველოს, თორემ მთავრობა მას კი არ ეხმარება უცხოელებს ეძებს?**

**ბიჭი 1089 წელს გამეფდა.**

**1103 წელს მოიწვია რუისურბნისის კრება, გადააყენებინა ულირსი სამღვდელო პირები, მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების გაერთიანებით დაუქვემდებარა ეკლესია სახელმწიფოს (რაც ოთხი საუკუნის მერე გააკეთა ჰენრი მერვემ ბრიტანეთში და ხუთი საუკუნის შემდეგ პეტრე პირველმა — რუსეთში).**

**1118 წელს საქართველოში ჩამოასახლა რამდენიმე ათეული ათასი ყივჩაღთა ოჯახი, რაც ქართული მოსახლეობის (სავარაუდოდ, 100 ათასი ოჯახი) მნიშვნელოვანი წილი იყო.**

**1122 წელს, დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ალყა შემოარტყა და სისხლისმღვრელი ბრძოლით დაიპყრო თბილისი, სამი დღე ალაფი აკრეფინა თავის რაზმებს და შემდეგ, ქალაქში მოსახლეობის და გამოცდილების შესანარჩუნებლად, დაუწესა გადასახადი ასე: მუსლიმებს — სამი დინარი, ებრაელებს — ოთხი და ქართველებს — ხუთი.**

**1125 წელს, მრავალი სხვა საქმის გაკეთების შემდეგ, 53 წლის ასაკში, აღსრულდა წმიდა კეთილმსახური დავით მეოთხე ბაგრატიონი, მეფე ყოვლისა საქართველო?სა აღმაშენებელად წოდებული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, ბიბლიური დავითის მოდგმა, ოსი ბორენას შვილიშვილი და სომეხ მარიამ არწრუნის შვილთაშვილი, რუსუდან სომეხთა მეფის-ასულის და გურანდუხტ ყივჩაღთმთავარ ათრაქას-ასულის მეუღლე.**

**მან დაწერა საკუთარ თავზე:**

**ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონად მივჰყიდე თავი“.**

ეს ის კახა ბენდუქიძეა, რომელმაც გვიანდერძა:

„გავყიდოთ ყველაფერი, სინდისის გარდა“.

მაშინ რა ვიცოდით, რომ ამ ფაშვგადმოგდებულ ქართველთყლაპიას თურმე რუსეთში ვინმე ებრაელისთვის სინდისიც მიყიდული ჰქონია. ასე გვიტოვებდა ეს სინდისგაყიდული კაცი სინდიდის შენარჩუნებაზე ანდერძს, არადა, სინდისთან ერთად, გაყიდული ჰქონია დავით IV აღმაშენებელი, თბილისი და მასთან ერთად სრულიად საქართველო.

განგება ყველას ანგარიშს გაუსწორებს და, თუ მე ცილისწამებით მაქვს რამე ნათქვამი ბენდუქიძის მიმართ, ისევ მე დამიბრუნდება...

**ამ ფაშვგადმოგდებულ ქართველთყლაპიას თურმე რუსეთში ვინმე ებრაელისთვის სინდისიც მიყიდული ჰქონია. ასე გვიტოვებდა ეს სინდისგაყიდული კაცი სინდისის შენარჩუნებაზე ანდერძს. არადა, სინდისთან ერთად გაყიდული ჰქონია დავით IV აღმაშენებელი, თბილისი და მასთან ერთად სრულიად საქართველო. განგება ყველას ანგარიშს გაუსწორებს და, თუ მე რამ ცილისწამებით მაქვს რამე ნათქვამი ბენდუქიძის მიმართ, ისევ მე დამიბრუნდება...**

**P.S. ზემოხსენებული ოპუსი კახა ბენდუქიძეს თამარა ჩერგოლეიშვილის ჟურნალ „ტაბულაში“ გამოუქვეყნებია 2010 წელს. არ ვიცოდი, თუ ქალბატონი თამარა „კრასავიცასთან“ ერთად „მკრასკავშიჩაც“ იყო.**

ახალი იმპერია?
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მუსლიმანურ სამყაროში დიდი ბრიტანეთის სისხლიანი წარსულის დავიწყება, მეგობრობისა და სიყვარულის განმტკიცება მომავალში — აი თანამედროვე ლონდონისა და მისი საგარეო-პოლიტიკური სამსახურის ძირითადი ამოცანა. ისლამური სამყარო — ეს არის ნავთობი და ექსტრემიზმი. ერთიცა და მეორეც — ეს არის ფული და ტერორზე დამყარებული ძალაუფლება.**

# ბრიტანელთა ეშმაკური მრავალსვლიანი კომბინაცია: სურთ, ინგლისის დედოფალი ელისაბედ II მუჰამედის შთამომავლად გამოაცხადონ

**2018 წელს რამდენიმე მუსლიმანურ ვებგვერდზე გაჩნდა ისტორია წინასწარმეტყველ მუჰამედის გვირგვინოსან მემკვიდრეზე. ვებგვერდები ამ ისტორიის გავრცელებისას მაროკოში გამომავალ რომელიღაც გაზეთს ეყრდნობოდნენ. საქმე იმაზე სერიოზულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა.**

ეს ვერსია პირველად 1968 წელს გაჩნდა ლონდონში. მასზე ილაპარაკეს ავტორიტეტული გამოცემა Burke's Peerage-ს ექსპერტებმა, რომლებიც, თითქმის 200 წელიწადია, ბეჭდავენ ევროპისა და ლათინური ამერიკის მონარქების, აგრეთვე, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის მმართველი ოჯახების, აშშ-ის გამორჩეული დინასტიებისა და არისტოკრატიული გვარების გენეალოგიურ ცნობარებს.

**ვინძორების საგვარეულოს გამოკვლევისას ექსპერტებმა იპოვეს მათი სისხლისმიერი ნათესაური კავშირი ისლამის დამფუძნებელთან, რომელსაც მუსლიმანები წინასწარმეტყველად აღიარებენ. მუჰამედი VII საუკუნეში გარდაიცვალა მედინაში (საუდის არაბეთი), ხოლო დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელი მონარქი ელისაბედ II თითქოს მისი შთამომავალია (43-ე თაობის).**

**„ბრიტანელებმა ცოტა რამ იციან იმის შესახებ, რომ დედოფლის ძარღვებში მუჰამედის სისხლი სჩქეფს, — განაცხადა გამოცემის ხელმძღვანელმა ჰაროლდ ბრუქს-ბეიკერმა, — მაგრამ მუსლიმანი რელიგიური ლიდერები ამ ფაქტით ამაყობენ“.**

გაჩნდა გენეალოგიური ხეც, რომელიც ამტკიცებს ნათესაობას.

ვერსია პერიოდულად ამოტივტივდებოდა ხოლმე პრესაში. მასზე წერდნენ ბრიტანული „თაიმსი“, ესპანური ABC და სხვა სერიოზული გამოცემები.

## ვარსკვლავთვალება პრინცესა

„ელისაბედ II-ის არაბულ (ე.ი. ისლამურ) ფესვებზე საუბრები საკმაოდ სიმპტომატურია, — მიაჩნია სისტემურ-სტრატეგიული ანალიზის ინსტიტუტის დირექტორ **ანდრეი ფურსოვს**, — ჟურნალმა The Economist-მა გამოაქვეყნა სტატია „ხალიფა დედოფალია?“. მასში ლაპარაკია იმაზე, რომ ინტერნეტფორუმ „არაბულ ათეისტურ ქსელში“ გაჩნდა წერილი სათაურით **„დედოფალმა ელისაბედმა უნდა განაცხადოს მუსლიმანების მართვის თავისი უფლების შესახებ“. საფუძველი — დედოფლის ნათესაობა წინასწარმეტყველ მუჰამედთან, რაც ავტომატურად ნიშნავს ელისაბედის ნათესაობას მაროკოსა და იორდანიის მეფეებთან და ირანის აიათოლა ალი ჰამენეისთან. ეს ინფორმაცია სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს მუსლიმანურ სამყაროში. კიდევ უფრო ადრე ეს ფაქტი დაადასტურა ალი გომაამ — ეგვიპტის ყოფილმა დიდმა მუფთმა.**

ამ სქემაში ცენტრალური ფიგურაა მუსლიმანი პრინცესა, სახელად **ზაიდა** — ვარსკვლავთვალება ლამაზმანი, მუჰამედის შთამომავლის — სევილიის ემირ **მუთამიდ ბინ ამადის**, ქალიშვილი.

XI საუკუნეში ის გაექცა ბერბერებს, რომლებიც თავს დაესხნენ სევილიას და მიაშურა **ალფონსო VI**-ის, კასტილიელი ქრისტიანი მეფის, კარს. იქ ზაიდას დაარქვეს იზაბელა, რომელიც მოინათლა, და ალფონსო XI-ს ვაჟი გაუჩინა — **სანჩო.** სანჩოს შთამომავლებიდან ერთ-ერთი (ქალის ხაზით) XIV საუკუნეში ცოლად გაჰყვა კემბრიჯის გრაფს. ისლამის დამფუძნებლის, წინასწარმეტყველ მუჰამედის შთამომავლის სისხლი შეერია ვინძორებისას.

ჟურნალმა „ეკონომისტმა“ თავისი წვლილი შეიტანა ვინძორების „მუსლიმანურ ხაზში“, როცა აქცენტი გააკეთა **პრინც ჩარლზის** („ბინ ფილიპის“) ინტერესზე ისლამის მიმართ. **პრინც ჩარლზის ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირი, მუსლიმანი, ამბობს, რომ პრინც ჩარლზს ზოგჯერ სურდა, რამდენიმე ცოლი ჰყოლოდა. პრინცი მფარველობს ისლამური კვლევების ოქსფორდის ცენტრს, სადაც მუსლიმებს ესალმებიან ფრაზით: „ას-სალამ-ალეიქუმ“ („მშვიდობა თქვენ“). იმასაც ამბობენ, რომ თავის შესაძლო კორონაციას ჩარლზი არ შეზღუდავს მხოლოდ ერთი რელიგიის ატრიბუტიკით. The Economist-ის მიხედვით, არის ინფორმაცია, რომ პრინცს სურს, აღიარონ არა „ქრისტიანული მრწამსის დამცველად“, არამედ, უბრალოდ, „მრწამსის დამცველად“. ისლამში ამას ეწოდება „ამირ ალ-მუმინინი“ — „ჭეშმარიტი მორწმუნეების წინამძღოლი“.**

სხვათა შორის, თვითონ ჩარლზს, და ეს სრულიად გასაგებია, მსგავსი სურვილი საჯაროდ არასოდეს გამოუთქვამს. ასეა თუ ისე, ასეთი ინფორმაციის დაბეჭდვა ჟურნალში, რომელიც დიდი ბრიტანეთის რამდენიმე მდიდარი ოჯახის საკუთრებაა, მათ შორის, **როტშილდების,** სიმპტომატურია.

## ბრიტანეთის იმპერია ისლამის დროშის ქვეშ

არსებობს ვერსია, რომ წინა პლანზე წამოწევა ისტორიისა, რომ ელისაბედ II-ის ძარღვებში თითქოს მუსლიმანური სისხლი ჩქეფს, შემთხვევითი არ არის. **ლონდონმა გადაწყვიტა, მკვდრეთით აღადგინოს ბრიტანეთის ყოფილი იმპერია ისლამური დროშის ქვეშ, ამიტომ გადის ევროკავშირიდან ინგლისი, რომელმაც შეინარჩუნა თავისი ვალუტა. ვინძორებს დიდი კავშირი აქვთ ახლო აღმოსავლეთის მონარქიულ ოჯახებთან. თვით მუსლიმანები კი განცალკევებულები არიან. მათ არ ჰყავთ სერიოზული პოლიტიკური ელიტა, რომელიც გააერთიანებდათ. სამაგიეროდ, ასეთი რამ შეუძლიათ ვინძორებს, თანაც დედოფალი წინასწარმეტყველ მუჰამედის „ნათესავია“.**

ცნობილია, რომ 1970-იანი წლებიდან ლონდონი ცდილობს, აღადგინოს ჩერჩილის მიერ დანგრეული ბრიტანეთის იმპერია, ოღონდ ადრინდელისგან განსხვავებულ საძირკველზე.


ელისაბედ II

*** ინგლისის დედაქალაქის მერად პირველად აირჩიეს მუსლიმანი, პაკისტანური წარმოშობის სადიკ ხანი.**
*** ლონდონის 23 რაიონში (33-დან) თეთრკანიანები უმცირესობას წარმოადგენენ. ამ ფაქტს ხელისუფლება და მასმედია გულმხურვალედ მიესალმებიან, არანაკლებ გულმხურვალედ, ვიდრე ჰომოსექსუალურ ქორწინებებს.**
*** მათი რაოდენობა, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს, ბრიტანეთში ბოლო პერიოდში 37-დან 32 მლნ-მდე შემცირდა, მუსლიმანთა რაოდენობამ კი 1,5 მლნ-დან 2,7 მლნ-მდე მოიმატა**

**ამჟამად ლაპარაკია უჩინარ, გლობალურ ფინანსურ იმპერიაზე, რომლის ანკლავებიც მიმოფანტულია მსოფლიოში. XX საუკუნის ბოლო მესამედში იმპერიის აღდგენის საშუალებად არჩეული იყო ჩინეთი. ბრიტანელებმა ბევრი რამ ჩადეს მასში — ეს პეკინის ინტერესებსაც შეესაბამებოდა. შემდეგი ნაბიჯი იყო საბჭოთა კავშირის დანგრევა. არაბულ-მუსლიმანური სამყაროს განსაზღვრულ სეგმენტზე კონტროლის აღდგენა და მისი საშუალებით არაბულ-მუსლიმანური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილის გაკონტროლება — ლოგიკურად ეს შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს. და მაშინ უკვე გასაგებია ელისაბედის Islamic connection-ი („ისლამური კავშირი“) და ბრიტანეთის ხელისუფლების პოზიცია ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმანების მიმართ.**

დიდ ბრიტანეთში მუსლიმანების გავლენა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ისეთია, რომ საზოგადოების ზედა ფენების ზოგიერთი წარმომადგენელი ძალდაუტანებლად მიიღებს ისლამს.

*** ინგლისის დედაქალაქის მერად პირველად აირჩიეს მუსლიმანი, პაკისტანური წარმოშობის სადიკ ხანი.**

*** ლონდონის 23 რაიონში (33-დან) თეთრკანიანები უმცირესობას წარმოადგენენ. ამ ფაქტს ხელისუფლება და მასმედია გულმხურვალედ მიესალმებიან, არანაკლებ გულმხურვალედ, ვიდრე ჰომოსექსუალურ ქორწინებებს.**

*** მათი რაოდენობა, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს, ბრიტანეთში ბოლო პერიოდში 37-დან 32 მლნ-მდე შემცირდა, მუსლიმანების რაოდენობამ კი 1,5 მლნ-დან 2,7 მლნ-მდე მოიმატა.**

შეფარდება, ერთი შეხედვით, სახიფათო არ არის, მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ზემომოყვანილ ციფრებში არალეგალი მიგრანტები გათვალისწინებულნი არ არიან. ამასთანავე, საკითხის არსი რაოდენობაში კი არ არის, არამედ ხარისხში. მუსლიმანები გაცილებით აქტიურები არიან თავიანთ მრწამსში, უკეთ ორგანიზებულნი და მზად არიან ძალადობრივი კონფლიქტებისთვის. თანაც, ხელისუფლება, როგორც წესი, მუსლიმანების მხარეს იკავებს.

## „ევროპის ბებიის“ მუსლიმანი საყვარელი

„ არაკი ვინძორებისა და წინასწარმეტყველის ნათესაობაზე მხოლოდ ერთი რგოლია დიდი თამაშისა, რომელიც ლონდონმა წამოიწყო ისლამთან, — ამბობს მწერალი, დაზვერვის ისტორიკოსი **გენადი სოკოლოვი**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იკვლევდა ბრიტანეთის სამეფო ტახტის საიდუმლოებებს, მათ შორის სასიყვარულოსაც. — მინდა, თქვენი ყურადღება შევაჩერო დიდ ბრიტანეთში 2017 წელს გამოსულ ფილმზე **„ვიქტორია და აბდული“,** ფილმს საფუძვლად უდევს რეალური ისტორია დედოფალ ვიქტორიასი, რომელსაც „ევროპის მონარქების ბებია“ შეარქვეს. ვიქტორიას 9 შვილის ქორწინებებმა სამეფო და ცნობილი ოჯახების წარმომადგენლებთან განამტკიცა კავშირები ბევერი ევროპის დინასტიებს შორის. **1887 წელს ინგლისმა იზეიმა დედოფლის „ოქროს იუბილე“ — ნახევარი საუკუნე ტახტზე! ინდოეთიდან, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, სასახლეში მიავლინეს მუსლიმანი აბდულ ქარიმი. 24 წლის წარმოსადეგი მამაკაცი ძალიან მოეწონა 68 წლის ვიქტორიას. ქვრივმა დედოფალმა უბრალო მსახური თავის მდივნად აქცია, ფავორიტად.**

უცნობია, როგორ „კამასუტრას“ აჩვენებდა ინდოელი აბდულ ქარიმი დედოფალს საძინებელში, მაგრამ ის კი არის ცნობილი, რომ ფული, საჩუქრები, ტიტულები მან უამრავი მიიღო. ამასთანავე, დიდი გავლენა ჰქონდა სასახლეში და ძალიან გამომწვევად იქცეოდა. ქარიმმა ლონდონში ჩაიყვანა თავისი ნათესავები, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისში, მაგრამ „ევროპის ბებიას“ ვერავინ შეეწინააღმდეგა. აბდულასთვის გაგზავნილ წერილებს დედოფალი აწერდა: „თქვენი მოსიყვარულე დედა“, „თქვენი ყველაზე ახლო მეგობარი“.

**ვიქტორია 1901 წელს გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ედუარდ VII. მან უფლება მისცა აბდულ ქარიმს, დასწრებოდა დაკრძალვას, ხოლო შემდეგ გააძევა ინდოეთში. მანამდე კი დედოფლისთვის მიწერილი და მისგან მიღებული ყველა წერილი ჩამოართვა და გაანადგურა. ვიქტორიასა და მუსლიმან აბდულ ქარიმის „მეგობრობა“ წლების განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო ბევრი ისტორიკოსისთვის. და აი, კონსერვატიულ ბრიტანეთში გამოდის ისტორიული ფილმი დედოფლისა და მისი მუსლიმანი მსახურის რომანის შესახებ. აშკარაა, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა.**

ანგლოსაქსებისთვის ისლამური სახელმწიფოები ოდითგანვე სასურველი რეზერვი იყო იმპერიის გა- ▶

**ლაპარაკია უჩინარ, გლობალურ ფინანსურ იმპერიაზე, რომლის ანკლავებიც მიმოფანტულია მსოფლიოში. XX საუკუნის ბოლო მესამედში იმპერიის აღდგენის საშუალებად არჩეული იყო ჩინეთი. ბრიტანელებმა ბევრი რამ ჩადეს მასში — ეს პეკინის ინტერესებსაც შეესაბამებოდა. შემდეგი ნაბიჯი იყო საბჭოთა კავშირის დანგრევა. არაბულ-მუსლიმანური სამყაროს განსაზღვრულ სეგმენტზე კონტროლის აღდგენა და მისი საშუალებით არაბულ-მუსლიმანური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილის გაკონტროლება — ლოგიკურად ეს შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს. და მაშინ უკვე გასაგებია ელისაბედის ISLAMIC CONNECTION-ი („ისლამური კავშირი“) და ბრიტანეთის ხელისუფლების პოზიცია ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმანების მიმართ.**

# ახალი იმპერია?

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საძლიერებლად. ეს უეჭველია, მაგრამ ყველა მუსლიმანურ ქვეყანას როდი სურს ანგლოსაქსებთან კავშირი. მათ ხომ ძალიან ბევრი ცუდი რამ აქვთ ჩადენილი.

შეგახსენებთ: **სსრკ-ის დაშლის შემდეგ ანგლოსაქსები იმედოვნებდნენ, კონტროლი დაეწესებინათ დასუსტებულ რუსეთზე. სრულიად სერიოზულად აგულიანებდნენ ვინძორებს, რუსეთში მონარქია აღედგინათ, რა თქმა უნდა, დიდი ბრიტანეთის ეგიდით.**

100 წლის წინათ დახვრეტილი ნიკოლოზ II ნათესავად ეკუთვნოდა ინგლისის მეფეს, მაგრამ მან ლონდონში თავშესაფრის მიცემაზე უარი განუცხადა ნათესავი რუსი მონარქის ოჯახს და, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაწირა.

მუსლიმანურ სამყაროში დიდი ბრიტანეთის სისხლიანი წარსულის დავიწყება, მეგობრობისა და სიყვარულის განმტკიცება მომავალში — აი თანამედროვე ლონდონისა და მისი საგარეო-პოლიტიკური სამსახურის ძირითადი ამოცანა. ისლამური სამყარო — ეს არის ნავთობი და ექსტრემიზმი. ერთიცა და მეორეც — ეს არის ფული და ტერორზე დამყარებული ძალაუფლება.

**სტატიები ვინძორების ძარღვებში წინასწარმეტყველის სისხლის შესახებ, წიგნები და კინოფილმი ვიქტორიასა და აბდულაზე — ეს არის ანგლოსაქსების ეშმაკური და ცბიერი პოლიტიკის შირმა მსოფლიოში თავიანთი ბატონობის გასამყარებლად, მაგრამ არის ამ თემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ბრიტანეთი ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში იქცა ქვეყნად, რომელსაც მნიშვნელოვანი ოდენობის მუსლიმანური მოსახლეობა ჰყავს. XX საუკუნის 50-60-იან წლებში იმპერიის დაშლის გამო ლონდონმა ყოფილი კოლონიებიდან თავის ბევრ ქვეშევრდომს მისცა მოქალაქეობა და ამას დღესაც განაგრძობს. შედეგად ბრიტანეთში ნელ-ნელა დასახლდნენ უცხო ქვეყნებიდან ჩასულები. ბევრ ქალაქში შეიქმნა ისლამის მიმდევართა ანკლავები.**

ქვეყნის შიგნით უსაფრთხოება დამოკიდებულია მათ საიმედოობაზე. ტერორისტული აქტები იშვიათობა არ არის. ბრიტანეთში მცხოვრებ მუსლიმანთა დაშოშმინება პოლიციისა და სპეცსამსახურების უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა, განსაკუთრებით პრინცესა **დაიანას** დაღუპვის შემდეგ, რომელიც ეგვიპტელი მუსლიმანი **დოდი ალ ფაიედისგან** იყო ფეხმძიმედ. ერთ-ერთი ვერსიით, წყვილი მოკლეს ვინძორების მითითებით, სპეცოპერაცია კი შემთხვევითი ავტოკატასტროფით შენიღბეს.

## ცოდვილი სიყვარულის ნაყოფი

ვინძორებისა და წინასწარმეტყველ მუჰამედის ნათესაობას არაკი უწოდა დაზვერვის ისტორიკოსმა გენადი სოკოლოვმა:

**„ამ „კვლევის“ მიმართ უამრავი კითხვა აქვთ სპეციალისტებს, იმავე პრინცესა ზაიდას მიმართ. მაგრამ, კიდეც რომ დავუშვათ გენეალოგიის ზუსტად, ფალსიფიკაციის გარეშე შედგენა, ისლამის დამფუძნებლისა და ბრიტანეთის სამეფო ტახტის წარმომადგენელთა სისხლით ნათესაობა შეწყდა დედოფალ ვიქტორიაზე, რომელმაც ხანდაზმულ ასაკში გააჩაღა ბინძური რომანი მუსლიმან მსახურთან.**

პარიზში ყოფნისას გავეცანი ვიქტორიას ახლო მეგობრის, შეთავსებით რუსეთის იმპერატორ **ალექსანდრე I**-ის სუპერჯაშუშ **დარია ქრისტეფორეს ასულ ლივენის** არქივს. ის იყო იმპერიის დაცვის მესამე განყოფილების უფროს **ალექსანდრე ბენკენდორფის** და, ულამაზესი ქალი, რუსი დიპლომატის ცოლი, ცხოვრობდა ევროპაში. მასზე შეყვარებული იყვნენ ცნობილი ევროპელი პოლიტიკოსები. სახელგანთქმული მხატვრის — თომას ლოურენსის მიერ შესრულებული ლივენის პორტრეტი ინგლისის მეფის — **გეორგ IV**-ის საძინებელს ამშვენებდა. მის გარდა, დარია ლივენის საყვარლები (და ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროები) იყვნენ ავსტრიის კანცლერი **მეტერნიხი,** საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი **გიზო** და მისი ბრიტანელი კოლეგა **კანინგი.**



კადრი ფილმიდან „ვიქტორია და აბდული“



დიანა და დოდი ალ ფაიედი



პრინცი ჩარლზი

დარია ლივენი დიდი ხნის განმავლობაში მეგობრობდა მომავალ დედოფალ ვიქტორიასთან და გაარკვია, რომ ის არ იყო ჰერცოგ ედუარდის, კენტის ავგუსტუსის, ინგლისის მეფე გეორგ III-ის ვაჟის ქალიშვილი. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეობაში ჩაუხედავი პირებისთვის განვმარტავ ამ ფაქტის ისტორიულ მნიშვნელობას: თუ ვიქტორია არ იყო კენტის ჰერცოგის ქალიშვილი, მაშინ მას ბრიტანეთის ტახტი უკანონოდ ჰქონია დაკავებული. შესაბამისად, მის უფროს ვაჟს, ედუარდ VII-ს, ისევე, როგორც ყველა შემდეგ ბრიტანელ მონარქს, მათ შორის, ამჟამინდელსაც — დედოფალ ელისაბედ II-ს, უფლება არ ჰქონდათ, დაეკავებინათ ბრიტანეთის სამეფო ტახტი.

დარია ლივენმა დაწვრილებითი ინფორმაცია გაგზავნა რუსეთში. რუსეთის იმპერიის დაზვერვამ ფასდაუდებელი კოზირი ჩაიგდო ხელში. ვიქტორიას უკანონო გამეფებაზე ინფორმაცია შესანიშნავი ინსტრუმენტი შეიძლება ყოფილიყო, მაგალითად, ყირიმის ომის პერიოდში, როცა ბრიტანელი და ფრანგი სამხედროები რუსეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

რატომ არ აამოქმედა რუსეთმა ეს კომპრომატი? შეიძლება იმ ეპოქის მორალი და ეთიკა არ აძლევდა წელს ქვემოთ დარტყმის უფლებას დაპირისპირებული ქვეყნების მონარქებს? თუ უდავო მტკიცებულებები საკმარისი არ იყო? დნკ-ს კვლევა მხოლოდ საუკუნის შემდეგ გაჩნდა, თუმცა ასეთი გამოკვლევის გარეშეც ცნობილია, რომ **კენტის ჰერცოგი უნაყოფო იყო. ის 50 წლის გახლდათ, როცა ვიქტორია დაიბადა. მანამდე მას შვილი არ ჰყოლია. მისგან საყვარლებიც არ დაფეხმძიმებულან. როგორც ჩანს, მომავალი დედოფლის ბიოლოგიური მამა იყო სერ ჯონ კონროი, კენტის ჰერცოგინიას გულითადი მეგობარი. მათი ურთიერთობის შესახებ ყველამ იცოდა. ამას გარდა, ვიქტორიას ოფიციალური მშობლების 8 თაობაში არავინ ყოფილა ჰემოფილიით დაავადებული. სახელდობრ, ვიქტორიას, დიდი ბრიტანეთის დედოფალს, ჰქონდა გენები, რომლებითაც თაობიდან თაობას გადაეცემა ეს უკურნებელი სენი.**

ამ სნეულების გადამტანი გენის მქონე თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო კონროის გვარი. ამის დამტკიცება მხოლოდ მეფეთა ნეშტების ექსჰუმაციით შეიძლება და დნკ-ს ანალიზით, მაგრამ ვინძორები ამაზე, ალბათ, არასოდეს დათანხმდებიან. ან ვინ გაბედავს იმის დამტკიცებას, რომ ამჟამინდელი მონარქის წინაპრებმა უკანონოდ დაიკავეს ბრიტანეთის სამეფოს ტახტი?!

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ **უფლისწულ ალექსეის, იმპერატორ ნიკოლაი II-ისა და იმპერატრიცა ალექსანდრას ვაჟს, ზემოაღნიშნული უკურნებელი სენი — ჰემოფილია — გადაედო დედისგან, მას კი ინგლისელი ბებიისგან — ვიქტორიასგან.**

გასული საუკუნის 50-იან წლებში, „კა-გე-ბეს“ პირველი მთავარი სამმართველო (საგარეო დაზვერვის სამსახური) სტალინის დავალებით ახორციელებდა ზესაიდუმლო ოპერაციას „სახლი“. საერთაშორისო ვითარების გამწვავების შემთხვევაში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და მათი სახელისუფლო სტრუქტურების დისკრედიტაცია საბჭოთა სპეცსამსახურების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო.

**ფართო გამოხმაურება შეიძლება მოჰყოლოდა იმჟამინდელი დედოფლის — ელისაბედ II-ის მეუღლის — ფილიპის სექსუალურ თავგადასავლებს, დედოფლის ბიძის, ვინძორების ჰერცოგის თანამშრომლობას ნაცისტებთან, აგრეთვე, დედოფალ ვიქტორიას უკანონოდ აღზევების ისტორიას სამეფო ტახტზე, მაგრამ ოპერაცია „სახლი“ საჭირო აღარ შეიქნა.**

დედოფალ ვიქტორიას ისტორია ამტკიცებს, რომ ვინძორების ძარღვებში არ ჩქეფს წინასწარმეტყველ მუჰამედის სისხლი. ასე რომ, ბრიტანელთა პრეტენზიები მუსლიმანთა გაერთიანებაზე ბრიტანეთის დროშის ქვეშ უსაფუძვლოა.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**დარია ლივენი დიდი ხნის განმავლობაში მეგობრობდა მომავალ დედოფალ ვიქტორიასთან და გაარკვია, რომ ის არ იყო ჰერცოგ ედუარდის, კენტის ავგუსტუსის, ინგლისის მეფე გეორგ III-ის ვაჟის ქალიშვილი. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეობაში ჩაუხედავი პირებისთვის განვმარტავ ამ ფაქტის ისტორიულ მნიშვნელობას: თუ ვიქტორია არ იყო კენტის ჰერცოგის ქალიშვილი, მაშინ მას ბრიტანეთის ტახტი უკანონოდ ჰქონია დაკავებული. შესაბამისად, მის უფროს ვაჟს, ედუარდ VII-ს, ისევე, როგორც ყველა შემდეგ ბრიტანელ მონარქს, მათ შორის, ამჟამინდელსაც — დედოფალ ელისაბედ II-ს, უფლება არ ჰქონდათ, დაეკავებინათ ბრიტანეთის სამეფო ტახტი**



მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოაშკარავდა, რომ შეერთებული შტატების ძირითადი მიზანი არის სევასტოპოლი, რუსეთის იქიდან მოცილება და ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ სევასტოპოლისა და ყირიმის ოკუპაცია. მარტივი და სწორი გათვლაა. მთავარ თემას ოდნავ თუ გადავუხვევთ, ცხადი გახდება, რატომ იკლავენ დღესაც თავს გარკვეული ძალები ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ასაშენებლად. ამ „მშვიდობიანი მიზნებისთვის“ განსაზღვრული „პორტის“ ადგილზე სამამულო ომის დროს საბჭოთა წყალქვეშა ნავების საიდუმლო ბაზა იყო განთავსებული.**



# აშშ-მა რუსეთს დაუთმო ასპარეზი, ანუ არც ისე შორია გურჯისტანამდე

**საინფორმაციო სააგენტო „ავრორას“ სატელევიზიო სტუდიის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ცნობილ ისრაელელ საზოგადო მოღვაწესა და ანალიტიკოს იაკობ კედმის. მან ვრცლად ისაუბრა ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებასა და, საერთოდ, დღევანდელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებაში რუსეთის როლზე. უფრო საინტერესო კი იმ პოლიტიკის მიმოხილვაა, რომელსაც აშშ განახორციელებდა (ცდილობდა, გაეტარებინა) რუსეთის მიმართ 2000-იანი წლების დასაწყისიდან. მკითხველი უთუოდ დაფიქრდება, რა სასიკვდილო ავანტიურაში ჩააბეს საქართველო წინა ხელისუფლებებმა და რატომაა, რომ ახლანდელი მთავრობაც ჯიუტად იმავეს ცდილობს.**



## ტომობრივ-კლანური აღმოსავლეთი

ამ მრავალმხრივ საინტერესო ტელეინტერვიუს საგაზეთო ვერსიას ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

კედმი მიიჩნევს, რომ რუსეთი, როგორც წესი, არ ერევა საერთაშორისო კონფლიქტებში, სანამ ამ კონფლიქტების განვითარება რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებს არ დაემუქრება. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ახლო აღმოსავლეთის მოვლენების დროს. როგორც ცნობილია, აშშ-მა ობამას პრეზიდენტობის პერიოდში გადაწყვიტა, მსოფლიოს ამ ნაწილის ქვეყნებში „თანამედროვე დემოკრატიის“ შეტანა, ანუ „ახალი წესრიგის“ დამყარება. ამერიკას ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანამ დაუჭირა მხარი. მათ უნდა დაემხოთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რეჟიმები, რომლებიც, ესეც ცნობილია, იყო ტოტალიტარული და დიქტატორული.

**მიზანი, ერთი შეხედვით, კეთილშობილურია, მაგრამ საკითხავია, მოერგებოდა თუ არა „ახალი წესრიგი“ აღმოსავლეთის სპეციფიკას, ჩვევებსა და ტრადიციებს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტომობრივ-კლანური სტრუქტურიზაციის პრინციპებს. იაკობ კედმი სწორედ ამ პრობლემას განიხილავს, უწინარეს ყოვლისა.**

ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის რეჟიმი, როგორც ვთქვით, ავტორიტარული იყო. ამ არეალში ერთადერთი ეროვნული სახელმწიფო არის ეგვიპტე. ყველა სხვა ქვეყანა ტომობრივ-გვაროვნული ჯგუფებითაა დასახლებული. ეს ტომები ამა თუ იმ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა ორი კოლონიური სახელმწიფოს გადაწყვეტილებით — საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის. მათ დაუდგინეს საზღვრები ერაყს, სირიას, ლიბიას. ყველა ეს სახელმწიფო მრავალეროვნულია, ტომობრივია, კლანური და, როგორც წესი, რამდენიმე რელიგიური კონფესიით თითოეულში.

100 წლის წინათ **ერაყი** არ არსებობდა, ხელოვნურად არის შექმნილი. მხოლოდ ძლიერ, ავტორიტარულ ხელისუფლებას შეეძლო, შეენარჩუნებინა ეს სახელმწიფო, როგორც მთლიანი და ერთიანი წარმონაქმნი. ამის გარეშე იგი დაიშლებოდა სხვადასხვა ტომობრივ ან კონფესიურ ჯგუფებად.

დღეს იგი უკვე აღარ არის სახელმწიფო, რაც ახლო აღმოსავლეთის პირობებში ნიშნავს დესტაბილიზაციასა და ქაოსს. იგივე დაემართა **ლიბიას,** სახელმწიფოს, რომელიც ათამდე ტომს აერთიანებდა და კარგადაც ფუნქციონირებდა.

დაამხეს ერთიანი ხელისუფლება და მივიღეთ ის, რაც დღეს აშკარაა.

**სირიაზე** საუბრისას კედმიმ აღნიშნა, რომ ამ ქვეყნის წინააღმდეგ რამდენიმე სახელმწიფო იყო ამხედრებული. თურქეთი დაინტერესებული იყო ისლამის თურქული მიმართულებით გაძლიერებით; საუდის არაბეთი სალაფიტებს, ისლამის ფუნდამენტურ მიმართულებას, უჭერდა მხარს; **ყატარი** თურქეთის თამაშს თამაშობდა... ამ გაწევ-გამოწევაში ყველაფერი არია და შედეგად დაიწყო ომი.

სირია ანტიკლერიკალური სახელმწიფო იყო. ამ ქვეყნის კონსტიტუციით, რელიგიურ ნიადაგზე ომის დაწყების თავიდან ასაცილებლად აკრძალულია რელიგიური პარტიები. ასე დამყარებული სტაბილურობაააფეთქეს.

კედმი ასკვნის, რომ ახლო აღმოსავლეთის ყველა არაბული სახელმწიფო, როგორც უსუსტესი წარმონაქმნი, განადგურდა: ერაყი, სირია (თითქმის), ლიბია. **ეგვიპტემ** გაუძლო მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლება ხელთ იგდო არმიამ და სახელმწიფოს მართვას ჩამოაცილა „ძმები მუსლიმები“. ასე რომ არ მომხდარიყო, მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში გაცილებით უარესი იქნებოდა. ამ ყველაფრის ფონზე რუსეთმა სწორად განსაზღვრა აშშ-ის მხრიდან მის წინააღმდეგ მიმართული მუქარის გაძლიერების სტრატეგიის არცთუ დაფარული მიზანი.

## ამერიკის საიდუმლო მიზანი

აშშ-მა ჯერ კიდევ 2002 წელს შეიმუშავა რუსეთზე აბსოლუტური სამხედრო უპირატესობის მოპოვების კონცეფცია, რომელიც დაამტკიცა პენტაგონმა და რომელიც 2018-2020 წლებისთვის უნდა განხორციელებულიყო. ამ სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი იყო რუსეთის ტერიტორიის დაბომბვა, ძირითადად, ტომაჰავკის ტიპის რაკეტებით, როგორც საზღვაო, ისე საჰაერო პლატფორმებიდან. მაშინ ჯერ კიდევ ძალაში იყო შეთანხმება, რომ ამ ტიპის რაკეტები სახმელეთო პლატფორმებზე არ უნდა ყოფილიყო.

**დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში რუსეთს თავს დაატყდებოდა 6 ათასამდე რაკეტა და ამ მასობრივი და საყოველთაო შეტევის შედეგად ეს ქვეყანა ამოიბუგებოდა, შეწყვეტდა არსებობას, როგორც უძლიერესი სამხედრო „დერჟავა“. რადგან მსოფლიოში არ არსებობს ისეთი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, რომელიც ამ რაოდენობის რაკეტებს მოიგერიებდა,** შეტევის შედეგად სრულად იქნებოდა ნეიტრალიზებული რუსეთის, როგორც რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, ასევე სტრატეგიული რაკეტების სისტემაც. ამ ყველაფრის განსახორციელებლად საჭირო არ იყო მაინცდამაინც ბირთვულქობინებიანი რაკეტების გამოყენება, ჩვეულებრივი რაკეტები საკმარისი იქნებოდა.

ასეთი დარტყმა რუსეთს დააჩოქებდა.

**აშშ-მა ჯერ კიდევ 2002 წელს შეიმუშავა რუსეთზე აბსოლუტური სამხედრო უპირატესობის მოპოვების კონცეფცია, რომელიც დაამტკიცა პენტაგონმა და რომელიც 2018-2020 წლებისთვის უნდა განხორციელებულიყო**

## რუსეთმა თავი დაიცვა

მას შემდეგ, რაც აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა ამ მიმართულებით დაიწყო განვითარება (კედმი ამ ახალი სტრატეგიის დასაწყისად 2005 წელს მიიჩნევს), რუსეთში სერიოზულად დაფიქრდნენ, რა შეიძლებოდა, დაეპირისპირებინათ ამერიკელებისთვის.

ძირითადი დარტყმა, როგორც კედმიმ აღნიშნა, უნდა განხორციელებულიყო საზღვაო პლატფორმებიდან ან ხმელთაშუა და შავი ზღვების მხრიდან, ან ჩრდილოეთიდან — ბარენცის ზღვის, ბალტიის ზღვისა და ჩრდილოეთის ზღვის მხრიდან. რუსეთმა ორი გადაწყვეტილება მიიღო:

**პირველი.** საზღვაო და საჰაერო შემადგენლის გაძლიერება, რომლებიც წინ აღუდგებოდა ამერიკის ფლოტის დარტყმას;

**მეორე.** ხმელთაშუა ზღვის ფლოტის შექმნა, რომელიც გაანეიტრალებდა ამერიკელების ფლოტს. კედმიმ აქვე განმარტა, რომ იგი მხოლოდ სამხრეთის მიმართულებას შეეხო და არაფერი თქვა კალინინგრადსა და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ჩრდილოეთით, ფრანც იოსების მიწაზე ხორციელდებოდა.

ამ კონცეფციის ფარგლებში, მისი აზრით, ორი რამის უზრუნველყოფა იყო აუცილებელი:

პირველი: შავი ზღვის ფლოტის აღორძინება;

მეორე: მუდმივი ბაზის დაარსება ხმელთაშუა ზღვის ესკადრისთვის, რადგან ამის გარეშე ფლოტის მუშაობა რეალურად შეუძლებელია.

შავი ზღვის ფლოტის არსებობას განსაკუთრებული საფრთხე მას შემდეგ დაემუქრა, რაც უკრაინის პრეზიდენტმა იუშჩენკომ 2004 წელს განაცხადა, რომ უკრაინა შედის ნატოში. **აგენტურული და არააგენტურული მონაცემებით, გამოაშკარავდა, რომ შეერთებული შტატების ძირითადი მიზანი არის სევასტოპოლი, რუსეთის იქიდან მოცილება და ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ სევასტოპოლისა და ყირიმის ოკუპაცია. მარტივი და სწორი გათვლაა. მთავარ თემას ოდნავ თუ გადავუხვევთ, ცხადი გახდება, რატომ უნდოდათ ჩვენი შეთრევა ნატოში და რატომ იკლავენ დღესაც თავს გარკვეული ძალები ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ასაშენებლად. ამ „მშვიდობიანი მიზნებისთვის“ განსაზღვრული „პორტის“ ადგილზე სამამულო ომის დროს საბჭოთა წყალქვეშა ნავების საიდუმლო ბაზა იყო განთავსებული.**

„ამერიკული სამხედრო-საზღვაო ძალების სევასტოპოლსა და ყირიმში შესვლა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დასასრული იქნებოდა. ამერიკელები გაბატონდებოდნენ შავ ზღვაზე და ყირიმიდან საშუალება მიეცემოდათ, ნებისმიერი ობიექტი გაენადგურებინათ რუსეთის ტერიტორიაზე.

ამ ყველაფერმა განაპირობა ყირიმის შემოერთებაც (რომ არ დაეშვათ იქ ამერიკული პლაცდარმის შექმნა), თუმცა სხვა მიზეზებიც არსებობდა ამის განსახორციელებლად.

იყო მთავარი მიზანი — რუსეთის სახელმწიფოსთვის სასიკვდილო მუქარის თავიდან აცილება. ეს მოხდა 2014-ის დასაწყისში.

## სამხედრო ბაზები – უსაფრთხოების გარანტი

იყო სხვა ასპექტიც: რუსეთმა გადაწყვიტა, დახმარებოდა სირიას, შეენარჩუნებინა ერთიანი და მყარი სახელმწიფო, რათა ამ ქვეყანაში რუსეთს ჰქონოდა საზღვაო და სამხედრო-კოსმოსური ძალების ბაზები ხმელთაშუა ზღვაში — ტარტუსსა და ხმეიმიმში.

„სწორედ ამ მიზნით, რუსეთის სტრატეგიული უსაფრთხოების დასაცავად, შევიდა რუსეთი სირიაში“, — ამტკიცებს კედმი და დასძენს, რომ დღეისთვის რუსეთი სრულად არის გაბატონებული შავ ზღვაზე და ამერიკის ფლოტის მიერ შავი ზღვის მხრიდან ყოველგვარი საფრთხე ლიკვიდირებულია. გარდა ამისა, რუსეთმა ამერიკის ნაქები ფლოტი საბოლოოდ გააძევა ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, უზრუნველყო სირიის სტაბილურობა და დაიცვა საკუთარი ქვეყანა განადგურებისგან. **რუსეთი სამართლიანად მიიჩნევს, რომ სირიის სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მის ტერიტორიაზე უცხოეთის ქვეყნების ჯარის ნაწილები არ უნდა იყოს — არც ირანის, არც თურქეთის. რუსეთის ჯარები სირიაში დაკავებულნი არიან თავიანთი ბაზების უსაფრთხოების უზრუნველყოფით. ეს ერთი.**

მეორე. რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნა სირიაში გამორიცხავს მის წინააღმდეგ სხვა ქვეყნების შესაძლო აგრესიას. ბოლო შეთანხმება, რომელიც გაფორმდა თურქეთთან სირიის კონფლიქტის დროს, სწორედ ამისთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ, როგორც კედმი ამბობს, ეს მხოლოდ დასაწყისია.

რუსეთის პოლიტიკის კონსტრუქციულობა უკვე აღიარა ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანამ. თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს რუსეთთან. პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ დავტოვებთ სირიის ტერიტორიას, როგორც კი ახალარჩეული სირიის კანონიერი ხელისუფლება მოგვთხოვსო.

თურქეთმა ასეთი რამ პირველად განაცხადა.

რუსეთი რას აკეთებს?

იგი უკვე ამთავრებს სირიაში მშვიდობიანი არჩევნების ბაზის ფორმირებას, ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომლის საფუძველზეც აირჩევენ ახალ მთავრობას.

ეს კი ნიშნავს, რომ **მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფვის რუსეთი, უპასუხებს სირიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ინტერესებს.**

ამ ყველაფრის გამო კი აშშ-მა დაასკვნა, რომ მას არავითარი ინტერესი აღარ აქვს ახლო აღმოსავლეთში.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. შეერთებულმა შტატებმა ახლო აღმოსავლეთში ასპარეზი რუსეთს დაუთმო. ამით დაიწყო. როგორი იქნება მომდევნო ნაბიჯი?**

**„არც ისე შორია გურჯისტანამდე“.**

**ა.ს.**

**დამნაშავენი იმაში, რომ რამდენიმე მილიარდი ადამიანი არა მხოლოდ ინდოეთში, ბანგლადეშში, ნიკარაგუასა და მიანმაში, არამედ თვით კეთილდღეობით განთქმულ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებშიც კი იძულებულნი არიან, დაკავდნენ დაბალკვალიფიციური სამუშაოთი, გროშები აიღონ და ეს მათ რატომღაც არ მოსწონთ. არ გჯერათ, რომ კატასტროფაში დამნაშავენი რადიკალურად განწყობილი სოციალისტები არიან? მაშინ გრეტა ტუნბერგი მოგიყვებათ, რომ ყველა უბედურება პანდების რაოდენობის შემცირების გამო ხდება.**

მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დედამიწის მოსახლეობა დაიღალა კაპიტალიზმისგან

## მთავარი მიზეზი კატასტროფული სოციალური უთანასწორობაა

**შვეიცარიის ქალაქ დავოსში გამართულ მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმზე მთავარი განსახილველი თემა იყო „კაპიტალიზმის ფორმირება ყველა დაინტერესებული მხარისთვის", ე.წ. stakeholder capitalism.**

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარე **კლაუს შვაბი** გასული წლის ბოლოს წერდა: „როგორი კაპიტალიზმი გვჭირდება ჩვენ? შეიძლება ეს იყოს ჩვენი დროების განმსაზღვრელი კითხვა და მას ზუსტად უნდა ვუპასუხოთ, თუ გვსურს, შევინარჩუნოთ ჩვენი ეკონომიკური სისტემა მომავალი თაობებისთვის".

ვინ არიან „ჩვენ", სახელდობრ, რისი შენარჩუნება სურთ და რისთვის?

**კითხვა – რა უნდა მოვუხერხოთ კაპიტალიზმს, რათა არ ჩამოიშალოს? — წლეულს შემთხვევით არ დამდგარა კაპიტალიზმის წინაშე.** თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელმა დირექტორმა **კრისტალინა გეორგიევამ** ვაშინგტონში, პეტერსონის საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტში განაცხადა, რომ მსოფლიო ეკონომიკა ახალი დიდი დეპრესიის წინაშე დგას და ამის ერთ-ერთი მიზეზი კატასტროფული სოციალური უთანასწორობაა. მან საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი გამოკვლევაც მიუთითა, რომელშიც ნათქვამია, რომ დღევანდელი ვითარება ჰგავს „ბობოქარ 1920-იან წლებს", რომლებმაც, საბოლოო ჯამში, 1929 წელს გამოიწვია საფინანსო ბაზრის კრახი".

„ბობოქარი 20-იანი წლები" და „დიდი დეპრესია" — ეს მხოლოდ სიტყვის მასალაა. ეკონომიკურად კი მათ უკან დგას წარმოების სწრაფი ზრდა აშშ-ში, I მსოფლიო ომის შედეგები ევროპაში, კაპიტალისტების მცდელობა, მნიშვნელოვნად მოემატებინათ მოგების ნორმა იმხანად ერთადერთი შესაძლებელი გზით, წარმოების მოცულობის ზრდა (იაფი მუშახელი ძნელი მოსაძებნი იყო), წარმოების გადაიარაღების კრიზისი, რომელმაც გამოიწვია საწარმოების მასობრივად დახურვა და უმუშევრობა, აგრეთვე, კრიზისიდან გამოსვლა კიდევ ერთი ომის მეშვეობით, რომელმაც აშშ-ს კვლავ გაუხსნა ევროპის ბაზრები.

მაგრამ, როცა დეპრესიასა და მსოფლიო ეკონომიკაზე ლაპარაკობს, ქალბატონი გეორგიევა ცოტას ეშმაკობს. **XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში არ ყოფილა არანაირი ეკონომიკური დეპრესია, პირიქით. დღეს კი იმავე ჩინეთში, რომლის ძირითადი ეკონომიკა გეგმური სისტემით მუშაობს, დეპრესიის არანაირი ნიშანი არ არის.**

ჩინეთში მშპ-ს მატება ოდნავ შენელებულია, მაგრამ ეს დაკავშირებულია არა იმდენად სავაჭრო ომებთან, რამდენადაც თვით ჩინელების კეთილდღეობის დონის მატებასთან და ვიეტნამში, კამბოჯაში, მიანმასა და სხვაგან იმ უცხოური საწარმოების გატანასთან, რომლებიც იყენებდნენ იაფ, არაკვალიფიციურ სამუშაო ძალას.

**ამრიგად, ლაპარაკი საჭიროა არა ეკონომიკურ კრიზისზე მსოფლიოში, არამედ მის კაპიტალისტურ ნაწილზე, რომელზეც იმსჯელეს კიდეც დავოსში.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოკვლევებთან ერთად „კაპიტალიზმის გადარჩენის" მოტივს აჩენს E -ის კვლევაც, რომელიც 28 ქვეყანაში ჩატარდა.

რესპონდენტების 56%-ის აზრით, კაპიტალიზმი არაფრად ვარგა. და, თუკი **რუსეთში** ამ თეზისს დაეთანხმა გამოკითხულთა 55%, **ინდოეთში**, სადაც, ტრამპის თქმით, „ყველაზე დიდი დემოკრატიაა მსოფლიოში" და ეს ქვეყანა აშშ-თან ერთად არის „მშვიდობის, აყვავებისა და თავისუფლების" ბურჯი, 74% უკმაყოფილოა კაპიტალიზმით. ამ „აყვავების ბურჯში" სოციალური უთანასწორობა ისეთია, რომ ყოველწლიურად იფიცება 200-250 მლნ ადამიანი — ევროკავშირის მოსახლეობის თითქმის ნახევარი. სხვათა შორის, კაპიტალიზმს ეჭვის თვალით უყურებენ თვით ევროპაშიც. **დიდ ბრიტანეთში** კაპიტალიზმი არ მოსწონს 53%-ს, **გერმანიაში** — 55%-ს, **ნიდერლანდებში** — 59%-ს, **იტალიაში** — 61%-ს, **საფრანგეთში** კი — 69%-ს(!).

შექმნილი სიტუაციის გამო უკმაყოფილებას ევროპელებიც ისე გამოხატავენ, როგორც მათი ინდოელი კოლეგები. 2019 წელს მასობრივი გაფიცვები იყო **უნგრეთში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში; ფინეთში** გაფიცვების გამო პრემიერმინისტრი იძულებული იყო, პოსტი დაეტოვებინა.

ფრანგ „ყვითელ ჟილეტებზე" ყველამ იცის. დავოსში შეკრებილთა უმრავლესობას, შეუძლებელია, არ აწუხებდეს ის, რომ **მსოფლიოში გამოკითხულთა 83%-ს ეშინია სამუშაოს დაკარგვის, ხოლო ისეთი, ვისაც სჯერა, რომ 5 წლის შემდეგ ცხოვრება უკეთესი იქნება, ცოტაა: იტალიაში — 29%, დიდ ბრიტანეთში — 27%, გერმანიაში — 23%, საფრანგეთში — 19%, ხოლო სუპერგანვითარებულ იაპონიაში, სადაც მალე ადამიანის ნაცვლად ყველაფერს რობოტები გააკეთებენ, მხოლოდ 15%-ს სჯერა ნათელი მომავლის. სიმპტომატურია გამოკითხულთა 57%-ის განცხადება, რომ სახელისუფლო ორგანოები ემსახურებიან „უმცირესობის" ინტერესებს და მხოლოდ 30%-ს სჯერა, რომ ეს ასე არ არის.**



**მითი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ყველას, და არა მხოლოდ მმართველი კლასის, ინტერესების სასარგებლოდ მუშაობს, ნელ-ნელა იფანტება, ეს კი კატასტროფაა, ამიტომ დავოსში კვლავ შეეცადნენ, აეხსნათ, რატომ არის ყველასთვის კარგი კაპიტალიზმი. ამჟამად ის, უბრალოდ, «არასწორია» და უნდა იყოს «სწორი»**

ამრიგად, მითი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ყველას (და არა მხოლოდ მმართველი კლასის) ინტერესების სასარგებლოდ მუშაობს, ნელ-ნელა იფანტება, ეს კი კატასტროფაა, ამიტომ დავოსში კვლავ შეეცადნენ, აეხსნათ, რატომ არის ყველასთვის კარგი კაპიტალიზმი. ამჟამად ის, უბრალოდ, „არასწორია" და უნდა იყოს „სწორი".

„კომპანიის მიზანია, ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე ღირებულების შექმნის ერთობლივ და მდგრად პროცესში. ღირებულების შექმნით კომპანია ემსახურება არა მხოლოდ თავისი აქციონერების ინტერესებს, არამედ თანამშრომლების, კლიენტების, მომწოდებლების, ადგილობრივი საზოგადოების ინტერესებსაც. ყველა დაინტერესებული მხარის სხვადასხვა ინტერესის გაგება და შეთანხმება შესაძლებელია საერთო მზადყოფნით, გატარდეს პოლიტიკა და მივიღოთ გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიის აყვავებას შორეულ პერსპექტივაში", — ნათქვამია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მანიფესტში.

ესე იგი „სწორი" კაპიტალიზმი, რომელიც ყველასათვისაა — ეს არის როგორც **სტეიკჰოლდერ კაპიტალიზმი,** რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს ათანხმებს. მაგრამ, რადგან ფორუმზე დაქირავებული მუშაკები მომხსენებელთა როლში არ ყოფილან (ეკოლოგიის „დიდი ექსპერტი" **გრეტა ტუნბერგი** არ ითვლება — ის, ტანზანიელი თანატოლებისგან განსხვავებით, ჯერ არ მუშაობს), როგორც ჩანს, ფორუმის ორგანიზატორები ამ ადამიანებს დაინტერესებულ მხარედ არ მიიჩნევენ უმუშევრობასა და სიღარიბესთან ბრძოლაში. **იმის შესახებ, როგორ უნდა გაბედნიერდნენ მშრომელები, თვითონ მშრომელებს არავინ ალაპარაკებდა, უწინარესად, იმიტომ, რომ დავოსის ფორუმის თემა იყო არა „მშრომელთა ბედნიერება", არამედ „კაპიტალიზმის გადარჩენა".**




ჩვეულებრივ, ეკოლოგიის თემები — „მდგრადი განვითარება" (კონცეფცია, რომელიც თავის დროზე მოიგონა **ელ გორმა** ეკოლოგიური ბაჟის დასაწესებლად განვითარებადი ქვეყნებისთვის) და კაპიტალიზმის გაუმჯობესება, მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის მრეწველობის განვითარების აკრძალვით მთავრდება, რადგან განვითარებული სამყაროს ქვეყნებს თავიანთი კაპიტალიზმის გასაუმჯობესებლად იაფი სამუშაო ძალა სჭირდება.

თითქოს სპეციალურადო, გრეტა ტუნბერგმა — ამ „კაცობრიობის ახალმა სინდისმა" — ფორუმის პირველ დღეს განაცხადა კატასტროფის შესახებ, თუკი სასწრაფოდ არ შემცირდება ნახშირორჟანგის გამოყოფა. ამ მავნე გამონაბოლქვის მიხედვით კი ლიდერები არიან ჩინეთი, აშშ, ინდოეთი და რუსეთი. და აი ტრამპმა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ აშშ ამჟამად და ხანგრძლივად „ნომერი პირველია სამყაროში", განაცხადა, რომ ამ ლიდერობას გამოიყენებს „ხეებისა და, საერთოდ, ტყეების გასაშენებლად, აღსადგენად და უკეთესად სამართავად", თან უარყო კაპიტალიზმის აპოკალიფსის წინასწარმეტყველება და დასძინა, რომ უფლებას არ მისცემს „რადიკალ სოციალისტებს, დაანგრიონ ჩვენი ეკონომიკა".

აბა, რა! სწორედ რადიკალურად განწყობილი სოციალისტები არიან დამნაშავენი იმაში, რომ რამდენიმე მილიარდი ადამიანი არა მხოლოდ ინდოეთში, ბანგლადეშში, ნიკარაგუასა და მიანმაში, არამედ თვით კეთილდღეობით განთქმულ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებშიც კი იძულებულნი არიან, დაკავდნენ დაბალკვალიფიციური სამუშაოთი, გროშები აიღონ და ეს მათ რატომღაც არ მოსწონთ.

არ გჯერათ, რომ კატასტროფაში დამნაშავენი რადიკალურად განწყობილი სოციალისტები არიან? მაშინ გრეტა ტუნბერგი მოგიყვებათ, რომ ყველა უბედურება პანდების რაოდენობის შემცირების გამო ხდება.

აქ გრეტასა და მსოფლიოში საუკეთესო ქვეყნის პრეზიდენტის გზები გაიყო. გრეტა ამბობს, რომ პანდებს გადაშენების საფრთხე ემუქრებათ სრულიად მსოფლიოში, ტრამპს კი უნდა, რომ ეს ცხოველები გადაშენდნენ ყველგან, აშშ-ის გარდა.

**თუმცა პანდები ყველას გვიყვარს და ვოცნებობთ მათი რაოდენობის მომატებაზე, სასურველია, რომ შესანიშნავ ცხოველებთან ერთად სიღარიბეში სულს არ ღაფავდნენ ადამიანები.**

ისინიც ხომ, ძირითადად, კარგები არიან, როგორც დათვები, აი სტეიკჰოლდერ კაპიტალიზმი კი — არა!

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიხეილ ჯავახიშვილი: „სადაც არ გვყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას. უწინაც ეგრე იყო. ისტორიაში განმეორების მეტი არაფერია“.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

„იქნებ მომავალში მსოფლიოს არც ერთ ერს არ დასჭირდეს თავისი გენიოსი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს“ — ეს თვალსაზრისი, რომელიც ილიას თანამებრძოლმა იაკობ გოგებაშვილმა გამოთქვა, დღეს არ არის ვარაუდი, ეს ჭეშმარიტებაა, რომელიც დრომ და ცხოვრების მდინარებამ დაადასტურა.

ილიას ჭაბუკობიდანვე აეკვიატა დიდი და საშვილიშვილო იდეა: ძველი, დიდებული „ოქროვანი ხანიდან“ ახალი საქართველოს ახალი, „ოქროვანი ხანისკენ“ სვლა. „საერთო ნიადაგის“ თეორიასაც ეს დაედო საფუძვლად; ლელთღუნიას „ერთა საბჭოს“ იდეაც იმიტომ წამოსწია წინა პლანზე პეტერბურგიდან მობრუნებულმა, შემდეგ პოეტურადაც რომ გამოხატა პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“: „რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ; რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით! ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც გზად და ხიდად გავედებით!“

ყველას სათავისოდ უნდოდა და უნდა დღესაც ჩვენი ქვეყანა — სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან მოსულთ და მოძალებულთ. საქმე „ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნება“, „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგინებაა“.

# «უცხო ბაძი და მაიმუნური წამბაძველობა» იყო და დღესაც არის წინსვლის შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი

**„წყევლა-კრულვიან საკითხავს“ რა გამოლევს, მით უმეტეს რა გამოლევდა მაშინ, როცა უკვე აშკარა გახდა მესამე დასური მტრობის მოძალება. ილია ინტუიციით ხვდებოდა ამ დაპირისპირების დამღუპველ ძალას და ამიტომ „ივერიის“ საქმიანობა მთლიანად სიძულვილის ამ ფილოსოფიის წინააღმდეგ წარმართა.** თუ ყურადღებით გავეცნობით იმ პერიოდის „ივერიის“ მასალებს ამ მიმართულებით, შევამჩნევთ, რომ მის ყველა ნომერში მოწოდებაა ქართველი საზოგადოების მიმართ, წინ აღუდგეს დაპირისპირებისა და მტრობის დამღუპველ გზას. მხატვრული ფორმით ეს მოწოდება ყველაზე მკვეთრად პირველად „ოთარაანთ ქვრივში“ გაისმა...

1888 წლის 2 ნოემბრის ივერიაში“ ვკითხულობთ: **„ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, გონებრივი თუ ქონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარობის გაურჩევლად, ერთიანის მეცადინეობით და გარჯით ჰსცდილობს, ცხოვრების გზა გაიკვალოს... ცალკ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალკ-ცალკე ხვნა და თესვა, ცალკ-ცალკე თვლა ლხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისკენ, მარტო თავისთავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთობო ცხოვრებისა და, საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია.** ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს, რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ნახოს. საბოლოოდ ამისთანა წყობა და აგებულება საზოგადოებისა თუ ერისა დიდხანს თავს ვერ გაიტანს...“.

**„წყევლა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“ სწორედ ის არის, რომ ყველა „ცალკ-ცალკე იკეთებს თავის ბინას“, ცალ-ცალკე „ითვლიან ლხინს თავისკენ და ჭირს სხვისკენ“.** ეს ეხება არა მხოლოდ სოციალურ სფეროს და არა მხოლოდ ქართულ ცხოვრებას, არამედ „კაცთაურთიერთობის“ უფრო ფართო მასშტაბებს. ილია მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში არასოდეს იკეტებოდა, მისი გონება და აზრის სიღრმე უფრო შორს იხედებოდა... მისი ფიქრი, საქართველოს გარდა, კავკასიასაც და სრულიად მსოფლიოსაც სწვდებოდა, მსოფლიოს, რომელიც იმ დროს დიდი სისხლის ღვრებისთვის ემზადებოდა... **არტურ ლაისტი** იხსენებს, რომ ილიას საათობით შეეძლო ამ პრობლემებზე კამათი, ხოლო როცა განმარტოვდებოდა, ეს საკითხი იყო მისი საფიქრალი...

ამ თვალსაზრისზე მხოლოდ ილია არ იდგა, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე ფიქრობდნენ ერის სხვა სასიქადულო შვილებიც. ამჯერად მკითხველის ყურადღებას **მიხეილ ჯავახიშვილზე** შევაჩერებთ, რომელიც თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და სკანდალურ რომან „ჯაყოს ხიზნებში“ თეიმურაზ ხევისთავს ათქმევინებს:

„შუა აზიაში მეორე შვეიცარიის შექმნა განვიზრახეთ. ხახა! სასაცილოა. მაგრამ სატირალიც არის ეს ამბავი, ჩემო ივანე. იგი ცხადად ამტკიცებს ჩვენს ფლიდურს, ორპირსა და ორგულ ბუნებას. ეს იყო ყირამალა დგომა და საკუთარ ქერქიდან ამოხტომა. ჩვენ ჩვენს თავსაც ვატყუებდით და ქ...ქქვეყანასაც. ესეც ჩვენი კუდაბზიკურ-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ. ბოლოსდა-ბოლოს, საქ...ქართველოს ეს მაიმუნობა დაჰღუპავს, თუ დროზე არ ვუშველით ჩვენს თავს. **წამბაძველობის ნიჭი, ჩემო ივანე, უუდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი ნაჭ...ჭარბევად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს. სადაც არ გვყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას. უწინაც ეგრე იყო. ისტორიაში განმეორების მეტი არაფერია.** დღევანდელი დღე წარსულის მეათე თუ მეასე შენიშვნაა — არც მეტი, არც ნაკლები.



ილია ჭავჭავაძე

**«ცხოვრება განუწყვეტელს ცვლილებებშია... რაც გუშინ დაურღვეველ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, ის დღეს შეცდომად მიგვაჩნია... დიდი გენიოსი და იმის ჭკუის თამამი გამჭვრეტელობა სჭირდება დროებაზედ ამაღლებას ... და მომავლის უფლობას... რა აახლებს, რას ცვლის და, — თუ ცხოვრება ჯანმრთელია, რას მიჰყავს იგი წინ?»**

სხვების მდიდარნი სიმდიდრეს ჰმალავენ, ჩვენებური კუდაბზიკები კი ისე იცვამენ და იბერებიან, თითქო ქვეყნის ნახევარი მათი იყოსო, ხოლო თუ მათი ავლადიდება გასჩხრიკე, ხელში შეგ...გრჩება ორი დღის უჭმელობით გამხმარი კუჭი და სამგან გახვრეტილი ჯიბე. უკეთეს მაგალითსაც მ...მოგახსენებ. დააკვირდი: ჩვენში ყველანი მათხოვრობენ, გარდა ქართველებისა. ჩვენები შიმშილით იხოცებიან, მაგრამ იმდენად ამაყნი და ამპარტავნები არიან, რომ მათხოვრობას არ იკადრებენ და ქუჩაში ხელს არ გაიშ...შვერენ. ამიტომ არის, რომ ქართველებმა ასე მოუხ...ხშირეს თავის მოკვლას, ცარცვა-გლეჯას და ასნაირ ოინბაზობას. კიდევ გინდა მაგალითი? მოგახსენებ: **ქართველს სულივით უყვარს ფული, მაგრამ უძირო სიძულვილით სძულს და ეზიზღება ფულიანი კაცი, ესე იგი ფულის შოვნის ხერხი, ესე იგი ვაჭრობა და მრეწველობა. ხოლო ვაჭრობისთვის და მრეწველობისთვის საჭიროა დიდი თაოსნობა, გარჯა და მომჭირნეობა, ესე იგი ორის შოვნა და ერთის დახარჯვა, ესე იგი თავდაჭერილი, დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, სულისა და ხორცის დისციპლინა, ესე იგი შრომა და ნებისყოფა...** ჩვენს მამა-პაპებსაც სძულდათ ფულიანი ხალხი. მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაც ასეთი ზიზღით და შხამით არის სავსე. გაიხსენე, როგორ გაამასხარეს ვაჭარი გიორგი ერისთავმა, ცაგარელმა, ანტონოვმა და ასმა სხვა მწერალმა. გინდა გაიგო ღრმა მიზეზი ასეთი სიძულვილისა? ინებე: **ადამიანს სძულს ყოველივე, რაც არ ეხერხება და არ ძალუძს, ესე იგი, მას ეზიზღება საკუთარი თავის უძლურება, უმწეობა და ჩამორჩენა! მორჩა და გათავდა! ამიტომ მოხდა, რომ ფულიანების მახვილს ჩვენ დავუპირდაპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი, — დენდობა და რაინდობა, ესე იგი ფუქსავატი ცხოვრება, მფლანგველობა, ყოყოჩობა, კუდაბზიკობა, ნებამოშლილ ადამიანის უძლური ამპარტავნება და ღატაკის ჭაქა-ქუხილი“.**

„ნებამოშლილ ადამიანის უძლური ამპარტავნება“ არ ასვენებს დღესაც ზოგიერთს და ქვეყანაში დესტაბილიზაციის შესაქმნელად არანაირ ხერხს არ ერიდება. როგორც დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი შენიშნავს, „ისტორიაში განმეორების მეტი არაფერია“ და დღესაც „ისეთი დროა, რომ პროვიზორს მატარებელი მიჰყავს, ხოლო მემანქანე აფთიაქში მუშაობს. ერთი მატარებელს ამტვრევს, ხოლო მეორე ხალხსა სწამლავს“.

მივუბრუნდეთ ისევ ილიას. მას არასოდეს ავიწყდებოდა, რომ ჩვენ ოთხი რეგიონის ქვეყანა ვართ და კავკასია, შავიზღვისპირეთი, ახლოაღმოსავლეთი და კასპიისპირეთი ქართული პოლიტიკის მთავარი საფიქრალი იყო ოდითგან. „ივერიის“ განთქმული რუბრიკა — „საპოლიტიკო მიმოხილვა“ სავსეა ამის შესატყვისი მასალებით.

ხოლო თავის პირველსავე სარედაქციო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ 1862 წელს ილია წერდა: **„ცხოვრება განუწყვეტელს ცვლილებებშია... რაც გუშინ დაურღვეველ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, ის დღეს შეცდომად მიგვაჩნია... დიდი გენიოსი და იმის ჭკუის თამამი გამჭვრეტელობა სჭირდება დროებაზედ ამაღლებას... და მომავლის უფლობას... რა აახლებს, რას ცვლის და, — თუ ცხოვრება ჯანმრთელია, რას მიჰყავს იგი წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა...“.** მაგრამ ილიამ ისიც იცის, რომ **ცოდნა და მეცნიერება თუ ეროვნული ცხოვრების სამსახურში არ ჩადგება, მაშინ ეს ყოველივე „უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია“.** ამოცანაც ის არის, რომ ინტელექტუალურმა ძალებმა ერის სწორი გზაკვალი მისცენ, სწორი და პირუთვნელი ანალიზით უჩვენონ მის მწარმოებელ ძალებს მომავლის გზაც და ის ნაკლიც და წინააღმდეგობაც, რომლებიც ხელს უშლის მას „ცხოვრების განკარგებაში“.

მაგრამ „უცხო ბაძი და მაიმუნური წამბაძველობა“ იყო და დღესაც არის წინსვლის შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ზნეობრივიდ ამორალური დეგრადაცია საქართველოს ისტორიას ადრეც ბევრი ახსოვს. აქ ლაშა-გიორგის და „რინდთა პარტიის“ გახსენებაც საკმარისია.

**ყველას სათავისოდ უნდოდა და უნდა დღესაც ჩვენი ქვეყანა — სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან მოსულთ და მოძალებულთ. საქმე «ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნება», «წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგინებაა»**

▶

## მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, გონებრივი თუ ქონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარობის გაურჩევლად ერთიანის მეცადინეობით და გარჯით ჰსცდილობს, ცხოვრების გზა გაიკვალოს ... ცალკ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალკ-ცალკე ხვნა და თესვა, ცალკ-ცალკეთ თვლა ლხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისკენ, მარტო თავისთავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთობო ცხოვრებისა და, საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია“.**

◀ ჟამთაალმწერელი **გიორგი IV**-ს (1192-1223 წწ.) ბრალად სდებს, რომ მან განიშორა მისი დედის — **თამარის** დროს დაწინაურებული დიდებულები და დაიახლოვა ახალგაზრდები — თანამოასაკენი. ეტყობა, მეფე თავიდან იცილებდა არასასურველ მოხელეებს და მათ ახალ ძალებს უპირისპირებდა. მეფეს ბრალად სდებდნენ, რომ მას კავშირი ჰქონდა თავისუფლად მოაზროვნე რინდებთან, რომლებიც სუფიზმს იზიარებდნენ, უარყოფდნენ ეკლესიასა და სამღვდელოებას და ღმერთთან ზიარების გზად ექსტაზი და აღმაფრენა მიაჩნდათ. ჟამთაალმწერლის სიტყვებით, მან „განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა, წესთა მასწავლებელნი, შეიყვარა თანამოჰასაკენი“.

სწორედ ამან დალუპა ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფო უფრო მეტად, ვიდრე მონღოლების შემოსევამ. პირუთვნელად წერს ამაზე გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი. „ქართლის ცხოვრების“ სხვა ავტორებთანაც არა ერთ მაგალითს ვხვდებით ამისას...

თევზი თავიდან ყარსო და ამდენ იმპერიებს გამოვლილ ჩვენს ელიტას შემგუებლობა, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, რაღაც თავისებურ თანდაყოლილ რეფლექსად ჩამოუყალიბდა. გიორგი ათონელი, ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, იყო პირველი ქართველი კაცი, რომელმაც ხმა აიმაღლა გიორგი II-ის კარზე გამეფებული ამ მომაკვდინებელი სენის წინააღმდეგ (გიორგი II გახლდათ საქართველოს მეფე 1072-1089 წლებში, ბაგრატ IV-ის ძე).

მაშინდელი ქართული არისტოკრატია ბიზანტიური სენით იყო დაავადებული და ისე დაემონა ამ „უცხო ბაძს“, რომ მთლად დაივიწყა, „ვისი გორისა“ იყო... უქნარობასა და პარაზიტობაში ჩაეფლო დიდ-პატარა, ერი და ბერი.

ეს გარკვეულწილად, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ გიორგი მეორეს მიღებული ჰქონდა თითქმის ყველა მაღალი ბიზანტიური პატივი. ქართველ მეფეთა შორის ის ერთადერთი იყო, რომელიც ატარებდა ყველაზე მაღალ ბიზანტიურ ტიტულს — **კესაროსობას.** კესაროსობის პატივის მატარებელი პიროვნება კი საიმპერატორო ტახტის ერთ-ერთ რეალურ მემკვიდრედ ითვლებოდა. იგი იწოდებოდა იმპერატორის შემდეგ პირველ პირად და შესაბამისი რეგალიებიც გააჩნდა. ბიზანტიის იმპერატორი ამ ტიტულს მის უახლოეს ნათესავებს (მართა, გიორგის და, ბიზანტიის დედოფალი იყო) ანიჭებდა.

ამ დროს **გიორგი ათონელმა** „აღლესა მახვილი მხილებისაი“, — წერს მემატიანე და ამ მხილებისას თვით მეფეც არ დაინდო. უთუოდ, ე.წ. კარის გადატრიალებაც ამან განაპირობა, ისევე, როგორც დავით აღმაშენებლის შემდგომი რეფორმებიც. ხოტბადიდებას ასხამს ივანე ჯავახიშვილი გიორგი ათონელს, **ქართველი ერი მარად მადლიერი უნდა იყოსო გიორგი ათონელის: „ის, რაც მან ათონის ივერთა მონასტერში განახორციელა, დავით აღმაშენებელმა მთელი ქვეყნის მასშტაბით განახორციელა შემდგომ“.** ამან შექმნა სწორედ ის ჩვენი საამაყო „ოქროვანი ხანაც“... ილია ჭავჭავაძე გიორგი ათონელის ღირსეული მემკვიდრეა. შეიძლება ითქვას, რომ მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია გიორგი ათონელისა და მისი თანამოაზრეების 1104 წლის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ გამეორებაა ახალ ისტორიულ პირობებში. ილიას „ბედნიერი ერიც“ გიორგი ათონელის „მახვილი მხილებისაი“-ს თანამედროვე ვარიანტია...

დღეს რა სენით არიან დაავადებულნი ის ქართველები, რომლებიც ისე დაემონენ ამ „უცხო ბაძს“, რომ არა მხოლოდ დაივიწყეს, „ვისი გორისა“ არიან, მშობლების დარქმეული სახელებიც კი „გაისვეცკეს“ (ნიკოლოზი ნიკოლი გახდა, ნატალია — ნატუკა, ანა — ანკა, მარიამი — მაშკა...) და გვარებსაც გადასწვდნენ. და ისე მოგვიმრავლდნენ ცისარტყელას ფერებში გადაღებილი კიკინებიანი ბიჭები და თავხოტორა გოგონები, რომ აშკარაა, ამ სენს სერიოზული „კომპლექსური“ მკურნალობა სჭირდება. როგორც ვაჟა იტყოდა, „ეს რაღაც ცუდს საქმეს ნიშნავს, მომასწავებელს ავისა“.

ამჯერად ვინ უნდა ალესოს „მახვილი მხილებისაი“, როცა „არა სჩანს ხელის შამქცევი, მტრის ამომყრელი ჯავრისა“? დღევანდელი პოლიტიკური ბრძოლის ველი ხელისუფლებაში მოსვლის მსურველთა ასპარეზია მხოლოდ. მათთვის ხელისუფლების წყარო არ არის ხალხი და ისინი თავს არ მიიჩნევენ ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულად. არადა, ეს სუბიექტები ხალხს თვალში ნაცარს აყრიან და გაიძახიან, — ილიას გზით მივდივართო, ილიასი, რომელსაც ერის წყლული აჩნდა წყლულად და რომლისთვისაც ის ადამიანი ფასობდა, „რომელსაც ძილიშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-ალტკინებულსა“ და მტკიცედ სწამს, რომ **„ვინც თვითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამა-პაპათაგან რჩენია და რგებია“;**



მიხეილ ჯავახიშვილი

რომ „თავისუფლების შოვნა სჯობს საშოვნელსა ყველასა“;

რომ „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, — აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“

რომ „სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა“;

რომ „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“;

რომ „ხვალე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია“;

რომ „ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ“;

რომ „სიტყვა თქმაა და არა ქმნა. თქმასა და ქმნას შორის დიდი ზღვარია“. და კიდევ ათასი რომ იმის დასადასტურებლად, რომ **„უცხო ბაძი და მაიმუნური წამბაძველობა“ იყო და დღესაც არის წინსვლის შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი.**

**«ქართველს სულივით უყვარს ფული, მაგრამ უძირო სიძულვილით სძულს და ეზიზღება ფულიანი კაცი, ესე იგი ფულის შოვნის ხერხი, ესე იგი ვაჭრობა და მრეწველობა. ხოლო ვაჭრობისთვის და მრეწველობისთვის საჭიროა დიდი თაოსნობა, გარჯა და მომჭირნეობა, ესე იგი ორის შოვნა და ერთის დახარჯვა, ესე იგი თავდაჭერილი, დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, სულისა და ხორცის დისციპლინა, ესე იგი შრომა და ნებისყოფა...»**

მაგრამ დღეს ის ადამიანები ცდილობენ ქვეყნის მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას, რომელთათვისაც „მამული, ენა სარწმუნოება“ მხოლოდ აბრაზე დაწერილი სიტყვებია, ილია ჭავჭავაძე კი — მხოლოდ თავადი.

კარგა ხანია, „ტახტის მაძიებელთა“ მეცადინეობის შედეგად გამოჩნდნენ ჩვენს ახალგაზრდებზე „მზრუნველი“ უცხოური ორგანიზაციები თუ უცხოელი „კეთილისმსურველები“, რომლებიც ჩვენს შვილებს ასწავლიან, რომ პატივი უნდა სცენ ჰომოსექსუალებს, ბისექსუალებს, გეებს... ერთი სიტყვით, ყველას, ჰეტეროსექსუალების გარდა; რომ კაცობრიობა ისე განვითარდა და წინ წავიდა, რომ უკვე დროა, სექსუალური ორიენტაციის შეცვლაზეც ვიფიქროთ და ერთნაირსქესიანთა ქორწინებაც წავახალისოთ... თუ არადა, დავრჩებით ისევ იმ სიბნელესა უკუნში, რომელშიც ვართ, ვერც წინსვლას ვეღირსებით და ვერც ნამდვილ დემოკრატიას, არც ნატო და არც ევროკავშირი მიგვიღებენ თავისიანად...

თუ ჩვენს „მეგობარ“ ქვეყნებში წლიდან წლამდე ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის უფროსკლასელთა რაოდენობა მცირდება და პარალელურად ტრანსგენდერების, ჰომოსექუალებისა და ბისექსუალების რაოდენობა იზრდება, ჩვენ, რა, ამ „პროგრესს“ უნდა ჩამოვრჩეთ?! „უცხო ბაძი და მაიმუნური წამბაძველობაც“ ხომ ტრადიციულად მოგვდგამს?!

**«წამბაძველობის ნიჭი... უუდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი ნაჭ...ჭარბევად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს»**









ხუმრობა იქით იყოს და, ფსიქოლოგთა აზრით, ბოლო ხანს აშშ-ში იმ მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდილა, რომლებიც თავს ლგბტ-თემის წარმომადგენლებად მიიჩნევენ. ეს იმ საყოველთაო პროპაგანდის შედეგია, რომლის მიხედვით, სქესისა და სექსუალობის არჩევა არის ბავშვის პირადი საქმე.

როგორია?!

იმედია, არ მოგეწონათ. მაშინ დავანებოთ თავი ყირამალა დგომასა და „საკუთარი ქერქიდან“ ამოხტომას. არაა ეს ჩვენი საქმე! ამ მაიმუნობით თავსაც ვიტყუებთ და „მეგობარ“ სახელმწიფოებსაც ვატყუებთ, ჩვენს ქვეყანას კი — „საქართველოს ეს მაიმუნობა დაჰღუპავს, თუ დროზე არ ვუშველით ჩვენს თავს!“

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



# კათოლიკური ორდენის მღვდლებმა 200-მდე ბავშვი გააუპატიურეს

**კათოლიკური ორდენის, „ქრისტეს ლეგიონერების“ მღვდლები 1941 წლიდან მცირეწლოვან ბავშვებს აუპატიურებდნენ, — აცხადებს ორდენის ხელმძღვანელობა ახლახან გამოქვეყნებულ მოხსენებაში. გავრცელებული ინფორმაციით, 80 წლის განმავლობაში „წმინდა მამებმა“ სექსუალურად იძალადეს, სულ ცოტა, 175 ბავშვზე.**

The Guadrian-ი აღნიშნავს, რომ ნორჩი სემინარისტები (ძირითადად 12 წლის ბიჭები) წლების განმავლობაში უჩიოდნენ მღვდლებს, განსაკუთრებით — ორდენის დამფუძნებელ **მარსიალ მასიელს.** მან, როგორც წერილშია აღნიშნული, გახრწნა 60-მდე ბიჭი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვატიკანი უგულებელყოფდა ბავშვების საჩივრებს. რელიგიურმა ორგანიზაციამ, ბოლოს და ბოლოს, აღიარა დანაშაული, რაც საზოგადოებრიობამ შეაფასა, როგორც ნამდვილი გარღვევა.

ორდენი „ქრისტეს ლეგიონერები“ 1941 წელს მექსიკაში დაარსდა.

მოხსენების თანახმად, პედოფილიაში 33 ღვთისმსახური იყო შემჩნეული. მათგან ერთი მსჯავრდადებულია, მეორე განაჩენს ელოდება, 18 ჯერ კიდევ ორდენის წევრია გარკვეული შეზღუდვებით, დანარჩენი ან გარდაცვლილია, ან — განკვეთილი.

მასიელი 2008 წელს 88 წლისა გარდაიცვალა. 2006 წელს რომის პაპმა **ბენედიქტ XVI**-მ იგი კანონიკურ პროცესს ჩამოაშორა.

„ქრისტეს ლეგიონერები“ მსოფლიოს 21 ქვეყანაში მუშაობენ. ორდენს ამჟამად მილიონ სამასი ათასი მიმდევარი ჰყავს.

ცნობილია, რომ ჩილეში ოცდაათი ეპისკოპოსი გადადგა მას შემდეგ, რაც რომის პაპმა მათ ბრალი დასდო მღვდლების ძალადობისგან ბავშვების დაუცველობაში. კათოლიკური ეკლესიის მწყემსმა ასევე განაცხადა, რომ ეპისკოპოსებმა წინასწარგანზრახვით გაანადგურეს არასრულწლოვანებზე ძალადობის სამხილები.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ამერიკელმა მეცნიერმა ისაუბრა აშშ-ში მოსწავლეთა შორის ლგბტ-პროპაგანდის შედეგებზე

**გარყვნილების პროპაგანდამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში გააორმაგა ჰომოსექსუალების რაოდენობა უფროსკლასელ მოსწავლეთა შორის, — განაცხადა ოჯახის კვლევის ინსტიტუტის (აშშ) დირექტორმა, ფილოსოფიისა და სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორმა პოლ კემერონმა რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის „ტრადიციულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის“ კონფერენციაზე გამოსვლისას.**




მისი თქმით, სექსისა და გარყვნილების პროპაგანდამ, რომელიც მეცნიერმა დაახასიათა, როგორც „რელიგიათა შორის ოდესმე არსებული ყველაზე უფრო დოგმატური, დიქტატორული და ფაშისტური“, გამოიწვია ამერიკელი უფროსკლასელების სექსუალური ორიენტაციის შეცვლა.

მაგალითად, 2001-2009 წლებში აშშ-ის უფროსკლასელთა 92,1 პროცენტი ამბობდა, რომ მათი ინტერესის საგანი მხოლოდ განსხვავებული სქესის წარმომადგენლები არიან. გამოკითხულთა მხოლოდ 5 პროცენტი მიიჩნევდა თავს ჰომოსექსუალად და ბისექსუალად. მოსწავლეთა 2,6 პროცენტი ჩაეწერა, როგორც „გაურკვევლები“.

2015 წელს მოსწავლეთა მხოლოდ 86,6 პროცენტი თვლიდა, რომ ტრადიციული სექსუალური ორიენტაციისანი არიან; უფროსკლასელთა 9,4 პროცენტი აცხადებდა, რომ ჰომოსექსუალი და ბისექსუალია, საკუთარი სქესობრივი სტატუსი გაურკვეველი ჰქონდა გამოკითხულ უფროსკლასელთა 4 პროცენტს.

2017 წელს ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის უფროსკლასელთა რაოდენობა 85,1 პროცენტამდე შემცირდა. პარალელურად ჰომოსექუალებისა და ბისექსუალების რაოდენობა 10,3 პროცენტამდე მოიმატა. 2017 წელს გაჩნდნენ ტრანსგენდერები — 1,8 პროცენტი. „გაურკვეველთა“ რაოდენობა 1,6 პროცენტამდე შემცირდა.

ფსიქოლოგის აზრით, მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც თავს ლგბტ-თემის წარმომადგენლებად მიიჩნევენ, იმ დებულების დაჟინებული და საყოველთაო პროპაგანდის შედეგია, რომლის მიხედვით, სქესის და სექსუალობის არჩევა არის ბავშვის პირადი საქმე.

მრგვალი მაგიდა (კონფერენცია) „ტრადიციულ ღირებულებათა სამართლებრივი დაცვა“ სრულიად რუსეთის მეორე ფორუმის „სამართალი. რელიგია. სახელმწიფო“ ჩარჩოებში მიმდინარეობდა. ფორუმი გაიმართა ევროსაბჭოს დაჟინებული რეკომენდაციის ფონზე, რატიფიცირებული ყოფილიყო ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის შეუღლება, მათ მიერ შვილად აყვანის კანონიერება, სასკოლო პროგრამებში ე.წ. სექსგანათლების საგნის შეტანა, რომელსაც სტამბოლის კონვენცია მოითხოვდა, ხოლო ბიჭებისა და გოგონების ტრადიციული პრინციპებით აღზრდა მიჩნეულია მათი „გენდერული“ არჩევანის დარღვევად.




# 21 წლის ქალიშვილი ბიჭად ასაღებდა თავს და გოგონებს აუპატიურებდა

**ის იყო ლონდონის მკვიდრი, 21 წლის ჯემა უოთსი, რომელიც სოციალური ქსელების საშუალებით ეცნობოდა გოგონებს, ხვდებოდა მათ და აუპატიურებდა, — იუწყება BBC-ის რუსული სამსახური.**

გაირკვა, რომ უოთსი სოციალურ ქსელებში რეგისტრირებული იყო ვაჟის სახელით და იწოდებოდა **ჯეიკ უატონად,** პროფილის ფოტოგრაფიისთვის გამოყენებულ ფოტოსურათებში გრძელი თმა ქუდქვეშ ჰქონდა დამალული. „ჯეიკი“ რეგულარულად აქვეყნებდა ვიდეოჩანაწერებს, რომლებზეც სკეიტბორდისტად იყო წარმოდგენილი.

როგორც კი მოსწავლე გოგონები ვიდეოჩანაწერებს „ლაიქებით“ მოუწონებდნენ, ჯემა უოთსი მათთან მიმოწერას გააჩაღებდა და კომპლიმენტებით აბრუებდა. გარკვეული დროის შემდეგ სთავაზობდა შეხვედრას. ხვდებოდა და აიძულებდა ინტიმური სიახლოვის დამყარებას. მის ამ ანკესს 13-დან 16 წლამდე ოთხი გოგონა წამოეგო. ოთხთაგან ორი დარწმუნებული იყო, რომ ბიჭმა გააუპატიურა, ორმა კი თავის მოკვლა დააპირა, როცა შეიტყო, რომ „ჯეიკი“ ქალიშვილი იყო.

„ჩემი სამყარო დასრულდა, ველარ ვსუნთქავდი, ისე ძლიერ მიყვარდა იგი“, — განაცხადა 14 წლის მსხვერპლმა. სასამართლომ უოთსს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

# ბრიტანეთის ყველაზე უარესი პედოფილი ციხეში მოაშთეს



**პირში პრეზერვატივები ჩათხარეს ბრიტანელ რიჩარდ ჰაკლს — 33 წლის ახალგაზრდა კაცს, რომელმაც 200 ბავშვზე იძალადა.**

პედოფილი თანასაკნელებმა გაგუდეს. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას ყელი გამოსჭრეს, მაგრამ ორიოდე დღის წინათ The Sun-მა, ინფორმაციის საკუთარ წყაროზე დაყრდნობით მკვლელობის ახალი ვერსია გამოაქვეყნა: „მას ყელი კი არ გამოსჭრეს, გიტარის სიმით დაახრჩვეს“. აქვე დამატებულია, რომ მას ყელში უცნობმა პირებმა პრეზერვატივების რამდენიმე შეკვრა ჩათხარეს.

რიჩარდ ჰაკლის, რომელიც ეშფორდის ბაპტისტური ეკლესიის მრევლის წევრი იყო, 2016 წელს არასრულწლოვანთა გაუპატიურების გამო 22-ჯერ მიუსაჯეს სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობა. მის სექსუალურ ალვირახსნილობას ემსხვერპლნენ 12 წლამდე გოგონები და ბიჭები. ბევრი მათგანი სულ პატარა იყო, ერთი კი — ახალშობილი.

ეს ავადმყოფი ცხოველი მალაიზიის ქრისტიანული მრევლის მისიონერად მუშაობდა, მისი მოვალეობა ბავშვების მოვლა იყო.

ჰაკლი ბავშვებს არა მხოლოდ რყვნიდა, არამედ ფოტოსურათებსაც უღებდა და მისნაირ პედოფილებს მსგავს ფოტოებში უცვლიდა. ბრიტანელი ტრაბახობდა, რომ ღარიბი მალაიზიელების ბავშვებზე „ნადირობა“ ევროპელი მდიდარი მოქალაქეების შვილების მონადირებაზე გაცილებით იოლია.

„ჩემი გამოცდილება აქედან დასავლეთში რომ გადამეტანა, ერთ თვესაც ვერ გავძლებდი დაუპატიმრებლად“, — წერდა იგი.

ბოლოს და ბოლოს, პედოფილს საიტის მეშვეობით მიაგნეს, რომლითაც იგი „მეგობრებს“ ეკონტაქტებოდა. ჰაკლი 2014 წელს დააპატიმრეს, მაშინვე, როცა საშობაოდ შინ, ეშფორდში, დაბრუნდა.

ცნობილია, როგორი დაუნდობლობით უსწორდებიან ციხეებში ბავშვების მკვლელებსა და გამაუპატიურებლებს. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კურგანის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ახლახან იპოვეს **ევგენი შტეიმანის** ცხედარი. იგი გააუპატიურეს და სასიკვდილოდ სცემეს. შტეიმანს მისჯილი ჰქონდა 17 წლით პატიმრობა თავისი გერის — 10 თვის გოგონას მკვლელობის გამო.

გაზეთის წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ ტელეარხ „ენ-ტევე“-ს ტელერეპორტაჟის საგაზეთო ვერსია „პედოფილები ევროპის პოლიტიკური ასპარეზისკენ მიისწრაფვიან: ვინ დგას მათ უკან?“, რომელშიც აშკარად გამოჩნდა, როგორ იბრძვიან შვედეთის პედოფილები ქვეყნის პარლამენტში მოსახვედრად თავიანთი პარტიის აღორძინების საშუალებით.

ასეთია ევროპული ღირებულებები... და — არავითარი პროპაგანდა!

ანტიმართლმადიდებლები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუკი პატრიარქი ბართოლომეოსი მისცემს (მიჰყიდის) ტომოსს ჩერნოგორიასა და მაკედონიას, ხოლო სერბეთის ეკლესია გაწყვეტს ევქარისტულ ურთიერთობას ფენერთან, მაშინ შეიქმნება ვითარება, როცა ზემოხსენებულ ერთ-ერთ ჯგუფში იქნებიან რუსეთისა და სერბეთის ეკლესიები, მეორეში — კონსტანტინოპოლის, აგრეთვე, ელადისა და ალექსანდრიის, ე.ი. ის ადგილობრივი ეკლესიები, რომლებიც დათანხმდნენ კონსტანტინოპოლის უფროსობას და ეს გააკეთეს ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარების ფორმით.**

# ტომოსებით ვაჭრობა გრძელდება: სადამდე შეიძლება მიიყვანოს მან მართლმადიდებლობა

**პატრიარქი ბართოლომეოსი, როგორც ჩანს, ტომოსით დასაჩუქრების სერიის განხორციელებას აპირებს. მიიღებენ თუ არა მაკედონიელი და ჩერნოგორიელი „რასკოლნიკები“ ფენერისგან ავტოკეფალიას და რით ემუქრება ეს მსოფლიო მართლმადიდებლობას? მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ჩრდილოეთ მაკედონიისა და ჩერნოგორიის „რასკოლნიკური“ ეკლესიებისთვის ტომოსის გადაცემის პროცესი დაიწყო.**



2018 წელს, აღდგომის შემდეგ, ფენერს (ასე ჰქვია სტამბოლის ისტორიულ რაიონს, რომელშიც განლაგებულია კონსტანტინოპოლის პატრიარქის რეზიდენცია — გ.გ.) ეწვია უკრაინის იმჟამინდელი პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკო** და შეათანხმა უკრაინელი „რასკოლნიკებისთვის“ ტომოსის გადაცემა. ამ საქმეს მასმედიაში მოჰყვა სკანდალური ინფორმაციის გაჟონვა, თუ რამდენი ნაღდი ფული გადაიხადა მან დოკუმენტში. მიუხედავად აქტიური პროტესტისა როგორც რუსეთის, ისე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან, პოროშენკომ ტომოსი მაინც მიიღო.

2020 წელს, შობის შემდეგ, 13 იანვარს, ფენერს ესტუმრნენ ჩრდილოეთ მაკედონიის ყოფილი და ამჟამინდელი პრემიერმინისტრები — **ზორან ზაევი** და **ოლივერ სპასოვსკი.** მათი მიზანი იყო ზუსტად იგივე, რაც თავის დროზე პოროშენკოსი — **შეთანხმება ტომოსის მიღების თაობაზე.** მაკედონიურ ტომოსს, ისევე, როგორც უკრაინულს, ახლდა ფინანსური სკანდალი. ზოგიერთი მედიასაშუალების მონაცემებით, 2019 წლის ზაფხულში მაკედონიის პრემიერი ამბობდა, რომ მზად იყო, ფენერში ჩაეტანა საკმაოდ ბევრი ნაღდი ფული. როგორც ჩანს, მოლაპარაკება გაიმართა და ზორან ზაევიც ისევე მიიღებს ტომოსს, როგორც პოროშენკომ მიიღო.

**„მსოფლიოს პატრიარქმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ, სერბეთისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების წინააღმდეგობის მიუხედავად, უარი არ უთქვამს მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებაზე“,** — იუწყებოდა მაკედონიური ინტერნეტგამოცემა Religija.

**ბართოლომეოსთან** გამართული მოლაპარაკების შედეგით ძალიან კმაყოფილი იყო მაკედონიის პრემიერი, რომელმაც განაცხადა: „ვიმედოვნებ, რომ მსოფლიოს პატრიარქი გაგებით მოეკიდება დიალოგს მართლმადიდებელი მორწმუნეების წინაშე მდგარი პრობლემის გადასაწყვეტად, მსოფლიოს საპატრიარქოს ჩარჩოებში დაიწყება დიალოგი მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის პრობლემის მოსაგვარებლად“.

როგორ აგვარებს პრობლემებს მსოფლიო საპატრიარქო „რასკოლნიკურ“ ეკლესიებში, უკვე ვიცით უკრაინის მაგალითზე.

ტომოსის მიღების რიგში შემდეგია ჩერნოგორია. იქაური „რასკოლნიკების“ მეთაური, „მიტროპოლიტი“ **მიხეილ დედეიჩი** დარწმუნებულია, რომ მასაც ექნება ტომოსი.

დედეიჩმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა: „კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართოლომეოსმა, რომელთანაც მე მღვდელი ვიყავი, თქვა, რომ შეისწავლის ბალკანეთის ისტორიას და რომ სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებსაც უნდა მიეცეს ავტოკეფალია. ეს ეხება ჩერნოგორიისა და მაკედონიის მართლმადიდებელ ეკლესიებს“.

რა თქმა უნდა, ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მაგალითზე ყველა ხვდება, როგორი იქნება ეს „ავტოკეფალია“. ეს არის არა ნამდვილი ავტოკეფალია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი მორჩილება. ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ხომ გაცილებით ნაკლები დამოუკიდებლობა აქვს, ვიდრე უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ავტონომიის (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტონომიის) სტატუსით.

ფენერი თავის ორბიტაზე იზიდავს „რასკოლნიკურ“ ეკლესიებს, რომლებიც მზად არიან, დაემორჩილონ პატრიარქ ბართოლომეოსს და ფულიც კი გადაიხადონ ამაში. პროცესი დაიწყო და ნებისმიერი სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც არის რაღაც რელიგიური სტრუქტურა, რომელიც თავს მართლმადიდებელს უწოდებს, შეუძლია, მიმართოს კონსტანტინოპოლს ტომოსისთვის. მსურველები შეიძლება იყვნენ ანტიოქიის ეკლესიის ტერიტორიაზე, ასევე იერუსალიმის და სხვაგანაც.

ამას გარდა, ცოტა ხნის წინათ დაწყებული ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიების მიწების მიტაცება ფენერის მიერ, ნათლად აჩვენებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სურვილს, დაიმორჩილოს არა მხოლოდ „რასკოლნიკური“ წარმონაქმნები, არამედ ადგილობრივი ეკლესიებიც.

ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ფენერი შეგნებულად წვავს ბოლო ხიდებს, რომლებზე გავლითაც კიდევ შეიძლებოდა ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნამდე არსებულ მართლმადიდებლურ ერთიანობასთან დაბრუნება. **უკრაინელი „რასკოლნიკების“ აღიარების საპასუხოდ რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გაწყვიტა ევქარისტული კავშირი ფენერთან. რას მოიმოქმედებს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია მაკედონიისა და ჩერნოგორიის „რასკოლნიკური“ ეკლესიების აღიარების საპასუხოდ, ადგილი გამოსაცნობია. დიდი ალბათობით, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც გაწყვეტს ევქარისტულ კავშირს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან.**

ამრიგად, ჩვენ თვალწინ იქმნება მართლმადიდებელი ეკლესიის ორი, ასე ვთქვათ, ჯგუფი, რომლებსაც ერთმანეთთან არ აქვთ ევქარისტული ურთიერთობა, მაგრამ გავიხსენოთ: **„მწამს ერთიანი, წმინდა, მოციქულის ეკლესიის“. და თითოეულ მართლმადიდებელ ქრისტიანს მოუწევს პასუხის გაცემა კითხვაზე: სად არის ჭეშმარიტი ეკლესია? თუ, რა თქმა უნდა, მისთვის ეკლესიაში ყოფნა სულის ხსნის საწინდარია და არა ლამაზი წეს-ჩვეულება.**



ოლივერ სპასოვსკი, ბართოლომეოსი და ზორან ზაევი

თუკი ექსპერტების მოსაზრება გამართლდება და პატრიარქი ბართოლომეოსი მისცემს (მიჰყიდის) ტომოსს ჩერნოგორიასა და მაკედონიას, ხოლო სერბეთის ეკლესია გაწყვეტს ევქარისტულ ურთიერთობას ფენერთან, მაშინ შეიქმნება ვითარება, როცა ზემოხსენებულ ერთ-ერთ ჯგუფში იქნებიან რუსეთისა და სერბეთის ეკლესიები, მეორეში — კონსტანტინოპოლის, აგრეთვე, ელადისა და ალექსანდრიის, ე.ი. ის ადგილობრივი ეკლესიები, რომლებიც დათანხმდნენ კონსტანტინოპოლის უფროსობას და ეს გააკეთეს ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარების ფორმით.

რაც შეეხება სხვა ადგილობრივ ეკლესიებს, ჯერ კიდევ 2 წლის წინათ მათ კიდევ ჰქონდათ ფიქრისა და არჩევანის შესაძლებლობა, მაგრამ I მსოფლიოს კრების 1700 წლისთავის წინ, 2025 წელს, და რომსა და კონსტანტინოპოლს შორის უნიის მომწიფების გათვალისწინებით, მათ უნდა გადაწყვიტონ, ვისთან არიან — ფენერთან, რომელსაც თავიანთი მომხრეები ლათინებთან გაერთიანებისკენ მიჰყავს, თუ მართლმადიდებლებთან, რომლებიც არ იწონებენ ერეტიკოსებთან ურთიერთობას.

როგორ განვითარდება ეს ორი ჯგუფი (ვუწოდოთ ერთს **მართლმადიდებლური,** მეორეს — **ფენერმადიდებლური)?**

ფენერმადიდებლური ჯგუფის ძირითადი მახასიათებელი — ეს არის მზადყოფნა, ფეხქვეშ გაეგოს ძლიერთა ამა ქვეყნისათა. **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურის შექმნაში და სულაც არ დაუმალავთ თავიანთი განზრახვა. შემდეგ კი საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად შეძლეს, რომ ელადისა და ალექსანდრიის ეკლესიებს ეღიარებინათ ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია.**

ამ ჯგუფის მეორე მახასიათებელი არის ფენერის ძალაუფლების აღიარება და საკუთარ თავზე მაღლა დაყენება.

განცხადებები, რომ მომავალში მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უნდა მოიწვიოს საყოველთაო მართლმადიდებლური კრებები, აჩუქოს სხვებს ავტოკეფალია, იყოს ბოლო ინსტანციის მოსამართლე და ა.შ., რეგულარულად ისმის ფენერმადიდებელთა მხრიდან.

მესამე მახასიათებელი — ლიბერალიზმი საეკლესიო დოგმატებისა და წესების მიმართ.

ამ ლიბერალიზმის მეშვეობით **ფენერმა**

* ნება დართო სასულიერო პირებს, დაქორწინდნენ მეორედ;

* „რასკოლნიკები“ მათი მხრიდან მონანიების გარეშე აღიარა;

* განაცხადა, რომ შესაძლებელია ურთიერთობა კათოლიკებთან, დოგმატური განსხვავებების მიუხედავად.

ეს ლიბერალური მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, განაცხადონ, რომ დასაშვებია სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან გაერთიანება, ეკლესიის სხვადასხვა დოგმაზე განსხვავებული თვალსაზრისის მიუხედავად, ე.ი. ამ ყბადაღებული ერთიანობის გამო შეიძლება უკანა პლანზე გადაიწიოს ჭეშმარიტებამ, ეკლესიის კანონებმა და მორალის ნორმებმა. მთავარია ერთიანობა და ყველას ყველასადმი სიყვარული.

ერთიანობა — ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ უნდა გავერთიანდეთ ჭეშმარიტების და არა სიცრუის გარშემო.

საზოგადოდ, **ფენერმადიდებელთა ჯგუფის განვითარების გზა — ეს არის გაერთიანება ლათინებთან, შესაძლოა, სხვებთანაც და საეკლესიო ცხოვრების ლიბერალიზაცია.**

მართლმადიდებელ ჯგუფებს კი რთული დროება ელით.

უწინარესად, ის განვალდება ფენერმადიდებელთა ანტიკანონიკური ქმედებებით. **უკრაინაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის, აგრეთვე, ჩერნოგორიასა და ჩრდილოეთ მაკედონიაში სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა დევნა კვლავ გაგრძელდება ამა თუ იმ ფორმით. შესაძლოა, მათ მიუერთდეს სხვა რეგიონებიც. მართლმადიდებლებს ჩამოართმევენ უფლებას, ჰქონდეთ თავიანთი სახელწოდება, წაართმევენ ტაძრებს და ეკლესიის საკუთრების უფლებას, გამოაცხადებენ, ფაქტობრივად, უკანონოდ.**

ამასთანავე, მართლმადიდებლებისთვის, ფენერმადიდებელ ჯგუფთან ევქარისტული ურთიერთობის არარსებობის გამო, განვითარების შესაძლებლობა არის პლანეტის იმ რეგიონებში, რომლებშიც ადრე ამ განვითარებას აფერხებდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. დღეს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შეუძლია, ფენერისა და ალექსანდრიის ინტერესების გაუთვალისწინებლად თავისი მრევლი ჰყავდეს თურქეთში, აზიის ქვეყნებსა და აფრიკაში. ასეთი მრევლის რაოდენობა მომავალში, რა თქმა უნდა, მოიმატებს.

კიდევ ერთი დადებითი მომენტი არის ის, რომ ფენერმადიდებლების ლიბერალიზმისა და ეკუმენიზმის ფონზე მართლმადიდებლები უნდა გადაიხარონ ეკლესიის დოგმებისა და კანონების მიმართ უფრო საპასუხისმგებლო დამოკიდებულებისკენ. ვატიკანის მიმართ პატრიარქ ბართოლომეოსის რევერანსების ფონზე, ძნელი წარმოსადგენია, რომ მოსკოვის პატრიარქი კირილეც ანალოგიურად მოიქცეს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია ვატიკანის მიმართ გაცილებით კონსერვატიული იქნება.

აგრეთვე, **შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიები უფრო მკაცრ პოზიციას დაიკავებენ 2016 წლის კრეტის კრების შედეგების მიმართ, რომლებიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აძლევს განსაკუთრებულ უფლებებს მართლმადიდებლობაში, რითაც ცდილობენ რეალიზაციას კონცეფციისა „პირველი, მასთან თანაბრობის უფლების გარეშე“. ისე, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავის თავზე იწვნია ფენერის „განსაკუთრებული უფლების“ არსი.**

ამ მართლმადიდებელი ეკლესიების ჯგუფისთვის, ეპისკოპოსებისთვის, მორწმუნე ადამიანებისთვის ყველაზე სასიხარულოა იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ ვართ ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიაში. როგორც მიტროპოლიტმა **ონოფრემ** თქვა 2019 წლის დეკემბერში ეპისკოპოსთა შეკრებაზე, **„ქრისტეს თაყვანისმცემელო მეუფენო, მამებო, დედებო, ძმებო და დებო, ნუ შეშინდებით, ჩვენ რომ ჭეშმარიტ რწმენაში ვცხოვრობთ. ვიმყოფებით ეკლესიაში, რომელიც დააფუძნა ქრისტემ და არა ადამიანებმა“.**

nasрravdi.info-ზე გამოქვეყნებული წერილის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შვილს არ ჩამორჩებოდა ჯორჯ ბუში-უფროსი. ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში ლიმუზინით გასეირნებისას აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დემონსტრანტებს თითებით აჩვენა ნიშანი VICTORY. ამის გამო გამძვინვარებულმა ხალხმა მას ანალოგიური ჟესტით უპასუხა. მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო ბუშმა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის ეს ნიშანი შეურაცხმყოფელია, და ავსტრალიელებს მოუბოდიშა.



# ყველაზე კურიოზული და სახიფათო ეპიზოდები პოლიტიკოსების ცხოვრებიდან: მკვლელი კრენდელებიდან არწივ ძია სემამდე

2002 წლის 13 იანვარს ჯორჯ ბუშს თავს გადახდა ინციდენტი, რომლის დროსაც კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა: აშშ-ის პრეზიდეტს ჭამისას გულზე დაადგა მარილიანი კრენდელი და კინაღამ გაიგუდა, რამდენიმე წამის განმავლობაში გონება დაკარგა. როგორც გაირკვა, სახელმწიფოს ლიდერებისთვისაც კი უცხო არ არის საკმაოდ სახიფათო ინციდენტები. გაგახსენებთ რამდენიმე მათგანს:





## ჯორჯ ბუში-უმცროსი და კრენდელები

ჯორჯ ბუში ტელევიზორის წინ დივანზე იყო მოკალათებული და პაკეტიდან კრენდელებს (8-იანის ფორმის ფუნთუშა) მიირთმევდა, თან ამერიკული ნაციონალური ლიგის მატჩს უყურებდა, როცა სასულეში კრენდელის ნამცეცი გადასცდა. მან გონება დაკარგა, იატაკზე გადმოვარდა და მარცხენა ლოყა დაიზიანა. მომხდარი ხუმრობის ობიექტი შეიქნა, როგორც ჟურნალისტების, ისე თვითონ ბუშის მხრიდან: „დედაჩემის გასაგონად ვიტყვი: „დედა, ყოველთვის უნდა დამეჯერებინა შენთვის — როცა მარილიან კრენდელებს ჭამ, კარგად უნდა დაღეჭო, სანამ გადაყლაპავ!“.

აღსანიშნავია, რომ ბუში-უმცროსი ხშირად ხვდებოდა სასაცილო სიტუაციაში. 2003 წლის 12 ივნისს მამამისის მამულში 2-ბორბლიან ელექტროსკუტერ Segway-ით სეირნობისას წონასწორობა დაკარგა და დაეცა. საინტერესოა, რომ Segway მსოფლიოში ყველაზე მედეგ ორბორბლიან სატრანსპორტო საშუალებად ითვლება. ის ხშირად „ებრძოდა“ კარს. მაგალითად, პეკინში გამართულ პრესკონფერენციაზე ბუშმა, რომელმაც უარი განაცხადა, ეპასუხა ჟურნალისტების კითხვებზე, მოინდომა, სასწრაფოდ გასულიყო... დაკეტილი კარიდან.



## იანუკოვიჩი, კვერცხი და ქარი

უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს ერთხელ კვერცხი ესროლეს, რომელიც პიჯაკზე მოხვდა. იანუკოვიჩი მიწაზე გაიშოტა, მოგვიანებით კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში მიიყვანა. ამ შემთხვევას ხშირად ახსენებდნენ იანუკოვიჩს პრეზიდენტობის პერიოდში.

იანუკოვიჩს კიდევ ერთი კურიოზი შეემთხვა 2010 წლის 17 მაისს კიევში უცნობი ჯარისკაცის მემორიალზე ყვავილების თაიგულის მიტანისას: როგორც კი უკრაინის პრეზიდენტმა მემორიალი ყვავილებით შეამკო, ძლიერმა ქალმა დაუბერა და გვირგვინი პირდაპირ თავზე დაეცა მას.



## რეჯეფ თაიფ ერდოღანი და ცხენი

სტამბოლში დასასვენებელი პარკის გახსნის ცერემონიაზე მთავარი მოვლენა უნდა ყოფილიყო ცხენზე ამხედრებული იმჟამინდელი პრემიერმინისტრის (ამჟამად — პრეზიდენტის) **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** გამოსვლა, მაგრამ მისი მცდელობა, დამჯდარიყო უნაგირზე, უშედეგოდ დასრულდა. ცხენმა ის მიწაზე დაანარცხა.



## ანგელა მერკელი და 5 კათხა ლუდი

კურიოზი არც გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელისთვის** არის უცხო. ერთხელ ის ქალაქ დემინს ესტუმრა თავისი პარტიის მხარდამჭერებთან შესახვედრად. ოფიციანტს, რომელსაც სასმელები მიჰქონდა სტუმრებისთვის, ვიღაცამ შემთხვევით ხელი უბიძგა. შედეგად 5 კათხა ლუდი პირდაპირ მერკელს დაეღვარა ზურგზე. მერკელმა, — თითქოს არაფერი მომხდარაო, — გაიღიმა და ისე, რომ სამოსი არ გამოუცვლია, შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდა.



## ბარაკ ობამა და იოგურტი

აშშ-ის 44-ე პრეზიდენტს საკვებ პროდუქტებში უფრო გაუმართლა, ვიდრე ჯორჯ ბუშს. 2012 წლის 24 აპრილს კოლორადოს უნივერსიტეტის სტუდენტმა გოგონამ **კოლბი ზერბერტმა** იოგურტი მიწაზე დადო, რათა პრეზიდენტისთვის ხელი ჩამოერთმია, მაგრამ ამ მომენტში ვიღაცამ ფეხი დაარტყა იოგურტის ჭიქას... ობამას კურიოზები სდევდა პრეზიდენტობის პირველი 100 დღის განმავლობაში. თავდაპირველად ის ფანჯრიდან შეეცადა თეთრ სახლში შესვლას და კოპი „გამოიმუშავა“, შემდეგ კი ვერტმფრენში შესვლისას კარს თავი აარტყა... ამას გარდა, აშშ-ის პრეზიდენტს ფილადელფიაში სიტყვით გამოსვლისას უცნობმა შიშველმა მამაკაცმა წიგნი ესროლა, რომელიც, ბოროტმზრახველის სამწუხაროდ, მიზანს ასცდა.



## სააკაშვილი, ფეხსაცმელი და ჰალსტუხი

საგნების სროლის ობიექტი სხვა პრეზიდენტებიც ყოფილან. მაგალითად, 2009 წელს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პრესასთან ურთიერთობისას ესროლეს ფეხსაცმელი, რომელიც მას შუბლში მოხვდა. ამ შემთხვევამდე ერთი წლით ადრე კი მიხეილ სააკაშვილმა მსოფლიოში სახელი ჰალსტუხის ღეჭვით „გაითქვა“.



(დასასრული შემდეგ ნომერში)

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



## „მეფე არტურის მახვილი“, 2017 წ.

**როლში: დევიდ ბექჰემი**

რეჟისორ გაი რიჩის ფილმში შესრულებული ამ როლის გამო ბექჰემი დაცინვის ობიექტი შეიქნა. მაყურებელთა აზრით, ეპიზოდი რაინდი ტრიგერისა, რომლის როლიც შეასრულა ბექჰემმა, ხანმოკლეა, თუმცა ბექჰემი მაინც იმსახურებდა „ოსკარს“. აღსანიშნავია, რომ „მეფე არტურის მახვილამდე“ ბექჰემმა ითამაშა ფილმში „აგენტები ა.ნ.კ.ლ“-ში.

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რომელ ფილმებში მონაწილეობდნენ სახელგანთქმული სპორტსმენები

სახელგანთქმული ათლეტებისთვის სპორტული სარბიელი თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაციისა და ჰონორარების მიღების ერთადერთი ადგილი არ არის. რეჟისორებს არაერთხელ მიუწვევიათ ფეხბურთელები, კალათბურთელები და მოკრივეებიც კი ფილმში გადასაღებად. კინოინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის ეს კარგი შანსია ფილმის რეიტინგის გასაუმჯობესებლად, ჩემპიონებისთვის კი ძალების მოსინჯვაა ახალ სფეროში. ერთობლივი ძალებით ზოგჯერ საკმაოდ შთამბეჭდავი ნამუშევარი შეიქმნა. გთავაზობთ 1978-2017 წლებში გადაღებულ რამდენიმე ფილმს, რომლებშიც ცნობილი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.





## „სიკვდილის თამაში“ — 1978 წ.

**როლებში: ქარიმ აბდულ ჯაბარი, ბრუს ლი.**

ამერიკელი კალათბურთელი მსოფლიოს ორი მიზეზით ახსოვს. აბდულ ჯაბარი კვლავ პირველია ამერიკული ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (NBA) რეგულარულ ჩემპიონატში მოგროვებული ქულების რაოდენობით. ამასთანავე, კალათბურთელი 5 წუთის განმავლობაში ებრძოდა საბრძოლო ხელოვნების ოსტატ **ბრუს ლის.** ეს მოხდა ფილმში „სიკვდილის თამაში“. ფილმი ეძღვნება მისი მთავარი გმირის, ბილი ლოს, ბრძოლას დანაშაულებრივ სინდიკატთან ჰონგკონგში. სამწუხაროდ, ეს ფილმი ბოლო აღმოჩნდა ბრუს ლისთვის — ის გადაღებების დასრულებამდე გარდაიცვალა. სხვათა შორის, ქარიმ აბდულ ჯაბარისა და ბრუს ლის ორთაბრძოლაში ლიმ მახრჩობელა ილეთით გაიმარჯვა.



## „ჯინი გამოიძახეთ?“ — 1996 წ.

**მთავარ როლში: შაკილ ო’ნილი.**

სპორტსმენებს ხშირად ეპიზოდურ როლებს ასრულებინებენ, მაგრამ ამჯერად მთავარი გმირი შაკილ ო’ნილმა განასახიერა. ჯინი კაზაამა ეხმარება მაქსს, რომელსაც სკოლაში დასცინოდნენ — ჯინი მიდის მაქსთან და ეუბნება, რომ ჩაიფიქროს 3 სურვილი. ეს არის კეთილი კომედია. NBA-ს კალათბურთელი კი როლს იდეალურად მოერგო.







## „ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე“ — 2008 წ.

**როლებში: მიხაელ შუმახერი, ზინედინ ზიდანი**

ამ კომედიაში ნახავთ მსოფლიო სპორტის ორ ვარსკვლავს: „ფორმულა 1“-ის პილოტს, გერმანელ **მიხაელ შუმახერსა** და ფრანგ ფეხბურთელ **ზინედინ ზიდანს** თუმცა მათი როლები ფილმში მეორეხარისხოვანია. შუმახერმა ორთვალა ეტლის წითელ („ფერარის“ ფერი) სამოსში გამოწყობილი მეეტლის როლი შეასრულა, ზიზუმ კი — ეგვიპტელის. ფილმში მთავარ როლს ასრულებს **ჟერარ დეპარდიე,** ეპიზოდურ როლებში კი, აგრეთვე, არიან ცნობილი კალათბურთელი **ტონი პარკერი** და ჩოგბურთელი **ამელი მოხესმო.**





## „ბიჭების წვეულება“ — 2009 წ.

**მთავარ როლში: მაიკ ტაისონი**

პოპულარულ ამერიკულ კომედიაში მოკრივემ საკუთარი თავი შეასრულა. ტაისონს მართლა ჰყავდა სამი ბენგალიური ვეფხვი. ფილმის სიუჟეტის მიხედვით, საღამოდან წამოსულ მთვრალ ბიჭებს ბედმა შეახვედრათ მაიკლ ტაისონი, რომელსაც ერთ-ერთი მტაცებელი მოჰპარეს.



## „ერიკის ძებნაში“ — 2009 წ.

**მთავარ როლში: ერიკ კანტონა**

ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს არც ისე იშვიათად იღებენ კინოში. „ერიკის ძებნაში“ — ეს არის ორი ერთნაირსახელიანი გმირის ისტორია. მათგან ერთი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფოსტალიონად მუშაობს, მეორე კი ცნობილი ფეხბურთელია, რომელიც მამაკაცს დეპრესიის დაძლევაში ეხმარება.



## „ნოკაუტი“ — 2012 წ.

**მთავარ როლში: ჯინა კარანო**

ეს შერეული საბრძოლო ხელოვნების (MMA) წარმომადგენელი გოგონას ერთადერთი როლი არ არის კინოში. მაყურებელი მას იცნობს ფილმიდან „ფორსაჟი“ (მეექვსე ნაწილი), მაგრამ რეჟისორმა **სტივენ სოდერბერგმა** კარანოს მთავარი როლის შესრულება მიანდო ფილმში „ნოკაუტი“. ჯინა ფილმში საიდუმლო სამსახურის აგენტს განასახიერებს.



## „სამი იქსი: მსოფლიოზე ბატონობა“ — 2017 წ.

**როლში: ნეიმარი**

ფილმ „სამი იქსის“ ბოლო ნაწილში ბრაზილიელი ნეიმარი სულ ორიოდე წუთით ჩნდება ეკრანზე. ის სადილობს **სემუელ ჯექსონის** გმირთან ჩინურ იაფფასიან დაწესებულებაში და ფეხბურთის ილეთებს აჩვენებს მოულოდნელ სიტუაციაში — როდესაც დაწესებულებაში მძარცველი შედის, ნეიმარი მას ერთი დარტყმით თიშავს, ოღონდ ბურთით კი არა, ხელსახოცების ჩასაწყობით.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# ბილ გეიტსმა 10 მლნ დოლარი გამოყო კორონავირუსის ეპიდემიასთან საბრძოლველად

## როგორ მოიქცევა ბერა ივანიშვილი?



**ამერიკელი მილიარდერ ბილ გეიტსისა და მისი მეუღლე მელინდას ფონდმა განაცხადა, რომ 10 მლნ დოლარს გამოყოფს კორონავირუსის ახალი ტიპის — 2019 nCoV-ის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად.**

როგორც ფონდის ვებგვერდი იუწყება, 5 მლნ გაიგზავნა კორონავირუსთან საბრძოლველად ჩინეთში, კიდევ 5 მლნ გამოყოფილია დაავადების კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრების დასახმარებლად აფრიკაში.

მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ, თუ ჩინური კორონავირუსის გავრცელების ამჟამინდელი ტემპი შენარჩუნდება, გლობალური ეპიდემია მარტში დაიწყება.

**სასიკვდილო ეპიდემია კარსაა მომდგარი, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ კაცთმოყვარეობა, უფრო ზუსტად, ქართველთმოყვარეობა ისევ გაუღვიძებს ბერას ქველმოქმედების სურვილს.**

# ქვეყნები უჰანიდან თავიანთი მოქალაქეების ევაკუაციას იწყებენ



**გავრცელებული ინფორმაციით, ჩინეთიდან აშშ-ის დაახლოებით 300-მდე მოქალაქის ევაკუაცია განხორციელდება. მათ შორის იქნებიან დიპლომატები და მათი ოჯახის წევრები. სპეციალური რეისი ჩინეთში უკვე გაფრინდა. ჩარტერული რეისით იაპონიის დაახლოებით 200 მოქალაქის ევაკუაცია განხორციელდება. ქვეყნის მთავრობა კიდევ დამატებით 2 ჩარტერული რეისს გეგმავს, რათა უჰანიდან, საიდანაც დაიწყო გავრცელება საშიშმა კორონავირუსმა, იქ დარჩენილი 400-მდე მოქალაქე გამოიყვანოს.**

ევაკუაციის გეგმებზე საუბარი გაიმართა ავსტრალიის მთავრობასა და ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის. ქვეყანაში ამბობენ, რომ უჰანიდან მოქალაქეების გამოყვანა უახლოეს დღეებში იგეგმება.

სამხრეთ კორეა საკუთარ მოქალაქეებს 4 ჩარტერული რეისით გაიყვანს. ჩინეთის დატოვებაზე განაცხადი სამხრეთ კორეის დაახლოებით 700-მა მოქალაქემ გააკეთა.

მიმდინარე კვირას სპეციალური რეისები ჩინეთის მიმართულებით საფრანგეთიდან და დიდი ბრიტანეთიდანაც განხორციელდება.

# არ არიან გეები — არ იქნება IPO!

## Goldman Sahs-ი უარს ეუბნება ტრადიციულ სტარტაპებს



**ბანკ Goldman Sahs-ს განზრახული აქვს, შემოიღოს ახალი წესები, რომელთა მიხედვითაც აღარ იქნება IPO (პირველი საჯარო შეთავაზება) გარკვეული კატეგორიის კომპანიებისთვის. ასეთებად ბანკი მიიჩნევს ბიზნესსტრუქტურებს, რომლებშიც ხელმძღვანელთა შორის არ არიან ქალები (სულ ცოტა, 2 მაინც) და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ან არათეთრი კანის მქონე პირები.**

როგორც CNBC-ი იუწყება Goldman Sahs Group Inc-ის დირექტორმა **დევიდ სოლომანმა** ეს დავოსში გამართულ ფორუმზე განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ Goldman Sahs-ი IPO-ს უდიდესი ორგანიზატორია უოლ-სტრიტზე. ამ ბანკის დირექტორთა საბჭოს 11 წევრიდან კი 4 ქალია.

კალიფორნიის შტატის ახალი კანონმდებლობით, კომპანიები, რომელთა დირექტორთა საბჭოში მხოლოდ მამაკაცები არიან, 100 ათასი დოლარით დაჯარიმდებიან.

# დაბრუნდით, შავლეგოებო!

**„შენ, ბიჭო ანაგურელო,**
**შენი ხმა ჩამოდიოდა,**
**შენი ნამგლისა წკრიალი**
**წყალგაღმა გამოდიოდა“!**

**მომნატრებია თქვენი ხმა,**
**თქვენი ნამგლისა წკრიალი,**
**საომრად ჯვარდაწერილი**
**თქვენს ხელში ხმლების**
**ტრიალი!**

აღარსად ისმის და არც არავის აშინებს თქვენი ომახიანი ძახილი და დავითფერულთა ავი საუბარი! სადა ხართ, ვაჟებო? ნუთუ მართლა ჯიშიან ცხენებზე ამხედრდით და გადაიხვეწეთ? ვის დაუტოვეთ სამშობლო? კინტოებს? სოდომ-გომორელ კონჩიტებს? დაბრუნდით, შავლეგოებო! წამოიყოლეთ მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, თამარ ვაშლოვნელი, მარო მაყაშვილი!

**მაშველი გვჭირდება!**

**გადაარჩინეთ ივერთ ქვეყანა ზეციური საქართველოდან!**

**თენგიზ კუბლაშვილი**



# 2019 წელს ქართველებმა უცხოეთში საბანკო ბარათებით 2,3 მლრდ ლარი დახარჯეს

**საქართველოს მოქალაქეებმა 2019 წელს საბანკო ბარათებით 2,355 მლრდ ლარი დახარჯეს უცხოეთში, რაც წინა წელთან შედარებით 34%-ით მეტია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-დეკემბერში რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ დახარჯული თანხის მოცულობამ 1,757 მლრდ ლარი შეადგინა.**

რაც შეეხება კონკრეტულად 2019 წლის დეკემბერს, ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს ფარგლებს გარეთ საბანკო ბარათებით ჩვენი ქვეყნიდან ვიზიტორებმა 230,7 მლნ ლარი დახარჯეს, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 44,5%-ით მეტია. 2018 წლის დეკემბერში საქართველოს მოქალაქეებმა საზღვარგარეთ პლასტიკური ბარათებიდან 159,6 მლნ ლარი გადაიხადეს.

**2015-2019 წელს საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხოეთში დახარჯული თანხის მოცულობა:**

2015 წელი — 869,6 მლნ ლარი;
2016 წელი — 961,7 მლნ ლარი;
2017 წელი — 1, 334 მლრდ ლარი;
2018 წელი — 1,757 მლრდ ლარი;
2019 წელი — 2,355 მლრდ ლარი.

# გელა ოდიშარია!



**გელა, ბაბუ! ძალიან ძნელი წარმოსადგენია ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობა, ვინაიდან წერა მიწევს ისეთ თემაზე, რომლის სიმძიმე და სიმწარე მხოლოდ მე და ჩემსავით გაუბედურებულ ადამიანს შეუძლია აღიქვას, ადამიანს, რომელმაც ცხრა თვეში ქართულ მიწას მიაბარე ჩემი ორი შვილი აფხაზეთში დატრიალებული უბედურებების გამო, მაგრამ შენი უცაბედი გარდაცვალება იყო „მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა“!**

არ ვიცი, ვის და რას მივაწერო ყოველივე — XXI საუკუნის დასაწყისში ამხელა ვაჟკაცის გარდაცვალება (24.04. 1977წ. — 18.01. 2019წ).

მაგრამ მოსახდენი, საუბედუროდ, მოხდა. დღევანდელი ვითარება ყველაზე მძიმე გასაძლებია შენი მშობლებისთვის — ლუიზასა და ზურასთვის, ხოლო ცოლი (ბავშვი ჯერ პატარაა), დედმამიშვილი და მეგობრები ნელ-ნელა შეეგუებიან არსებულ ვითარებას. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ეს არ ეხება მხოლოდ მშობლებს.

ჩვენო გელა, სამწუხაროდ, ოდიშარიებისა და დანელიების გვარი და შენი სამეგობრო მწარე რეალობის წინაშე დაგვაყენე უდროოდ გარდაცვალებით.

უფალი შემწეობას არ მოაკლებს შენს შვილს და გაიზრდება შენზე არანაკლები ვაჟკაცი.

შენი ხელით გამოთლილი ჯვარი ჩემს სასთუმალთან კიდია! ცხონებულმა ლუარა ბებომ ძალიან გაიხარა შენი საჩუქრით. სამწუხაროდ, ცოტა ნაადრევად ისიც განეშორა ამ ტანჯულ საქართველოს (27.08.2017წ.).

დარწმუნებული ვარ, უფალი შენს სულს დაავანებს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მსუბუქი იყოს შენს ვაჟკაცურ მკერდზე დაყრილი ტანჯული საქართველოს მიწა!

**ბაბუა ანზორ დანელია,**
**ლუიზა და ზურა ოდიშარიები ოჯახით,**
**ოდიშარიებისა და დანელიების საგვარეულო,**
**შენი სამეგობრო**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894